

178  
1997



ISSN 0868-4537

111  
95

# საგარტოალი

პრაქტიკა • მაცნოიარაზა • აუჯლიცისტიკა

7-8  
1997

IUS  
TBILISI GEORGIA





# საგარტალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 7-8  
1997

აგვისტოს 1997 წლის

ივლისი-აგვისტო

## პრაქტიკა ● მეცნიერება ● აუზლიტისტიკა

მთავარი რედაქტორი  
ზურაბ რატიანი

სარედაქციო კომპეტენცია:

ჯანმრთელობის საზოგადოებრივი მედიცინა  
(მთ. რედაქტორის მოადგილე)  
ვლადიმერ ბაკათაშვილი  
ოჯახის მედიცინა  
ოთარ ბაგრატიანი  
ჯანმრთელობის მართვა  
ავთანდილ დემეტრაშვილი  
ბავშვთა მედიცინა  
გივი ინჟინგაძე  
მზის რესურსების მედიცინა  
ნოდარ ნიკიფორიძე  
თევზის მედიცინა  
ნუგზარ საგანი  
მისილი საზოგადოებრივი  
მედიცინის მედიცინა  
მინერალური მედიცინა  
რომან შინგალია  
შალვა ნიკაშვილი  
ლადო ზანტურიანი  
სერგო ჯორჯანიანი

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „საგარტალის“ რედაქცია, საქართველოს იურისტთა კავშირი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო.

მკითხველთა საპირდაპიროდ:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვარდეთ მისამართით: 280046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.

ტელ.: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია: 0880. ინდექსი 76185.

ფასი 2 ლარი.



**საკიბავლი**

**კონსტიტუცია**

ზურაბ ლუჭაშვილი — სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტის იდეები საქართველოს კონსტიტუციაში . . . . . 3

ოთარ ბენიძე — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება-თა აღსრულება . . . . . 8

შოთა ნოზაძე — მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უგულვებელყოფა 50-იანი წლების მეორე ნახევარში: მიზეზები, შედეგები . . . . . 17

**საერთაშორისო სემინარები**

ნუგზარ ბირკაია — მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები . . . . . 20

იური გაბისონია — სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქციის განხორციელების ზოგიერთი კონცეფტუალური საკითხი . . . . . 25

**კანონის კომენტარი**

ზურაბ გოთუა — სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლი . . . . . 32

**არასრულწლოვანი და დანაშაული**

გივი ვვარელაშვილი — არასრულწლოვან მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია . . . . . 35

**მასპარტიზის საკითხები**

ეახტანგ გაბედავა — მიკრობიექტები და შემთხვევის ადვილის დათვალიერება . . . . . 41

**თმორიის საკითხები**

ნუგზარ სარია — თანამონაწილეობა და შეცდომის პრობლემა სისხლის სამართალში . . . . . 48

**მედიცინა და სამართალი**

ალექსანდრე ზოშტარია, ჯუმბერ მებუჯე — საექიმო საიდუმლოების ცნების სისხლისსამართლებრივი განსაზღვრა მისი განთქმისათვის პასუხისმგებლობისას . . . . . 55

**აირვმელი ნაბიჯები მენეჯერებში**

შაკა ხალხინაშვილი — ადმინისტრაციული სახდელის კლასიფიკაცია . . . . . 63

ზურაბ ძლიერიშვილი — შეგებებული სარჩელი, როგორც თავდაპირველი სარჩელი-საგან მოპასუხის დაცვის საშუალება . . . . . 70

**რელიგია და სამართალი**

ნუგზარ პაპუაშვილი — „მოკვალი კაცი ჩემდა სატყვივრად და ყმაწვილი — ჩემდა ჭირად“ . . . . . 77

რედაქციის მისამართი: 880046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80  
ტელ. 99 02 45, 93 41 50, 99 51 01

გალეცა წარმოებას 9. 06. 97 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 07. 97 წ.,  
ფორმატი 70x108<sup>1/16</sup>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5, შეკვ. 767, ტირაჟი 500.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“,  
თბილისი, 880098, მერაბ კოსტავას 14.



ზურაბ ლუჭავიძე

20944

# სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტის იდეასი საქართველოს კონსტიტუციაში

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები ხშირად განაპირობებენ მეცნიერების რომელიმე დარგის მკვეთრ აქტუალიზაციას. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე წამოიწევა ისეთი იდეა-ან თეორია, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება ცხოვრებისეულ პრობლემებს. სწორედ ასეთი სურათი გვაქვს დღეს სუვერენიტეტის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი მიდგომაში. თუმცა რამდენიმე წლის წინ თვით ტერმინი სუვერენიტეტიც კი მოსახლეობის ფართო მასებისათვის საკმაოდ პასიური იყო და ერთგვარად უინტერესოც. მაგრამ მოხდა ისეთი ძვრები და ცვლილებანი, რამაც გამოიწვია საზოგადოების ყველა ფენაში მასების გლობალური პოლიტიზაცია და კვლავ აქტუალური გახდა სუვერენიტეტის პრობლემები.

დღეისათვის სუვერენიტეტის მეცნიერულად სწორი გაცნობიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობისათვის, რადგანაც ზვალ და ზეგ სწორედ დღევანდელმა ახალგაზრდობამ უნდა იტვირთოს ქვეყნის ბედის მართვა, განვითარების ისეთი გზის მოძებნა, რომელიც ყველა პატიოსანი შრომით მცხოვრებ მოქალაქეს შეუქმნის ადამიანური არსებობის თუნდაც ელემენტარულ პირობებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სუვერენიტეტის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავება დღეს განსაკუთრებულად აქტუალურად უდერს.

ტერმინი „სუვერენიტეტი“ იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით. ამათვის ჩვენთვის საინტერესოა ამ სიტყვის ორი ძირითადი მნიშვნელობა — ხალხის სუვერენიტეტი და სახელმწიფოს სუვერენიტეტი. განვმარტოთ ეს ორი ცნება მოკლედ:

სახელმწიფოს სუვერენიტეტის თეორიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის ფრანგ მოაზროვნეს ჟან ბოდენს. იგი ასაბუთებდა, რომ სუვერენიტეტი სახელმწიფოს არსებითი და აუცილებელი თვისებაა, რომ სუვერენიტეტი გულისხმობს ხელისუფლების ერთიანობას და განუყოფლობას.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი იურიდიულ ლიტერატურაში განისაზღვრება შემდეგნაირად: „სახელმწიფოს სუვერენიტეტი გულისხმობს მის შესაძლებლობას სრულუფლებიანად აწარმოოს საშინაო და საგარეო საქმეები და არ დაუშვას თავის საქმიანობაში სხვა სახელმწიფოებისა და სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვა ძალების ჩარევა“<sup>1</sup>, ე. ი. სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფოს უზენაესობას ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. ამ განსაზღვრების მიხედვით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის ცნე-

1. გ. ზ. ინჭიკველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1993, გვ. 33.

სახელმწიფოს  
საქართველო  
მინისტრთა კაბინეტი



ბაში შეიძლება გაიმიჯნოს ორი მხარე, ერთის მხრივ, სუვერენიტეტი ქვეყნის შიგნით და მეორე მხრივ, სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი ქვეყნის შიგნით გულისხმობს „სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას სრულუფლებიანად, მოცემულ ქვეყანაში არსებულ სხვა ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყველა საკითხი“<sup>2</sup>, რაც კი ეხება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ ცხოვრებას, კანონთა სისტემის შექმნას და მათ განხორციელებას.

სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა და არ დაუშვას თავის საქმეებში სხვა სახელმწიფოების ჩარევა.

საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი დებულების პირველ მუხლში ნათქვამია: „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო“.

„მუხლი 2.4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეუღალადა“.

საინტერესოა, რომ ეს მუხლი ხაზს უსვამს მთლიანი სახელმწიფოს შიგნით არსებული ადმინისტრაციული ერთეულების მიერ სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევის დაუშვებლობას. ამ მოთხოვნაში ღრმა აზრია ჩადებული და იგი მომავლის გარანტიაა, რადგანაც, სამწუხაროდ, იყო და ჯერაც არის მცდელობა დაირღვეს ქვეყნის მთლიანობა და ერთიანობა.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის ხელშეუხებლობას აკანონებს კონსტიტუციის 98-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: „თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა“. ეს ერთგვარი პასუხია იმ პროვოკატორების წინააღმდეგ, რომლებიც დრო და დრო წამოიძახებენ ზოლმე, თითქოს საქართველოს არ ჰქონდეს უფლება აღკვეთოს სხვადასხვა ჯურის სეპარატისტთა ბოროტი განზრახვები. სახელმწიფოს თავდაცვის უნარი რომ ჰქონდეს, უნდა ჰყავდეს შეიარაღებული ძალები. ეს დაკანონებულია 98-ე მუხლის მე-2 პუნქტით: „ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ასევე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები“.

ქმედუნარიანი სამხედრო ძალების შექმნა უზარმაზარ თანხებსა და მოქალაქეთა თანადგომას მოითხოვს.

როდესაც ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენიტეტზე ვლადარაკობთ, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ თვით სახელმწიფო შექმნილია რაღაც მასზე უფრო დიდი ძალის მიერ და ემსახურება ამ ძალას. ეს უზენაესი ძალა არის ხალხი რომელიც ცხოვრობს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ხალხის სუვერენიტეტი იურიდიულ ლიტერატურაში ასეა განმარტებული: „ქვეყნის მთელი მოსახლეობის შესაძლებლობასა და უფლებას, თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი ცხოვრებისა და ქვეყნის ბედის საკითხები, მისთვის სასურველი მიმართულება მისცეს. მის მიერვე შექმნილ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობას“<sup>3</sup>.

როდესაც სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტის თანაფარდობაზე ვლადარაკობთ, საჭიროა დადგენა იმისა, თუ რა ნიშნების მიხედვით ემოხვევა ერთ-

2. იქვე.

3. იქვე, გვ. 34.





მანეთს ეს ორი ცნება და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. რა ურთიერთობაშია სახელმწიფო თავის ხალხთან? როგორ საზოგადოებას განაგებს იგი — მონოეროვანს თუ პოლიეროვანს და რა ურთიერთობაში არიან ერთ სახელმწიფოში შემავალი სხვადასხვა ხალხები? ვის ინტერესებს გამოხატავს სახელმწიფო — განსაზღვრული კლასის ან თემის, თუ მთელი ხალხის? და ბოლოს, ვისი სახელით ფუნქციონირებს სახელმწიფო, ერთი ხალხის, რომელსაც რაღაც უპირატესობები აქვს ამავე სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ხალხებთან შედარებით, თუ მთელი მოსახლეობის სახელით?

ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო გამოხატავს ხალხის საერთო ინტერესებს, სახელმწიფოს სუვერენიტეტის განხორციელება ხალხის სუვერენიტეტის განხორციელებას ნიშნავს. იქ კი, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება მხოლოდ საზოგადოების უმცირესობის ინტერესების გამოხატველია, სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ხალხის სუვერენიტეტი არ არიან გაიგივებულნი.

თუ სახელმწიფო მონოეროვანია, ე. ი. მისი მოსახლეობის 100 პროცენტი თუ არა, 90 მაინც ლაპარაკობს ერთ ენაზე, აქვს ერთი კულტურა, ერთი ისტორია და ერთი სამშობლო, მაშინ ამ ხალხისა და ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტების ურთიერთმიმართება უფრო ადვილი გასაგები ხდება. სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტი ერთმანეთს თითქმის ემთხვევა.

რაც შეეხება მრავალეროვან სახელმწიფოს, აქ გაცილებით მეტ სირთულეებს ვხვდებით:

1. სახელმწიფოში შემავალ ერთა რაოდენობა და რიცხობრივი თანაფარდობა. ამავე დროს, ამ ხალხთა შორის არსებული ურთიერთობა მტრულია თუ მეგობრული, დაცულია თუ არა მათი თანასწორუფლებიანობა, თუ იგრძნობა ერთი რომელიმე ხალხის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პრივილეგიები, ე. ი. ეს მრავალეროვანი საზოგადოება ერთა სრული თანხმობის პრინციპზეა აგებული თუ კოლონიურ ბატონობაზე.

ყველაფერს ამას მკაფიო პასუხს აძლევს საქართველოს კონსტიტუცია. 38-ე მუხლში ნათქვამია: „საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ეთნობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედა ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ“.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

აქ ისმის ერთი კითხვა: შეიძლება სახელმწიფოს მოქალაქენი თანასწორუფლებიანი იყვნენ, მაგრამ სინამდვილეში მათი უფლებები ისე იყოს შეზღუდული, რომ ფაქტობრივად, ე. წ. მკვიდრი (ძირეული) ერიცა და ეროვნული უმცირესობანიც უფლებბონი იყვნენ, ასეთი „თანასწორუფლებიანობა“ რომ გამოირიცხოს, მუხლი მე-19 აცხადებს: „1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება“.

3. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

4. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.



ისტორიიდან ცნობილია, თანაც არა ერთი სახელმწიფოს მაგალითზე, რომ ადამიანის უფლებების დეკლარირება გაცილებით იოლია, ვიდრე განხორციელება. ეს სირთულეები აშკარად იგრძნობა დღევანდელ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გასაკვირი არ არის, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა არსებითად პიროვნების უფლებათა სრული რეალიზაციაა. ამას კი დრო და ენერჯია უნდა, ის, რაც ზოგჯერ გვახიწყდება – ღიდი მატერიალური და ინტელექტუალური ხარჯები.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ხასიათის მრავალეროვან სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა, აქვს და ექნება ისეთი პრობლემები, რომელსაც ერთფეროვანი სახელმწიფო არ იცნობს. ეს პრობლემები, თავისი არსით, მუდმივია და გამომდინარეობს საზოგადოების ეთნიკური სხვადასხვაობიდან, რასაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში, თუ მმართველ წრეებს სურთ წარმატებით აშენონ ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება. აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც ეთნოუმრავლესობას მოეთხოვება, ანგარიში გაუწიოს ეთნოუმცირესობას, ისევე ეთნოუმცირესობა ვალდებულია სრულად გაითვალისწინოს ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესები და კეთილსინდისიერად ემსახუროს მათ.

თუ სახელმწიფო მრავალეროვანია, მისი საგარეო უფლებების განხორციელების დროს პარტნიორისათვის არა აქვს მნიშვნელობა თუ რამდენ ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენს ეს სახელმწიფო – ერთს თუ რამდენიმეს. მართლაც, ვთქვათ, ინგლისთან ურთიერთობაში ჩვენ სულაც არ გვაინტერესებს, ვინ მონაწილეობს ინგლისის სუვერენიტეტის განხორციელებაში – მხოლოდ საკუთრივ ბრიტები თუ კელტებიც, უელსელებიც და ინგლისში მცხოვრები სხვა ხალხებიც.

ხალხის, როგორც სახელმწიფოში უზენაესი ძალის, ოფიციალური აღიარება ეკუთვნის ფრანგებს. ფრანგებმა პირველებმა თქვეს, რომ საფრანგეთის კონსტიტუციას აცხადებს და ამტკიცებს არა საფრანგეთის სახელმწიფო ან პარლამენტი, არამედ ფრანგი ხალხი. თუ საფრანგეთის კონსტიტუციას აცხადებს და ამტკიცებს ფრანგი ხალხი, ხოლო საფრანგეთი, როგორც სახელმწიფო, ამ კონსტიტუციის მიხედვით იმართება, სრულიად აშკარაა, რომ მიველ ამ ტერიტორიაზე უზენაესი და შეუვალი ძალა არის არა სახელმწიფო, არამედ ხალხი, რომელიც ამავე დროს არის სახელმწიფოს სუვერენიტეტის პირველწყარო.

ფრანგების მიერ კონსტიტუციის ხალხის სახელით გამოცხადება ერთგვარად მისაბაძი აღმოჩნდა არა ერთი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1995 წლის 24 აგვისტოს, იწყება ასე: „საქართველოს მოქალაქენი“ და მთავრდება სიტყვებით „საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას“. და თუ ეს კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი ნების გამოვლენაა, მაშინ ეს ისტორიული საბუთი გამოხატავს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის ნებას და თუ ეს ასეა, ხალხის ცნება იძენს ძლიერ სოციალურ-პოლიტიკურ ჟღერადობას და გასაგები და კანონიერი ხდება „ხალხის“ სუვერენიტეტის ცნების უზენაესობა სახელმწიფოს სუვერენიტეტთან შეფარდებით.

თუ სახელმწიფოში რომელი ძალა უნდა უზენაესობდეს, უკვე მკაფიოდ არის გარკვეული, რაც საკანონმდებლო წესით არის წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლში: „1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. 2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციე-





ლებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“.

საკითხი ბოლომდე გაირკვა: უზენაესი ძალაა ხალხი, რომელიც ადგენს და ამტკიცებს კონსტიტუციას და რომლის საფუძველზეც იქმნება და ფუნქციონირებს სახელმწიფო. ამრიგად, სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ცნება „ხალხი“ უფრო მაღლა დგას, ვიდრე „ეთნოსის“ ცნება.

დღეს ცხოვრება ბობოქარია, მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება, იცვლება ფაქტების შეფასება, რაც იწვევს აზროვნების დინამიკის გამძაფრებას, შეხედულებათა პოლარიზაციას და რადიკალური, სოციალური მდგომარეობისაგან მოწყვეტილი დოგმების მოძალებას. მეცნიერული კამათისათვის აზრთა ასეთი ჭიდილი სრულიად დასაშვებია და სასარგებლოც, მაგრამ როდესაც საკითხი ეხება წამოყენებული აზრების ცხოვრებაში განხორციელებას, საჭიროა უდიდესი სიფრთხილე, რათა საზოგადოებას თავს არ მოვახვიოთ ისეთი რამ, რაც შეიძლება თეორიაში მომხიბვლელად ჩანდეს, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელი იყოს, თუნდაც მოცემულ ეტაპზე, ან არასასურველი. თუ რომელიმე მეცნიერული დებულება თავისი არსით გამოირიცხავს კომპრომისის შესაძლებლობას, იგი იქცევა დოგმად და პრაქტიკულ საქმიანობაში ხელისშემშლელ ფაქტორად. იურიდიული მეცნიერება დინამიკური მეცნიერებაა. იგი შეისწავლის საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქიზ და ზოგჯერ მტკივნეულ საკითხებს. ასეთ საკითხთა რიგს განეკუთვნება სახელმწიფოსა და ხალხის სუვერენიტეტის პრობლემაც. უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ხალხისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრობლემა ისე გაამაზვილეს და გაააქტიურეს, რომ თითქმის უპირველეს პრობლემად იქცა. ამ პირობებში სრულიად აუცილებელია მრავალეროვანი სახელმწიფოსა და მასში შემავალი ხალხების სუვერენიტეტის სხვადასხვა ასპექტის დინჯი, მეცნიერული კვლევა-ძიება. ეს სასარგებლო იქნება საქართველოს თანამედროვე სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის.





# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსკრულება

კანონიერება და მართლწესრიგი, როგორც ისტორიული გამოცდილება ხათელყოფს, არის ნებისმიერი საზოგადოებრივი სისტემის ნორმალური ფუნქციონირების და სიცოცხლისუნარიანობის უმთავრესი პირობა. მათ გარეშე წარმოუდგენელია პროგრესული განვითარება და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა. ამიტომაც, შემთხვევითი არაა, რომ მოცემული საკითხები განუწყვეტლივ ყველა სახელმწიფო ორგანოს, პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია.

კონსტიტუციური კონტროლი სამართლებრივი კონტროლის სისტემის ძირითადი რგოლია. ეს უმთავრესად განპირობებულია იმ განსაკუთრებული ადგილით, რომელიც უჭირავს კონსტიტუციას საზოგადოების არსებობაში — კონსტიტუციის მოქმედება ვრცელდება საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელ სისტემაზე, რამდენადაც ის ქვეყნის ძირითადი კანონია და შესაბამისად მთელი კანონმდებლობის იურიდიული ბაზაა.

სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები ზუსტად უნდა შეესაბამებოდნენ ქვეყნის კონსტიტუციას. ამის გარეშე წარმოუდგენელია სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა. ასეთი მდგომარეობის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციური კონტროლის ეფექტიანი ძეკანიზმის შექმნით, მისი, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონის, როგორც ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უმთავრესი გარანტის როლის გაძლიერებით. მის ეფექტიანობაზე საბოლოო ჯამში დამოკიდებული კანონიერებაზე კონტროლის სფეროში საქმიანობა.

კონსტიტუციური კონტროლის აუცილებლობა ნაკარნახევია არსებული სინამდვილით. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ არცთუ იშვიათად მიიღება აქტები, რომლებიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი შედის კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების კომპეტენციაში.

მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში კონსტიტუციურ იურისდიქციის ორ მოდელს განასხვავებენ — ამერიკული მოდელი, სადაც კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხებს საერთო სასამართლოები განიხილავენ და დასავლეთ ევროპული მოდელი, სადაც კონსტიტუციური კონტროლი ზორციელდება სპეციალური უფლებამოსილი ორგანოს — საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით. მიუხედავად ამისა, ორივე მოდელის დანიშნულებაა უზრუნველყოს კონსტიტუციური პრინციპების სწორი რეალიზაცია და აღკვეთოს კანონიერების ნებისმიერი ხელყოფა.



საკონსტიტუციო კონტროლს საქართველოში ახორციელებს სპეციალურად ამისთვის უფლებამოსილი ორგანო — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი ფუნქცია ზოგადად ჩამოყალიბებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 31 იანვრის ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“. ამ ძირითადი ფუნქციის წარმატებით რეალიზაცია და სწორედ კონსტიტუციური კონტროლის ქმედითობა მრავალი მომენტითაა განპირობებული, რომელთა შორის ერთერთი უმთავრესია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფა, რომელიც ამასთან ერთად ყველაზე რთულ პრობლემად რჩება.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რა მექანიზმებით ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას, მართებული იქნებოდა, მოკლედ შევხებოდით, როგორი იურიდიული ძალითა და შედეგებით ხასიათდება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია, აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიული შედეგები ვრცელდება საქართველოს ძველ ტერიტორიაზე და მისი შესრულება სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან, იგი საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

იმის გათვალისწინებით, თუ რა საკითხებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლო, შეიძლება გარკვეული კლასიფიკაცია მოვახდინოთ იმ იურიდიული შედეგებისა, რომელიც თან მოსდევს კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებას:

1. საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების, ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად ცნობას შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან;

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ზემოაღნიშნული სამართლებრივი შედეგი ასევე ვრცელდება საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების დაკმაყოფილების დროსაც, თუმცა, კანონის ან სხვა ნორმატიული არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე აღრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სპეციფიურია ის, რომ აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს იმ ორგანოს დაუსწრებლად, რომლის აქტიც გახდა დავის საგანი;

3. მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება



იწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის აქტის გაუქმებას;

4. რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ დავის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს არჩევნების ან რეფერენდუმზე გასატან საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების დაუშვებლობას, ან არჩევნების თუ რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობას;

5. საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების დაკმაყოფილება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათი ცალკეული დებულებების საქართველოსათვის ბათილად ცნობას;

6. სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის დავის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან;

7. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს აღნიშნულ პირთა ქმედების კონსტიტუციურობას დასკვნის სახით, რომელსაც სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია.

შეიძლება ითქვას, რომ ცალკეულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუქცევითი ძალა გააჩნია, ვინაიდან მისი სამართლებრივი შედეგის დადგომის ვადა წინ უსწრებს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის ვადას.

ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ვადა ფაქტობრივად იწყება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის და შესაბამისად იურიდიული შედეგების დადგომის მომენტიდან — როგორც ზემოთ გამოჩნდა, უმეტეს შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის ან წარდგინების დაკმაყოფილება იწვევს სადავო აქტის არაკონსტიტუციურად და შესაბამისად ძალადაკარგულად ცნობას.

ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნებოდა, მოკლედ მიმოგვეხილა იმ სუბიექტთა წრე, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე შეიძლება იყოს მოპასუხე და კისაც უშუალოდ ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება: ესენია საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, სახელმწიფო ორგანოები და ა. შ. გადაწყვეტილების უშუალო აღმსრულებელი შეიძლება იყოს არა მოპასუხე კონკრეტულ საქმეზე, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანო თუ თანამდებობის პირი, რამეთუ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება გულისხმობს არა მარტო ძალადაკარგული ნორმატიული აქტის თუ აქტების სამართლებრივი სისტემიდან ამოღებას, რომელსაც გარდა მოპასუხე მხარისა, სხვა სუბიექტებიც გამოიყენებენ, არამედ მსგავსი ნორმატიული აქტის მიღებას, რომელიც მოაწესრიგებს იმ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელსაც არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი აწესრიგებდა.

შემთხვევითი არაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი კანონპდებლობის თანახმად გადაწყვეტილების პირები ეგზავნება არა მარტო მოსარჩელე და მოპასუხე მხარეებს, არამედ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს — ეს გულისხმობს



არა მართო იმას, რომ ხელისუფლების სამივე შტო უნდა ფლობდეს ინფორმაციას საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ, არამედ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში თვითონვე უნდა უზრუნველყონ კონსტიტუციის უზენაესობა, კანონიერება და მართლწესრიგი.

\* \* \*

**„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ირგანული კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას ზედამხედველობს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი. იგი პლენუმს თვეში ერთხელ მოახსენებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მდგომარეობას.**

სულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილია 6 გადაწყვეტილება. აქედან, 2 გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო 5 გადაწყვეტილებით მთლიანად და 1 გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა. ამ გადაწყვეტილებათა თანახმად არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და შესაბამისად დაკარგეს იურიდიული ძალა სადავო ნორმატიულმა აქტებმა. აღსანიშნავია, რომ ყველა სარჩელი შემოტანილი იყო მოქალაქეთა მიერ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით. ამდენად, შესაბამისი გადაწყვეტილებების თანახმად სადავო ნორმატიულმა აქტებმა ძალა დაკარგა სასამართლოს გადაწყვეტილებათა სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან — არცერთი გადაწყვეტილება სხვა ვადას არ ითვალისწინებდა.

საკონსტიტუციო სასამართლოში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობა ხორციელდება შესაბამის ორგანოებიდან თუ თანამდებობის პირებისაგან წერილობითი ინფორმაციების მიღების ფორმით — გადაწყვეტილების მიღებიდან და ძალაში შესვლიდან გარკვეული დროის შემდეგ მოპასუხე მხარეს ან იმ ორგანოს, რომელსაც უშუალოდ ეხება გადაწყვეტილების აღსრულება, ეგზავნებათ წერილი, შესაბამის პასუხში მითითებულია, თუ კონკრეტულად რა კეთდება სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის.

პირველი გადაწყვეტილება № 2/1-7 გამოტანილ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით მეორე კოლეგიის მიერ 1996 წლის 30 ოქტომბერს საქმეზე „მოქალაქე თენგიზ სუდაძე, ქ. ფოთის მერის წინააღმდეგ“.

აღნიშნული სარჩელი (რეგისტრაციის № 7) შემოვიდა 1996 წლის 10 ოქტომბერს.

მოსარჩელე — შპს „კოლხის“ დამფუძნებელი თენგიზ სუდაძე.

მოპასუხე — ქ. ფოთის მერი.

დავის საგანი იყო ქ. ფოთის მერის 1996 წლის 9 აგვისტოს № 452 განკარგულება „ქ. ფოთის სამეგრელოს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის მშენებლობის კანონიერების შესახებ“.

1996 წლის № 2/1-7 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოქალაქე თენგიზ სუდაძის კონსტიტუციური სარჩელი ქ. ფოთის მერის 1996 წლის 9 აგვისტოს № 452 განკარგულება — „ქ. ფოთის სამეგრელოს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის მშენებლობის კანონიერების შესახებ“ ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად.

ამავე წლის 30 დეკემბერს ქ. ფოთის მერისაგან მივიღეთ წერილობითი ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე: „საკონსტი-



ტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ცნობად და განუხრელი შესრულებისათვის“.

შემდეგი გადაწყვეტილება № 1/1-10 მიღებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით პირველი კოლეგიის მიერ 1996 წლის 1 ნოემბერს საქ-ქეზე „მოქალაქე ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის № 10) შემოვიდა 1996 წლის 11 ოქტომბერს;

მოსარჩელე — ილია ანდრიაძე;

მოპასუხე — საქართველოს პარლამენტი;

დავის სავანი იყო საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 23 აპრილის კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“, სსრკ-ს მინისტრთა კაბინეტის 1980 წლის 5 ივნისის № 440 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესები“.

1996 წლის 1 ნოემბრის № 1/1-10 გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სსრკ-ს მინისტრთა კაბინეტის 1980 წლის 5 ივნისის № 440 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესები“ ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად.

მიმდინარე წლის 3 დეკემბერს პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად: გადაწყვეტილების შესაბამისად შეჩერდა სასამართლო წარმოება — სამეურნეო დავების განხილვა, ხოლო 1996 წლის 28 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოებში სასამართლო წარმოებისას საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის გამოყენების შესახებ, რომლის თანახმადაც საარბიტრაჟო სასამართლოები მათი განსჯადი დავების განხილვისას გამოიყენებენ საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ წესებს გარკვეული მუხლების გამოკლებით“.

ამავე საკითხთან დაკავშირებით მსგავსი ინფორმაცია მივიღეთ საარბიტრაჟო სასამართლოდანაც.

1996 წლის 19 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება № 2/2-9 საქმეზე „იოსებ ბიბილური და ლამარა გელაშვილი ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ“.

კონსტიტუციური სარჩელი შემოვიდა 1996 წლის 3 ნოემბერს (რეგისტრაციის № 9).

მოსარჩელები — იოსებ ბიბილური და ლამარა გელაშვილი.

მოპასუხე — საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო.

დავის სავანი იყო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 31 ივლისის № 1-3/407 ბრძანების — „სახელმწიფო ქონების მართვის ხაშურის რაიონული განყოფილების კომპლექსური შემოწმების შედეგების შესახებ“ 3, 10 პუნქტი.

1996 წლის 19 ნოემბრის № 2/2-9 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოქალაქე იოსებ ბიბილურისა და ლამარა გელაშვილის კონსტიტუციური სარჩელი: საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 31 ივლისის № 1-3/407 ბრძანების — „სახელმწიფო ქონების მართვის ხაშურის რაიონული განყოფილების კომპლექსური შემოწმების შესახებ“, 3, 10 პუნქტი ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად.





ამავე წლის 12 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროდან მივიღეთ ინფორმაცია 1997 წლის 27 იანვარს, რომლითაც ვეატყობინებდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 31 ივლისის № 1-3/407 ბრძანების – „სახელმწიფო ქონების მართვის საშურის რაიონული განყოფილების კომპლექსური შემოწმების შედეგების შესახებ“ პ. 10 პუნქტი აღარ გამოიყენება.

**გადაწვეტილება № 2/3-13** მიღებულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით მეორე კოლეგიის მიერ საქმეზე „ალექსანდრე ცხოვრებაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის № 13) საკონსტიტუციო სასამართლოში შემოვიდა 1996 წლის 6 დეკემბერს.

მოსარჩელე – ალექსანდრე ცხოვრებაშვილი.

მოპასუხე – საქართველოს პარლამენტი.

დავის საგანი იყო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 213 მუხლი.

1996 წლის 5 დეკემბერს № 2/3-13 გადაწვეტილებით, დაკმაყოფილდა მოქალაქე ალექსანდრე ცხოვრებაშვილის კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლი ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად.

ამ გადაწვეტილებასთან დაკავშირებით 1996 წლის 12 დეკემბერს მოპასუხე მხარეს – საქართველოს პარლამენტს გაეგზავნა წერილი.

1997 წლის 7 თებერვალს საქართველოს პარლამენტს, როგორც მოპასუხე მხარეს, შესაბამის პასუხში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლის გაუქმების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი ინფორმაციით უზრუნველყოფის განყოფილებამ მოახდინა კოდიფიცირება. ასევე, საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი საკანონმდებლო წინადადებით შევიდა საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ-საკითხთა და კანონიერების კომიტეტში საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 213-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილებები და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილებასთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ამავე კოდექსის 214-ე და სხვა მუხლები.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა აღარ გამოიყენება სამართლებრივ ურთიერთობებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, იმას, რომ გადაწვეტილება აღსრულდა, რადგან გადაწვეტილებასთან შესაბამისობაში არ იქნა მოყვანილი ამავე კოდექსის სხვა მუხლები.

მეორე კოლეგიის მიერ იქნა მიღებული **გადაწვეტილება № 2/31-5** საქმეზე „ლევან ფურცხვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის № 31) საკონსტიტუციო სასამართლოში შემოვიდა 1996 წლის 9 იანვარს.

მოსარჩელე – ლევან ფურცხვანიძე;

მოპასუხე – საქართველოს პარლამენტი;

დავის საგანი იყო საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი;

**გადაწვეტილება № 2/31-5** მიღებულ იქნა ამავე წლის 25 მარტს, რომლის თანახმადაც საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად. ამ გადაწვეტილების მე-5 პუნქტით საქართველოს პარლამენტს ეთხოვა საქართველოს ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსის მი-



დებამდე და ძალაში შესვლამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს საქართველოს საბინაო კოდექსის არაკონსტიტუციურად ცნობილი მუხლის ახალი რედაქცია; საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონით მიღებული იქნა საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლის ახალი რედაქცია.

**გადაწყვეტილება № 1/3-21** მიღებულ იქნა საქმეზე „მოქალაქე ოთარ ზოიძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, რომელსაც იხილავდა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია.

კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში შემოვიდა 1996 წლის 27 ნოემბერს (რეგისტრაციის № 21);

მოსარჩელე — მოქალაქე ოთარ ზოიძე;

მოპასუხე — საქართველოს პრეზიდენტი;

დავის საგანი იყო „მაკნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 22 ოქტომბრის № 1010 დადგენილება და ამავე დადგენილებით დამტკიცებული „მაკნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ“ დროებითი დებულება.

აღნიშნულ საქმეზე 1997 წლის 20 თებერვალს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება № 1/3-21, რომლითაც დაკმაყოფილდა მოქალაქე ოთარ ზოიძის მოთხოვნა და სადავო აქტები ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად.

ა/წლის 26 მარტს გაეგზავნათ წერილები შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს: მოპასუხე მხარეს — საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელს საკონსტიტუციო სასამართლოში და საქართველოს საგადასახადო სამსახურის უფროსს, რომელთაც უნდა მოეწოდებინათ ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე. საგადასახადო სამსახურიდან მიღებული პასუხის თანახმად, მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან შეწყდა სადავო აქტებით „განსაზღვრული წესით გადასახადების გამოანგარიშება და გადახდევინება“.

\* \* \*

**შეიძლება** ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამოქმედებიდან ვველა მიღებული გადაწყვეტილება განუზრვლად სრულდებოდა და ამის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციებიც მიღებულია მოპასუხე მხარეებისა და უშუალო აღმსრულებლებისაგან. ეს, რა თქმა უნდა, მეტყველებს იმაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ჯერჯერობით წარმატებით ასორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას — უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა, კონსტიტუციური კანონიერება და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც გამოიკვეთა სერიოზული სირთულეები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, რაც პირველ რიგში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებიდან გამომდინარეობს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შტაბზე“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლში ზოგადადა ჩამოყალიბებული: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით“. ეს არის ზოგადი ხასიათის ნორმა, რომელიც დაკონკრეტებას საჭიროებს — უნდა განისაზღვროს, თუ რა შეიძლება იქნეს მოაზრებული „გა-





დაწვეტილების შეუსრულებლობაში“ — ის გულისხმობს გადაწვეტილების შეუსრულებლობას, გადაწვეტილების არაჯეროვან შესრულებასა და გადაწვეტილების შესრულებისათვის ხელის შეშლას. ასეთი განმარტების აუცილებლობა ნაკარნახეია იმით, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაწვეტილების შესრულება გულისხმობს არა მარტო სადავო, არაკონსტიტუციურად ცნობილი და ძალადაკარგული აქტის სამართლებრივი სისტემიდან ამოღებას, არამედ შემდგომ სხვა სამართლებრივი აქტის მიღებას, რომელიც იგივე სამართლებრივ ურთიერთობას მოაწესრიგებს, რომელსაც გაუქმებული აქტი აწესრიგებდა, ანუ დროს ახალ აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ის მომენტები, რომლის გამოც სადავო აქტი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, არაკონსტიტუციურად ცნობილ აქტთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი სხვა აქტებიც, რომელთა საფუძველს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი წარმოადგენდა — ამდენად გადაწვეტილების შეუსრულებლობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს და მიზანშეწონილია ეს დაფიქსირებული იყოს კონონმდებლობაში.

ასევე ზუსტად უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობის საკითხი: ვინ შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობაში, რა სახის სანქციები იქნეს გამოყენებული, ვინ შეიძლება აღძრას პასუხისმგებლობის საკითხი და ა. შ.

ეს საკითხები საჭიროებს ცალკეული სამართლებრივი ნორმებით და უფრო ვრცლად დარეგულირებას, ვინაიდან სისხლის და ადმინისტრაციული საწარმოლის საპროცესო კონონმდებლობები ზუსტად არ განსაზღვრავენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილებათა შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობას.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწვეტილების ან დასკვნის სამართლებრივ შედეგებს“.

აუცილებელია ასევე დაკონკრეტდეს ცნება „სამართლებრივი შედეგები“ და იგი საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვროს ცალკეული გადაწვეტილებების მიღებისას. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული გადაწვეტილების შეუსრულებლობა, გადაწვეტილების არაჯეროვანი შესრულება ან აღსრულების შეფერხება, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიუთითოს გადაწვეტილების ძალაში შესვლის, აღსრულების წესისა და ვადების, ან მისი შესრულების განსაკუთრებულ პირობებზე, მიუთითოს, თუ უშუალოდ ვის ეხება გადაწვეტილების აღსრულება.

ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწვეტილებით კონკრეტული ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა ხშირ შემთხვევაში იწვევს სამართლებრივი ვაკუუმის წარმოშობას ან აუცილებლობას მასთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი სხვა ნორმატიული აქტებიც, რომელთა კონსტიტუციურობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწვეტილებაში უნდა მიუთითოს არაკონსტიტუციურად ცნობილი და ძალადაკარგული ნორმატიული აქტის გამო გამოწვეული სამართლებრივი ვაკუუმის საკონონმდებლო წესით შევსების და არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტთან სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

ასეთი ცვლილებების საჭიროება წარმოიშვა იმ პრაქტიკიდან, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში ჩამოყალიბდა მისი ამოქმედების დღიდან და შესაბამისად ცალკეული გადაწვეტილებების აღსრულებისას.



საზღვარგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოთა საქმიანობის პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, ძირითადად, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სცემენ სახელმწიფო ხელისუფლების შტოები ერთმანეთს პატივს და რამდენად არიან ისინი დაინტერესებული სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობით. იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება განუხრელად შესრულდეს, აუცილებელია თვით სასამართლოს მაღალი ავტორიტეტი — ამის ძირითადი პირობაა ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ისე უნდა იყოს არგუმენტირებული და მოტივირებული, რომ არცერთ ორგანოს, თანამდებობის პირს თუ მოქალაქეს არ დაებადოს ეჭვი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების აუცილებლობაზე, ისინი უნდა სრულდებოდეს ნებაყოფლობით, ძალდაუტანებლად. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის, დემოკრატიის მაღალი დონის, სამართლებრივი შეგნებისა და სამართლებრივი კულტურის მქონე სახელმწიფოში.

ამდენად, გარკვეული შეფერხებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისას, ალბათ, გარკვეულ მანძილზე ისევ შეგვხვდება საქართველოში, სრული სტაბილურობის მიღწევამდე. პარალელურად კი, საჭიროა მოიძებნოს აღსრულების ისეთი მექანიზმი, რომელშიც ჩადებული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების განუხრელი შესრულების გარანტიები.

**ოთარ ბენიკა,**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი.







**შოთა როსაქაძე**

**მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების უზღვევაელოდ 50-იანი წლების ეიორე ნახეპარში: მიზეზები, შედეგები**

2094

1956 წლის 5 მარტს თბილისის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა ანიციატივით, სანაპიროზე, მის ძველთან დაიწყო ი. ბ. სტალინის გარდაცვალების სამი წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდობის ორგანიზებული შეკრება. ოფიციალური მონაცემებით მიტინგების მონაწილეთა რაოდენობა ყოველდღიურად 60 ათას კაცს აჭარბებდა. მრავალრიცხოვანი მიტინგები და მანიფესტაციები მიმდინარეობდა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც. პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკაში საერთოდ, კერძოდ კი, თბილისში მიტინგების პირველი დღეებიდანვე იძაბება. მისი საფუძველი გახდა პარტიის XX ყრილობის (თებერვალი), ე. წ. დახურულ სხდომაზე ხრუშჩოვის მიერ პიროვნების კულტის თაობაზე დელეგატთა ვიწრო წრეში წაკითხული საიდუმლო მოხსენების შინაარსის გავრცელება. მიტინგებზე აღნიშნავდნენ, რომ მოხსენებაში უღირსად იხსენიებენ სტალინს, ქართველ ხალხს. მომიტინგეები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვდნენ პასუხს, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს — სიძულვილს თუ შოვინიზმს? წინააღმდეგ შემთხვევაში, მიტინგების მონაწილენი კატეგორიულად მოითხოვდნენ მათ დაუყოვნებლივ გადადგომას.

დახურულ წერტილებში მყვირალა გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“, შავი საღებავებით იყო წარმოდგენილი არა მარტო სტალინი, არამედ მთელი საქართველო, მისი ხალხი, მისი თვალსაჩინო ინტელიგენციის არაერთი ღირსეული წარმომადგენელი მიჩნეული იყო უცხოეთის დახვეწის აგენტად, რომლებიც თითქმის სტალინის მფარველობით გადაურჩნენ კუთვნილ მკაცრ სასჯელს. პარტიულ მუშაკთაგან ბევრი გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, თუ რატომ იყო პიროვნების კულტის თაობაზე ხრუშჩოვის, ე. წ. მოხსენება ასე ვითომდა საიდუმლოებული, როცა იგი იკითხებოდა პარტიული და კომკავშირული აქტივის კრებებზე, როცა ყრილობიდან თვენახევრის შემდეგ აშშ საინფორმაციო საშუალებებმა მისი სრული ტექსტი გამოაქვეყნეს, ჩვენთან კი სამწუხაროდ შემდეგაც კვლავ საიდუმლოდ ინახავდნენ თითქმის მთელი 33 წლის მანძილზე...

მიტინგების მონაწილეთა კითხვებზე მაშინ პასუხი არავის გაუცია, სამაგიეროდ, დადიოდა ხმები, რომ ეს აქციები მშვიდობიანად არ დამთავრდებოდა.

იყო თუ არა ეს მიტინგები და მოთხოვნები კანონსაწინააღმდეგო, არამართლზომიერი, ჰქონდა თუ არა მოსახლეობას მათი გამართვისა და მოთხოვნების წამოყენების უფლება?

ამ კითხვებზე პასუხი რომ გავცეთ, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იქნება გავეცნოთ იმ პერიოდში მოქმედი საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს, მათ სამართლებრივ გარანტიებს.

კონსტიტუცია აღიარებდა მოქალაქეთა პოლიტიკურ, აგრეთვე პირად და საზოგადოებრივ უფლება-მოვალეობებს. ამასთან, მიუთითებდა, რომ სახელმწიფო ვალდებულია სათანადო პირობების შექმნით გარანტირებული გაეხადა ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობაც.



პოლიტიკურ უფლება-თავისუფლებისა და პირად ვალდებულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით წინადადებების წამოყენების, მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გაკრიტიკება-მზილების უფლებებს. კონსტიტუციის 138-ე მუხლი აღიარებდა სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების გამართვის თავისუფლებას. კონსტიტუცია ითვალისწინებდა აგრეთვე თანამდებობის პირთა და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედებათა გასაჩივრების უფლებას. 143-ე მუხლი კი თითოეულ მოქალაქეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ყოველმხრივ ხელისშეწყობის ვალდებულებებს აკისრებდა. დღემნიშვნელოვანი აღიარება იყო მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს უფლება თვითონ გადაეწყვიტა სსრ კავშირიდან თავისუფლად გასვლის საკითხი. ამ უფლებას კონსტიტუცია აფიქსირებდა მე-15 მუხლით.

ამგვარად, მიტინგების გამართვა და წამოყენებული მოთხოვნები რომ არაკანონიერად, არამართლზომიერად მიეჩნია ხელისუფლებას, ამისათვის არავითარი საბაბი არ ჰქონდა. მაგრამ ქვეყნის მმართველმა სადირექტივო ორგანოებმა, მათმა ხელმძღვანელებმა თვითონ უხეშად დაარღვიეს კონსტიტუცია, უგულვებელყვეს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება-მოვალეობანი და მათ წინააღმდეგ, ნაცვლად დარწმუნებისა, რადგან მათ საამისო არგუმენტები არ მოუპოვებოდათ, უხეშ ადმინისტრირებას მიმართეს, იარადი გამოიყენეს.

ჯერ ერთი, მოსკოვიდან თბილისში, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში ჩამოდიან მაღალი რანგის სამხედრო და სამოქალაქო პარები, რომლებიც, ფაქტობრივად, ხელში იღებენ ხელისუფლებას, რითაც ამცირებენ და აწინებენ რესპუბლიკურ და ადგილობრივ ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობებს. შემდეგ, თბილისში მყოფი სამხედრო ნაწილები გააძლიერეს ლენინაკანში განლაგებული დივიზიის ქვედანაყოფების აქ გადმოსროლით, ქალაქის მნიშვნელოვანი ობიექტები, გარნიზონის უფროსის, გენერალ გლადკოვის № 14 ბრძანებით აყვანილი იყო სამხედრო ნაწილების დაცვაში, შესაბამისი მითითებანი მიეცათ სხვა რეგიონებში განლაგებულ სამხედრო ნაწილებს. მილიციას, მიტინგების მხარდამჭერის თავიდან აცილების მიზნით, იარადი ჩამოართვეს. მოსკოვიდან მიღებული იყო ბრძანება მიტინგების ყოველგვარი, თვით უკიდურესი საშუალებითაც კი აღკვეთის შესახებ. გლადკოვმა პარტიის ცეკაში 10 მარტს გამართულ თათბირზე განაცხადა, რომ ის ნაცვლად საყვედურისა, მადლობას იმსახურებს, ზოლო მოგვიანებით ა/კ სამხედრო ოლქის სარდალმა გენერალმა ფედოუნისკიმ ერთ-ერთ ოჯახურ შეკრებაზე აგრეთვე აღიარა, მას ქართველებმა ძეგლი უნდა დაუდგან, რადგან არ შეასრულა მოსკოვის (ხრუშჩოვ-ჟუკოვის) ბრძანება მიტინგებისა და თბილისის დაბომბვის შესახებ, რითაც თავიდან აგვაცილა აურაცხელი მსხვერპლი და ნგრევა...

მოსკოვის ბრძანების შესრულების საბაზად გამოიყენეს კავშირგაბმულობის სახლთან მომიტინგეთა რამდენიმე ახალგაზრდის მისვლა, რომლებსაც სურდათ დეპეშები გადაეცათ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა ახალგაზრდობისათვის თხოვნით — მხარი დაეჭირათ თბილისელებისათვის. გაისმა პირველი სროლა, პირველი მსხვერპლიც ქვაფენილზე დაეცა. სიგნალზე ტანკებით გარშემორტყმული მიტინგები დაარბიეს. ტყვიამფრქვევებითა და ავტომატების ცეცხლით დაღუპული 23 და 37 მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ამასთან, მსუბუქი ჭრილობა, მორალური და ფიზიკური ტრავმა ათასობით ადამიანმა მიიღო. მეორე დღეს რუსთაველის გამზირი და სანაპირო ნაომარ ქალაქს გავდა.



დაღუპულები, ახალი მიტინგების თავიდან აცილების მიზნით, ფარულად 5-6 ახლობლისა და მილიციის წარმომადგენლის თანდასწრებით დაკრძალეს.

დაკრძალვის ხარჯები (301 მანეთის რაოდენობით) დაღუპულთა ოჯახს ჯააკისრეს. აქაც ცინიკურად დაირღვა მოქალაქეთა უფლებები. ხელისუფლებამ, რომლებმაც მიტინგები დაარბია ადამიანთა ხოცვა-ჟლეტით, ამ ხარჯების გადაცემაც არ ისურვა.

მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება მიტინგების შემდეგაც გრძელდება. მასობრივად დაიწყო ხელნაწერი ფურცლებისა და მოწოდებების გავრცელება. ობილისში ბარამიძისა და ფაჩულიას მიერ ამ უკანასკნელის ბინაზე და ყაზ-ბეგში ძმები ფიცხელაურებისაგან ორგანიზებულ არალეგალურ, ურთიერთდამოუკიდებელ სტამბებში იწყებენ და ავრცელებენ საკმაოდ სოლიდურ დონეზე მომზადებულ პროკლამაციებს, მოწოდებებს, საერთო სათაურით „დამოუკიდებლობა საქართველოს“, სტამბებსა და პროკლამაციების ორგანიზატორებსაც მი-აგნეს. ისინი დააპატიმრეს. 9-10 მარტს ღამით და მას შემდეგ სულ 340-მდე ადამიანი დააკავეს. აქედან პირველ ოც დღეში საწარმო-დაწესებულებებიდან და სასწავლებლებიდან მიღებული დადებითი დახასიათებების მიღების შემდეგ 291 კაცი გაათავისუფლეს, დანარჩენი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. მათ შორის 9 კაცს აგიტაცია-პროპაგანდის გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებისათვის 2-დან 8 წლამდე შორეულ ციმბირში, პოლიტპატიმართა მორდვეთის ბანაკებში გაგზავნა არგუნეს. დანარჩენებმა, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევებისათვის, სხვადასხვა ვადით სასჯელი მოიხადეს ადგილზე.

როგორ მიმდინარეობდა გამოძიება და სასამართლო პროცესები?

ჯერ ერთი, გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებად საკავშირო უშიშროების სამსახურმა სპეციალისტები მოავლინა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, კრასნოდარიდან. ყოფილი მსჯავრდებულების მოგონებით ისინი საკმაოდ მკაცრად იქცეოდნენ, ხოლო ქართველ გამოძიებლებზე რაიმე პრეტენზიას არ გამოთქვამდნენ. პირიქით, ბევრ მათგანს გულთბილადაც იგონებდნენ, განსაკუთრებით გოგელიას, ფარემუზაშვილს, ხეჩიკაშვილს, პოლკოვნიკ ნადირაძეს, მოსამართლეს ნადირაშვილს და სხვ.

ჩვენ ვერ განვსჯით თუ რამდენად სწორად, ობიექტურად, მაღალბროფესიულ დონეზე მიმდინარეობდა ძიება და საქმის განხილვა. ეს ამ საქმის სპეციალისტების გულმოდგინე შესწავლა-გაანალიზებას მოითხოვს. ჩვენი დაკვირვებით კი, საქმეში არსებული დოკუმენტების მიხედვით, მისი ყველა ფორმალური მხარე (დაკითხვა, დაპირისპირება, ექსპერტიზა, საექიმო შემოწმება და სხვ.) დაცულია. არ ჩანს არც ძალდატანების, არც მუქარის, არც ფსიქიური ზემოქმედების კვალი. ცხადია, ამგვარი მოქმედების დაფარვაცაა შესაძლებელი, მაგრამ ესეც, ცხადია, სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. ჩვენ კი მხოლოდ მისი ფორმალური მხარე გვაქვს მხედველობაში. აქ ვითვალისწინებთ აგრეთვე მაშინდელ დასჯილ-რეპრესირებულთა მოგონებებსა და მათ წერილებში გამოთქმულ მოსაზრებებს.

მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებანი კვლავ გრძელდებოდა, უმაღლეს სასწავლებლებში, პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე, შემოქმედებით კავშირების სხდომებზე მკაცრად გმობდნენ ხელისუფლების მოქმედებას, ამასთან წინა პლანზე წამოიწია რუსეთთან დამოკიდებულების საკითხმაც, მისგან გამოყოფის შესაძლებლობამაც. გადასახლებულ მსჯავრდებულ ცხრამარტელთა შორისაც კი შეიქმნა არალეგალური ორგანიზაცია „საქართველოს ხსნის კომიტეტი“. მისი წესდება და პროგრამა ითვალისწინებდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.





6-7 მაისს თბილისში ჩატარდა ევროპის საბჭოს და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა პროგრამით გათვალისწინებულ სემინარი თემაზე: „მოსამართლის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში და მართლმსაჯულების ფუნქციონირება.“

სემინარზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალისფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარე, ძ. თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე, ბატონი ნუზარ ბირკაია.

თემის აქტუალობის გათვალისწინებით, მკითხველს ვთავაზობთ ამ მოხსენების საშურონლო ვარიანტს.

**ნუზარ ბირკაია**

# მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლითაც პრაქტიკულად განხორციელდა ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად დანაწილების კლასიკური პრინციპი, რაც უდაოდ დიდი გამარჯვებაა ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის ახლებურად ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდასაქმნელად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლების არსებობას და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიების დაკანონებას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოსამართლე თავისუფალი იყოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პირველ და უმთავრეს გარანტიად აღიარებულია ხელისუფლების დაყოფა და სამივე სახელისუფლო შტოს უფლებების თანასწორობა.

საქართველოში დღეს მოქმედი კონსტიტუციით ეს საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილი. რეალურად იდგმება ნაბიჯები სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად. კონსტიტუციით თითოეულ სახელისუფლო შტოს თავისი ფუნქცია აქვს, ერთმანეთს არ უპირისპირდებიან და ერთმანეთში არ ერევიან.

1995 წლის კონსტიტუციიდან გამომდინარე გაუქმდა პროკურატურის ხედამხედველობა სასამართლოებზე, მართლმსაჯულების განხორციელებაში არსებული ეს ანაქრონიზმი.





მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ძირითად გარანტიად მიჩნეულია მოსამართლის შეუცვლელია და მისი დანიშვნა სამუდამოდ.

დასავლეთის ქვეყნებში მოსამართლის დამოუკიდებლობის შეუქცევად გარანტიად მიჩნეული იყო და არის მისი შეუცვლელია.

ამ საკითხს პროფესორი გ. ნანეიშვილი ეხება თავის ნაშრომში „ახალი კონსტიტუციის პროექტი და სასამართლო“ და იმოწმებს დასავლეთელ მეცნიერ-იურისტების მოსაზრებებს მოსამართლეთა შეუცვლელია შესახებ. კერძოდ, ვოსკოვსკის აზრით, „სანამ მოსამართლისათვის აღიარებული არ იქნება შეუცვლელია, მოსამართლის მიუდგომლობაში არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ. იმისათვის, რომ ეს არიდებული იქნეს, არსებობს ერთი საშუალება — მოსამართლეთა შეუცვლელია“.

შეუცვლელია პრინციპი, კარსონეს აზრით, „აძლევს მოსამართლეს გაბედულებას, წინ აღუდგეს თხოვნას და მუქარას, საიდანაც არ უნდა მოდიოდნენ ისინი, ის მას აძლევს გაბედულებას ყური უგდოს მხოლოდ თავის სინდისს და დასაჯოს ყოველი დამნაშავე, რა მაღალი თანამდებობისაც არ უნდა იყოს იგი“.

„შეუცვლელია აუცილებელია მოსამართლისათვის, როგორც გარანტია, ის აუცილებელია მმართველობის ღირსებისათვის და კანონის სიწმინდისათვის“, — წერდა სიმონი.

ჟიულ ფაბრის აზრით, „შეუცვლელია გარეშე მოსამართლე არ არის მოსამართლე, ის სამინისტროს აგენტია“.

ლენ მიშელ გამბეტა აცხადებდა, „მე არ მინდა მოსამართლედ მყავდეს ასეთი ადამიანი, რომელიც შეიძლება მოხსნილ იქნეს თვითნებურად, იარაღი იქნება მთავრობის ხელში, ვერ გაბედავს სხვა გადაწყვეტილების მიღებას, გარდა ისეთისა, რომელიც მთავრობის მიერ იქნება ნაკარნახევი. ასეთი მოსამართლეები ჩემში ზიზღსა და პროტესტს გამოიწვევდნენ“.

„კანონები, — ამბობს ლუაზო, — მუნჯი მოსამართლეები არიან, ხოლო მოსამართლენი, რომლებიც მოლაპარაკე კანონები არიან, უნდა იყვნენ შეუღრეკლნი, რათა მათთან ერთად თვით სახელმწიფო შეურყეველი იყოს“.

ძნელია არ დავეთანხმო ამ მოსაზრებებს.

მოსამართლე შინაგანად უნდა გრძნობდეს თავს, როგორც დამოუკიდებელი პიროვნება, როგორც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლად აღმასრულებელი, რადგან მოსამართლის ვინმეს ზეგავლენის ქვეშ მოქცევა, ვინც არ უნდა იყოს, ის, ნიშნავს მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპის ნგრევას და ეს რომ არ მოხდეს, ამიტომაც მოსამართლე შეუცვლელი უნდა იყოს.

საფრანგეთის რესპუბლიკის 1958 წლის 28 სექტემბრის კონსტიტუციის 64-ე მუხლით, იტალიის რესპუბლიკის 1947 წლის 22 დეკემბრის კონსტიტუციის 107-ე მუხლით, ასევე დასავლეთის სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით აღიარებულია, რომ „მოსამართლეები შეუცვლელი არიან“.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის თანახმად, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. რადგან კონსტიტუციით მოსამართლეთა უფლებამოსილების ზღვარი დადგენილი არ არის, ბუნებრივია, დგება მოსამართლის დამოუკიდებლობის ყველაზე დიდი გარანტიის, მისი უვადო დანიშვნის საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლეს კვლავაც ექნება გარკვეული ფსიქოლოგიური დატვირთვა.



საქართველოში სასამართლო რეფორმის გამტარებლებს სხვადასხვანაირად ესმით მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიის ის მხარე, როგორცაა მათი შეუცვლელიობა.

არის მოსაზრება, რომ შეუცვლელიობის პრინციპის დაკანონებით სასამართლო სისტემაში არ იქნება თაობათა ცვლა. შესაძლოა, ამას აქვს შესაბამისი არგუმენტები, მაგრამ, თუ ეს პრობლემა დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების დიდი ტრადიციების მქონე ისეთ დიდ სახელმწიფოებს, როგორცაა საფრანგეთი, აშშ, იტალია, და სხვა არ აშინებთ, მაშინ რატომ უნდა გვაშინებდეს ჩვენ? ვერც იმ მოსაზრებას გავიზიარებთ, რომ თითქოს მოსამართლეების სრულყოფილი კადრების შერჩევა ამ ეტაპზე არ იყოს მოსახერხებელი მათი მოძველებული შეხედულებების გამო.

მაპატიეთ, მაგრამ მებაღება აზრი, რომ ამ იდეის გამტარებლები ეჭვით უყურებენ დღევანდელ მოსამართლეთა კორპუსს და ამიტომ, საერთოდ, წინააღმდეგნი არიან მოსამართლის დამოუკიდებლობის ისეთი ძირითადი გარანტიის არსებობისა, როგორცაა შეუცვლელიობა.

მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა ცალკე საკითხია, ხოლო მოსამართლის შეუცვლელიობის დაკანონება, ეს არის მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უძირითადესი გარანტია, რისი დადგენაც არ უნდა გადაიდოს შემდეგი საუკუნისათვის.

აშშ-ში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად მიაჩნიათ მოსამართლეთათვის ხელფასის შემცირების დაუშვებლობა. რამდენადაც ვიცით, აშშ-ში საქართველოს რაიონისა და ქალაქის მოსამართლეთა რანგის მოსამართლეებს 10-დან 15-ათას დოლარამდე აქვთ თვიური ხელფასი. ასევე მაღალი ხელფასი აქვს მოსამართლეებს დასავლეთის სხვა ქვეყნებში და ცხადია, ამიტომაც იქ დგას საკითხი მოსამართლეთათვის ხელფასის შემცირების დაუშვებლობაზე.

ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტი (რომელიც არის საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური თუ სამართლებრივი რეფორმის არქიტექტორი) ხელს მოაწერს ბრძანებას მოსამართლეებისათვის და სასამართლოს მუშაკებისათვის ხელფასების საგრძნობლად მომატების თაობაზე, რასაც ჩვენ დიდი იმედით ველოდებით.

ჩვენ გვესმის ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიური მდგომარეობა, მაგრამ სახელმწიფომაც უნდა იცოდეს, რომ სასამართლო ხელისუფლება, რომელიც მატერიალურად არაა უზრუნველყოფილი, ვერ იქნება დამოუკიდებელი და სწორად ვერ განახორციელებს მართლმსაჯულებას.

აღ. ბუშკინს ეკუთვნის ფრაზა: „ფული წყაროა კეთილშობილური დამოუკიდებლობის“. დიახ, ხელფასი უნდა იყოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გარანტი.

ვფიქრობ, დამერწმუნებით, რომ მოსამართლე მატერიალურად არავისზე დამოკიდებული არ უნდა იყოს, ამის პირობები კი სახელმწიფომ უნდა შექმნას, მოსამართლე თავისი ხელფასით იმდენად უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ შეეძლოს ღირსეული ცხოვრება, რაც იქნება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კიდევ ერთ-ერთი ძირითადი გარანტია.

1991 წლის 19 ნოემბრიდან ვხელმძღვანელობ საქართველოს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო, იგივე დისციპლინურ კოლეგიას, სადაც გაერთიანებული ვართ 11 მოსამართლე. აღნიშნული კოლეგია არჩეულია რესპუბლიკის მოსამართლეთა კონფერენციის მიერ.



თავს უფლებას ვაძლევ განვაცხადო, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ერთ-ერთი რეალური გარანტი დღეს არის საქართველოს რესპუბლიკის რაიონისა და ქალაქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო, იგივე დისციპლინური კოლეგია, იმ უფლება-მოვალეობათა გამო, რითაც იგი აღჭურვილია, კერძოდ, საკვალიფიკაციო კოლეგიის კომპეტენციას განეკუთვნება:

1. შეაფასოს რაიონის, ქალაქის სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატის მზადყოფნა სასამართლოს საქმიანობისათვის და ჩაატაროს მათი საკვალიფიკაციო გამოცდა;

2. ატარებს საქართველოს რაიონის, ქალაქის სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების საკვალიფიკაციო ატესტაციას;

3. იძლევა დასკვნას მოსამართლეთა ვადამდე გაწვევის შესახებ და განიხილავს მათ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს. საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ:

1991 წლის 19 ნოემბრიდან დღემდე საქართველოს რაიონის და ქალაქის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო დისციპლინურმა კოლეგიამ ჩაატარა 155 სხდომა, განიხილა 335 საკითხი. აქედან, 100 მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის საქმე, რომელთა დიდი უმეტესობა აღძრული იყო იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, დისციპლინური დევნის საქმის აღძვრის უფლება აქვს ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებით სასტიკი საყვედური გამოეცხადა 3 მოსამართლეს, საყვედური — 17 მოსამართლეს, შენიშვნა — 43 მოსამართლეს.

დისციპლინური პასუხისმგებებაში მიცემისათვის გათვალისწინებული ვადების გასვლის გამო, 16 მოსამართლის მიმართ აღძრული დისციპლინური დევნა წარმოებით შეწყდა. ორი მოსამართლის ვადაზე ადრე გაწვევის საკითხი უარყოფილია დისციპლინური კოლეგიის მიერ და ისინი დღესაც აგრძელებენ მოსამართლედ მუშაობას. ხუთი მოსამართლის ვადამდე გათავისუფლების შესახებ, იუსტიციის სამინისტროს დასტური მისცა კოლეგიამ.

საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნით 145 მოსამართლეს მიენიჭა მოსამართლის სხვადასხვა საკვალიფიკაციო კლასი.

საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიამ განიხილა იუსტიციის სამინისტროს კადრების სამმართველოდან შემოსული 90 წარდგინება, ამდენივე პირის მიმართ მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობაზე

უასანოშნად.

80 კანდიდატს მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაძლებელი იყო შათი დანიშვნა ამა თუ იმ რაიონის მოსამართლედ, ხოლო 10 კანდიდატს უარი ეთქვა დაბალი კვალიფიკაციის, იურისტის სპეციალობით მუშაობის სათანადო სტაჟის უქონლობის გამო და ა. შ.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ გაწეული მუშაობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ იგი არ არის ფორმალური ან სტატისტიკის მდგომარეობაში მყოფი ორგანო. ამასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ ჩვენი მუშაობის მანძილზე ადგილი არ ჰქონია იუსტიციის სამინისტროსაგან ან უზენაესი სასამართლოსაგან რაიმე ჩარევას.

საკვალიფიკაციო კოლეგია საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი ორგანოა და მის წევრებს ხელფასი არ ეძლევათ.



საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის თანახმად, მოსამართლის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, დაშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

ამჟამად საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტში გათვალისწინებული არის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის არსებობა.

იმისათვის, რომ ამ მიმართულებით მოსამართლის დამოუკიდებლობას ჰქონდეს რეალური დასაყრდენი, ცხადია შენარჩუნებული უნდა იყოს ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტი, როგორცაა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო, იგივე დისციპლინური კოლეგია, ამასთან ხსენებული კოლეგია არჩეული უნდა იყოს მოსამართლეთა წრიდან, მათივე კონფერენციის მიერ და უნდა განიხილოს მათივე საკითხები.

აღნიშნული კოლეგია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი და მათ წევრებს შესაბამისი ანაზღაურებაც უნდა ჰქონდეთ გაწეული მუშაობისათვის.

ასეთი სახით შექმნილი მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია საბოლოოდ გადაწყვეტს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სასჯელის დადების თუ მისი დაკავებული თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საკითხს და ფაქტობრივად, იქნება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ერთ-ერთი რეალური გარანტია.

**და ბოლოს**, თავის მხრივ, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტი იკითონ მოსამართლეთა ასოციაცია უნდა გახდეს.

მოსამართლეთა ასოციაციისათვის ფართო უფლების მინიჭება, უვადოდ დანიშნული მოსამართლეთა კორპუსის თვითმმართველობა — ეს არის გზა, საითაც სასამართლო რეფორმა მომავალში უნდა განვითარდეს.

დასახელებული გარანტიებით აღჭურვილ მოსამართლეებს ექნებათ რეალური საფუძველი იყვნენ ადამიანის უფლებათა დაცვის ჭეშმარიტად საიმედო გარანტნი.





**მიმდინარე** წლის 10-12 ივნისს ეგრესიას მართავდა ეზიდით, ქ. თბილისში  
გამართა საერთაშორისო სამინარო თემაზე: „პროკურატურა სამართ-  
ლმართ სხვადასხვაში“. ამ სამინაროზე მოხსენებით გამოვიდა საპარ-  
თმართ პროკურატურის გამომძიებელი მოხსენებით გამოვიდა საპარ-  
თმართ უფროსი პროკურირი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, სამარ-  
თმართი რეფორმის სხვადასხვა კომისიის დამამართი ქვეკომი-  
სიის წევრი, ბატონი იური გავისონია.  
გამომხატველ მთავარობთ ამ მოხსენების საშუარსლო გარინანს.

**იური გავისონია**

# სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურირო ფუნქციის განხორციელების გოპიონით კონსუფუკიური საკითხი

სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების შინაარსისა და ფარგლების თა-  
ობზე საპროკურირო-საგამომძიებო დარგის მუშაკთა შორის დღეს არსებული  
ახრთა დიდი სხვადასხვაობა განაპირობებს ამ საკითხის აქტუალობას, მითუმე-  
ტეს, რომ თეორეტიკოსები მას ჯერჯერობით რატომღაც დუმილით უვლიან  
კვერდს, ისევე, როგორც კანონმდებელი და კანონპროექტთა ავტორები. კერ-  
ძოდ, არათუ კონსტიტუციის 91-ე მუხლი (რომელმაც შემოიტანა სისხლისსა-  
მართლებრივი დევნის ფუნქცია, რომლის განხორციელებაც პროკურატურის  
უპირველეს ამოცანად, მის პრეროგატივად სცნო), არამედ „პროკურატურის  
შესახებ“ კანონის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტებიც  
კი არ შეიტყვეს სისხლისსამართლებრივი დევნის ცნების განმარტებას, ხოლო  
მის შინაარსს ეს კანონპროექტები საკმაოდ განსხვავებულად წარმოგვიდგენს.  
დღომარეობას ისიც ართულებს, რომ ბოლო ათწლეულებში მოქმედი კანონ-  
მდებლობა ამ ცნებას არ იცნობდა და, ამდენად, მასთან დაკავშირებული სა-  
კითხების კვლევა ფაქტობრივად არც ხდებოდა — გაკვერით თუ მოიხსენიებდა  
ვინმე და ისიც, როგორც წესი, ბურჟუაზიული (წაიკითხე: რეაქციული) სის-  
ხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის განსაკუთრებულად. ყოველ შემ-  
თხვევაში, მათში ცხადლივ თუ შეფარვით გამოსჭვივოდა თეზა სისხლისსამართ-  
ლებრივი დევნის თითქოსდა რეაქციული, ანტიჰუმანური, ცალსახად რეარესი-  
ული ხასიათის შესახებ. ალბათ ამ განწყობითაც იყო განპირობებული ის გარე-  
მობა, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში, ჩვენგან  
განსხვავებით, ეს ცნება ან საერთოდ ვერ დამკვიდრდა, ან კიდევ ვერ მოხდა

1. ცხადია, ლაპარაკია საჯარო და, გარკვეული დათქმებით, კერძო-საჯარო სისხლისსამართ-  
ლებრივ დევნაზე.



მისი ინსტიტუციონირება.<sup>2</sup> გასაგებია, რომ აქ უდიდეს როლს თამაშობდა საპროკურორო სისტემის, გამოძიების, მთლიანად სისხლის სამართლის პროცესის მოწყობის ტრადიციები, პირველ რიგში კი, ის თუ რომელი მოდელის (შეჯიბრებითის, ინკვიზიციურის, შერეულის — ცხადია, ამ ფორმათა მრავალვარიანტულობის გათვალისწინებით) ბაზაზე ვითარდებოდა (ჩამოყალიბდა) სისხლის სამართლის პროცესი, ფრიად მნიშვნელოვანია ისიც, თუ ხელისუფლების რომელ შტოს უკავშირდება პროკურატურა ორგანიზაციულ-ინსტიტუციურად. ამ მხრივ საქართველოს პროკურატურის საკითხი ზოგადად (მხოლოდ ზოგადად — დეკლარაციულად!) გარკვეულია — კონსტიტუციით იგი არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება და, ამდენად, გვინდა თუ არ გვინდა, სისხლის-სამართლებრივი დევნის „უხერხული“ საჯარო (სახელმწიფოებრივი) ფუნქციაც ჩვენს ცნობიერებაში მოიაზრება სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში. ეს კი, კონსტიტუციითვე პროკურატურის სამართალდაცვითი ფუნქციების მკვეთრად შეკვეცისა და რეპრესიული („დევნა“) ფუნქციის გაზრდის ფონზე, რამდენადმე ამუქებს საერთო და კონსტიტუციური სასამართლობებისთვის შერჩეულ „ნათელ ფერებს“, რაც პოსტსაბჭოურ სივრცეში ზოგჯერ კვალიფიცირდება რომანტიკული დემოკრატიისადმი სიმპათიისა და არსებული სავალალო რეალებისადმი ანტიპათიის პროდუქტად.

საბჭოთა კავშირის პირველი ათწლეულების კანონმდებლობა იცნობდა სისხლისსამართლებრივი დევნის ცნებას, რომლის რაობისადმი იმჟამინდელი დომინირებული დოქტრინალური მიდგომა კონცენტრირებული სახით გადმოცემულია პროფ. მ. ს. სტროგოვიჩის შრომებში, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნა განმარტებულია როგორც „იმ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია ჩქითკენ, რომ მხილებული იქნეს გარკვეული პირი დანაშაულის ჩადენაში“.<sup>3</sup> ამასთან, ამ საპროცესო მოქმედებებში იგი მოიაზრებდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, მამხილებელი საბუთების შეკრებას, აღკვეთის ღონისძიებათა შეფარდებას, დაკითხვას, ჩხრეკას, ბრალდებისათვის მხარის დაჭერას სასამართლოში და სხვა<sup>4</sup> — ე. ი. ფაქტობრივად, ყველაზე მნიშვნელოვან „აქტიურ“ საგამოძიებო და საბრალმდებლო მოქმედებათა მთელ არსენალს, გარდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა. „წყალგამყოფი ქედი“ აქ გადის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის (სსსკ-ის 141-ე მუხლის შესაბამისად). მომენტზე<sup>5</sup> სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, თუნდაც აშკარა დანაშაულის ჩამდე-

2. სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქცია ერთ-ერთმა პირველმა დაწესა ლიტვის რესპუბლიკამ 1990 წლის 27 ივლისის კანონით „ლიტვის რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ“, რომლის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი აწესებდა, რომ დამოუკიდებელი სამართალ-დამცავი ორგანოს — პროკურატურის მოვალეობებში შედის „დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება“ (იხ. «Законы о прокуратуре стран СНГ и Балтии», М., 1995, с. 221); ანალოგიურ დებულებას შეიცავდა რუსეთის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 1993 წლის ზაფხულში მოწონებულ იქნა კიდევ კონსტიტუციური სათათბიროს მიერ, მაგრამ ბოლო ვარიანტში იგი ამოღებულ იქნა და რუსეთის 1993 წლის კონსტიტუცია პროკურატურის ფუნქციათა ჩამონათვალს არ შეიცავს.

3. მ. ს. სტროგოვიჩი, სისხლის სამართლის პროცესი, თსუ-ს გამომც., თბ., 1948, გვ. 104.

4. იქვე.

5. ეს დებულება გაბატონებულია დოქტრინაში და იგი შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობაში მიღებულ „ბრალდებულის“ ცნების განმარტებას (იხ. საქართველოს სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტი), თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ბრალდებული არის არა პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია ამგვარი დადგენილება, არამედ პირი, რომელსაც უკვე წარედგინა ბრალდება.





ნი და ადგილზევე დაპატიმრებული პირის მიმართ (სხვა საკითხია, თუ საერთოდ, რაღენად სწორია ამგვარი პერსონიფიცირება საქმის აღძვრისას, რასაც ახალი სსსკ-ის ზემოხსენებული პროექტიც იზიარებს და მიუთითებს 22-ე მუხლში, რომ „საჯარო ბრალდების სისხლის სამართლის საქმე კონკრეტული პირის მიმართ აღიძვრება პროკურორის დადგენილებით“<sup>6</sup>), ყოველთვის წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას (ამ ტერმინის რელატიურობას ქვემოთ შევეხებით) ანუ დევნის დაწყებას, ვინაიდან „სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება იმ ფაქტის, შემთხვევის გამო, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს მაშინ, როცა სისხლისსამართლებრივი დევნა აღიძვრება იმ პირის მიმართ, რომელსაც დანაშაულის ჩადენაში ამხილებენ.“<sup>7</sup> და, ბოლოს, სტროგოვიჩის აზრით, სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებენ: წინასწარი გამოძიების სტადიაზე — პროკურორი და გამოძიებელი (საგამოძიებო ორგანოები), სასამართლოში — პროკურორი (ბრალდების მხარდაჭერის ფორმით), ხოლო კერძო ბრალდების საქმეებზე — დაზარალებული.<sup>8</sup>

ცნობილია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის სამართლებრივი რეგლამენტაციისა და ცხოვრებაში განხორციელების მსოფლიო პრაქტიკა საკმაოდ დიდი სიჭრელით ხასიათდება, რისი თუნდაც სქემატური მიმოხილვა სცილდება ამ წერილის ამოცანას. ამიტომ აქ მოკლედ შევეხები საქართველოს ახალი სსსკ-ის ზემოხსენებული პროექტის პოზიციას სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქციის რეგულირების საკითხში.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის თაობაზე, რომელიც კონსტიტუციის 91-ე მუხლით მიჩნეულია პროკურატურის ცალკე (დამოუკიდებელ) ფუნქციად, ამიტომ უნდა ვიგულისხმოდ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ჩვენში იწყება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანით, რასაც სტროგოვიჩი უწოდებდა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის „პირველ საპროცესო მოქმედებას“<sup>9</sup> ხოლო ვ. ს. ზელენეცი მას მიიჩნევს სახელმწიფო ბრალდების აღძვრის „პირველ სტრუქტურაწარმოქმნელ ელემენტად“. ამასთან, მეორე ასეთ ელემენტად მიაჩნია ბრალდების წაყენება, მესამედ — საბრალდებო დასკვნის შედგენა, ხოლო მეოთხედ — მისი დამტკიცება და საქმის სასამართლოში წარმართვა. პირველი სამი ელემენტი, ავტორის აზრით, მიეკუთვნება წინასწარი გამოძიების სტადიას, მეოთხე კი — საკუთრივ სახელმწიფო ბრალდების აღძვრის სტადიას. ვფიქრობ, აშკარაა ამგვარი კონსტრუქციის ხელოვნურობა, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, საბრალდებო დასკვნის შედგენა და დამტკიცება წინასწარი გამოძიების დამამთავრებელი ეტაპია, რასაც (დამტკიცებას) ლოგიკურად მოსდევს საქმის სასამართლოში წარმართვა. საქართველოს ახალი სსსკ-ის პროექტი, მრავალ სხვა ღირსებასთან ერთად, თავისუფალია ამგვარი ხელოვნური გრადაციებისაგან, მაგრამ ზემოთქმულის ფონზე ერთგვარ გაუგებრობას ქმნის 22-ე მუხლი, რომელსაც ჰქვია „სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა“ და რომლის ტექსტშიც თავიდან ლაპარაკია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, ხოლო მე-3 პუნქტის მეორე წინადადება კი ამბობს, რომ „პროკურორის განსაკუთრებულ

6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი (იხ. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბიულეტენი“, 1997 წლის მაისი, № 5).  
 7. მ. ს. სტროგოვიჩის დასახ. ნაშრ., გვ. 272.  
 8. იქვე, გვ. 106.  
 9. მ. ს. სტროგოვიჩის დასახ. ნაშრ., გვ. 106.





კომპეტენციას განეკუთვნება წინასწარი გამოძიებისას საჯარო ბრალდების ფორმულირება და წარდგენა, ამ ბრალდების მხარდაჭერა ან მასზე უარი სასამართლოში“. თუ პროექტი მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარდაჭერა სისხლისსამართლებრივ დევნაში შედის, ეს, როგორც აღინიშნა, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ხოლო თუ ეს ასე არ არის და საერთოდ პროკურორის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიკუთვნებულ ფუნქციაზეა საუბარი, მაშინ მუხლის ტექსტი არ შეესაბამება მის დასახელებას. ამ მუხლიდან ლოგიკურად იმის გულვებაც შეიძლება, რომ „საჯარო ბრალდების ფორმულირება და წარდგენა“ ერთად ან მხოლოდ პირველი მათგანი არის სწორედ „სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა“. მაგრამ შემდგომში ორივე ეს ტერმინი პროექტში კონკრეტულ (მკაცრად განსაზღვრულ) საპროცესო შინაარსს მოკლებული ჩანს, ვინაიდან ამ საპროცესო მოქმედებებს იგი უწოდებს „ბრალდების წაყენებას“, რომელსაც წინ უძღვის პროკურორის მიერ „ბრალდებულად საქმეში მონაწილეობისათვის პირის ჩაბმის შესახებ“ დადგენილების გამოტანა (56-ე, 282-286-ე მუხლები), აქ არ არის გამოკვეთილი, ამ დადგენილების გამოტანიდან („საჯარო ბრალდების ფორმულირებიდან“) ითვლება დაწყებულად დევნა თუ ბრალდების ფაქტობრივად წაყენებიდან, რომელიც ზოგჯერ (ვთქვათ, შესაბამისი პირის მიმალვის გამო) შეიძლება დროში დიდად დასცილდეს დადგენილების გამოტანის მომენტს. ამ გაუგებრობას ვერც 44-ე მუხლში მოცემული განმარტება („ბრალდებული – საქმეში მონაწილეობისთვის ბრალდებულად ჩაბმული პირი“) ხსნის, რადგან არ არის გარკვეული შესაბამისი დადგენილების გამოტანა უდრის თუ არა პირის ბრალდებულად ჩაბმას. რაც შეეხება 75-ე მუხლს, მასში უკვე გამოკვეთილია, რომ „ბრალდებულად ითვლება პირი, რომელსაც წარდგენილი აქვს პროკურორის დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმის შესახებ“. ჯერ ერთი, ზემოაღნიშნული წინააღმდეგობები უნდა მოიხსნას, ხოლო ბრალდებულად იწოდოს პირი პროკურორის ზემოხსენებული დადგენილების გამოტანიდან, რადგან, სხვათა შორის, თავი დავანებოთ, უხერხულია, ვთქვათ, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, რომელსაც მისი მიმალვის გამო ვერ წარედგინა პროკურორის აღნიშნული დადგენილება, რის გამოც მას აღკვეთის ღრისძიებად შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა, არ ითვლებოდეს აღძრულად (დაწყებულად) სისხლისსამართლებრივი დევნა!..

ასევე დახვეწას მოითხოვს 57-ე მუხლი, რომელშიც სიტყვებს: „სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების კონსტიტუციური ფუნქციის უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურორი უფლებამოსილია“ – მოსდევს 18 პუნქტიანი ჩამოთვლა, რომელიც იწყება სისხლის სამართლის საქმის აღძვრით და მოიცავს პროკურორის უმთავრეს ფუნქციებს წინასწარი გამოძიების ხელმძღვანელობის სფეროში (სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებათა კანონიერების შემოწმების, საქმეთა ქვემდებარეობის განსაზღვრის და მისთანა საკითხების ჩათვლით). ცხადია, რომ აქ უკვე სრულიად გათქვეფილია („განზავებულია“) „სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების“ კონკრეტული შინაარსი და საზღვრები, დაკარგულია მისი, როგორც პროკურორის სპეციფიკური ფუნქციის, ორიენტირები. ამაზე ყურადღებას ვამახვილებ შემდეგი გარემოების გამოც:

ახალი სსსკ-ს პროექტს, სტროგოვიჩის დროინდელი საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომელიც გამომძიებელში აერთიანებს ბრალდების, დაცვის და საქმის გადაწყვეტის ფუნქციებს, საფუძვლად უდევს კონ-



ცენტრალური დებულება სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების (პროკურორის ფუნქცია), დაცვისა და საქმის გამოძიების, როგორც სამართლებრივ სახელმწიფოში ურთიერთგამომრიცხავი ფუნქციების, გამიჯვნის შესახებ. გამოძიებელი უნდა იყოს ნეიტრალური — მიუკერძოებლად აგროვებდეს ყოველგვარ მტკიცებულებებს. ამ მიზნით დეველი თეორიული კონსტრუქციის პრაქტიკული ხორცშესხმისას აშკარად ცნაურდება, სულ ცოტა, ერთი ობიექტურად არსებული ასეთი სიძნელე: მართალია, გამოძიებლის „ნეიტრალურობა“ გარკვეულწილად ანელებს მის „ბრალმდებლურ“ განწყობას და შესაბამის „გადახრას“, მაგრამ, მეორე მხრივ, გადაუწყვეტელი რჩება დილემა: მიზანი (დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა) ფსიქოლოგიურად განაპირობებს გამოძიებლის საპროცესო მოქმედებათა აქტიურობას, და, ამდენად, ამ მიზნის უქონლობა („ნეიტრალურობა“) ხომ არ გამოიწვევს პროცესის საბოლოო მიზნისაკენ სწრაფვის შესუსტებას — ჭეშმარიტების დასადგენად (მხედველობაში მაქვს დამნაშავეთა მხილების ფრიად რთული, შრომატევადი და სადღეისოდ მეტად „უმაღური“ პროცედურა) მიმართული ძალისხმევის შემცირებას. ამ შემთხვევაში განვითარებული ქვეყნების პოზიტიური მაგალითებით ოპერირება ვერაფერი ნუგეშია, რადგან პოსტსოციალისტური (პოსტსაბჭოური) რეალიები საერთოდ, — საქართველოსი მათ შორის და განსაკუთრებით, — მრავალმხრივ უპრეცედენტოა.

ამ პრობლემის მეორე ასპექტი, ჩემი აზრით, მდგომარეობს ზემოხსენებულ ფუნქციათა რეალურად გამიჯვნის, მათი ინსტიტუციურობის მიღწევის სირთულეში. ეს ნაწილობრივ უკვე ჩანს ზემოთ მოყვანილი მუხლებიდან. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი „პროკურატურის შესახებ“ კიდევ უფრო ძუნწია — სისხლის სამართლებრივი დევნის ცნების შინაარსის გადმოცემა აქ იწყება დანაშაულის შესახებ ცნობების შემოწმებისას და დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას სისხლის სამართლის საქმის აღძვრით და დანაშაულის გახსნით (მუხ. 13), თუმცა ცოტა არ იყოს ბუნდოვანია, თუ როგორ უნდა გახსნას „მდევნელმა“ პროკურორმა დანაშაული, როცა საქმეს იძიებს სხვა პირი — დამოუკიდებელი გამოძიებელი. დევნის და გამოძიების ფუნქციების გამიჯვნავი „ჩინური კედელი“ კიდევ უფრო მყიფე და გამჭვირვალე აღმოჩნდება, როცა პროკურორი არა მარტო უშუალოდ „უხელმძღვანელებს“ (აქამდე არსებული „ზდამხედველობის“ ნაცვლად) გამოძიებას<sup>10</sup> და ცალკეულ შემთხვევაში პირდაპირ ჩაერევა კიდევ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულებაში, ან გამოძიებლის გარეშე — დამოუკიდებლად შეასრულებს მათ (57-ე მუხლის „გ“ პუნქტი). ხოლო როცა პროკურორი განახორციელებს მის უფლებამოსილებას „გამოიძიოს სისხლის სამართლის საქმე სრული მოცულობით“, ეჭვს გარეშეა, რომ სახეზეა ორივე ფუნქციის მთლიანად შერწყმა ერთიდაიმავე თანამდებობის პირში. ამგვარად, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ფუნქციათა გამიჯვნის პრინციპი ისევე რელატიურია (შეფარდებითია, ამორფულია, პირობითია), როგორც თვითონ სისხლის-

10. მითუმეტეს, რომ სსსკ-ს პროექტით პროკურატურას კვლავ გააჩნია უწყებრივი თუ პერსონალური დაქვემდებარების წესით საქმეთა გამოძიების ფუნქციაც, რამეთუ მასში ვერ პოვა ასახვა სამართლის რეფორმის სახელმწიფო კომისიის კონცეფციამ ერთიანი საგამოძიებო ორგანოს შექმნის თაობაზე, რომელიც განცხადებული იყო კომპეტენტურ თანამდებობის პირთა გამოსვლებაში 1996 წლის 28-29 აგვისტოს ევროსაბჭოს ეგიდით თბილისში ჩატარებულ სემინარზე (იხ. მ. სააკაშვილისა და თ. ნინიძის გამოსვლები აღნიშნულ სემინარზე, ჟურნ. „სამართლის“ 1996 წლის მე-5-6 ნომერი, გვ. 4-24).



სამართლებრივი დევნის ცნება. ამგვარი ცნებების მაქსიმალურად დაკონკრეტება და განმარტება (ხელოვნური აქსესუარებისა და „თეორიული წიადსლები-ბისავან“ „გაწმენდა“) გააადვილებს ახალი საპროცესო კოდექსის ათვისებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

სისხლისსამართლებრივი დევნის საპროკურორო ფუნქციის სრულყოფილად განსახორციელებლად, ჩემი აზრით, საჭიროა კანონმდებელმა გადაწყვიტოს ორი ფრიად საჭირობოროტო საკითხი.<sup>11</sup> კერძოდ:

1. პროექტში უნდა განვივრცოს და დაკონკრეტდეს ის ნოველები, რომლებიც შეეხება სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდელ მოქმედებათა ანუ, როგორც ზოგჯერ უწოდებენ, „წინასაგამოძიებო შემოწმების“ (სტროგოვიჩი მათ უწოდებდა „სისხლისსამართლებრივი დევნის მომზადებას“) ჩატარების წესსა და პირობებს. ამკარაა, რომ ორივე კანონპროექტი ამ საკითხის მოწესრიგებაში მეტად ძუნწია. სსსკ-ს პროექტი (24-ე, 264-ე მუხლები) აწესებს რა, რომ პროკურორი საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა განცხადებების,<sup>12</sup> სახელმწიფო ორგანოებისა და არასახელმწიფო ორგანიზაციათა, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობების საფუძველზე, მიუთითებს, რომ ჩადენილი დანაშაულის შემოწმება ხდება „არასაპროცესო მეთოდებით“, კერძოდ კი, ახსნა-განმარტებების ძილებისა და დოკუმენტების გამოთხოვის გზით (მუხ. 266-ე). ამას მოსდევს სამი ფრიად სადავო დებულება: ა) შემოწმების გაგრძელება 7 დღეზე მეტი ხნით არ შეიძლება (ეს ვადა რიგ შემთხვევებში არარეალური აღმოჩნდება); ბ) შემოწმებულს არ შეუძლია აწარმოოს შემოწმების მასალებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება (პროკურატურებში, სადაც თითო გამოძიებე ღია, ეს დიდ სირთულეს შექმნის); გ) შემოწმების დროს მიღებული მასალები არ შეიძლება იყოს მტკიცებულებანი სისხლის სამართლის საქმეზე (ვთქვათ, ყალბი დოკუმენტის შემოწმების პროცესში მიღებისას მისი შემდგომში მტკიცებულებად გამოუყენებლობის სიტუაცია გაუგებარია). გარდა ამისა, ზემოხსენებული ორი წინასაგამოძიებო მოქმედებით ხშირად შეუძლებელი ხდება მასალების იმ კონდიციამდე მიყვანა, რომ მართებულად გადაწყდეს საქმის აღძვრის ან მასზე უარის თქმის საკითხი. ცნობილია, რომ ათწლეულების განმავლობაში დებატებს მიუხედავად, საპროცესო კანონმდებლობამ უარი ვერ თქვა საქმის აღძვრამდე „გამონაკლისის წესით“ ექსპერტიზის (კერძოდ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის) დანიშვნაზე. ამავე რიგის საკითხს მიეკუთვნება „პროკურატურის შესახებ“ კანონის პროექტის მე-20 მუხლის ნოველა იმის თაობაზე, რომ პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე („აღძრული“ აქ ზედმეტია — აღუძრავი სისხლის სამართლის საქმე არ არსებობს) საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების საფინანსო-სამეურნეო საქმი-

11. ეს საკითხები მე უკვე დავაყენე საგაზეთო პუბლიკაციაში (იხ. გაზ. „შანსი“, 1996 წლის ივლისის ნომერი).

12. მოქალაქეთა დარად, თანამდებობის პირთა შეტყობინებების „განცხადებებად“ მოხსენიება გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგან „განცხადება“ რაღაცნაირად მაინც ნებაყოფლობითობის ელფერს ატარებს, თანამდებობის პირი კი ვალდებული უნდა იყოს მის თანამდებობასთან დაკავშირებით გამოვლინებულ და მისთვის ცნობილ სხვა „სამსახურებრივ“ დანაშაულებზე ოფიციალურად შეატყობინოს შესაბამის ორგანოს. სხვათა შორის, ამავე პროექტის 264-ე მუხლი უკვე აღარ განასხვავებს დანაშაულის შესახებ „განცხადებას“ და ცნობას — ორივეს „ცნობას“ უწოდებს.





ანობის რევიზიის ჩატარება“. არადა, პრაქტიკა დამაჯერებლად მოწმობს, რომ არა-  
 იშვიათად წინასწარ ამგვარი რევიზიის ან საკონტროლო ორგანოს (სპეციალისტის)  
 მიერ თემატური (მიზნობრივ-ლოკალური) შემოწმების ჩატარების (თუნდაც  
 მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში — პროკურორის თანხმობით) გარეშე შეუძ-  
 ლებელი ხდება საქმის აღძვრა-არაღძვრის საკითხის მართებულად გადაწყვეტა  
 (ჩემს ზემოხსენებულ პუბლიკაციაში მოტანილია მაგალითი, როცა პრეზიდენ-  
 ტის მიერ კონტროლის დაწესების და ქვეყნის კონტროლის პალატის კვალი-  
 ფიციური სპეციალისტების სოლიდური ჯგუფის ჩართვის მიუხედავად, ცნო-  
 ბილ საწარმო „მადნეულში“ რევიზია გრძელდებოდა დაახლოებით ერთი წელი).  
 ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს, რომ ასეთ შემთხვევაში აუცილებელი რევიზია-  
 შემოწმების ჩატარებლად საქმის აღძვრა ხშირად გამოიწვევს საქმეთა „ბრმად“  
 გამოძიებისათვის დროისა და ძალების ფუჭად ფლანგვას (უმიზნო დაკითხ-  
 ვების, ამოღებებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა შესრულება საგამოძიებო  
 ვადის მორიგ გაგრძელებამდე „ქაღალდების შესაგროვებლად“), გარეშე პირთა  
 ფუჭად მოცდენებს და ა. შ. ამავ ასპექტშია განსახილველი და გადასაწყვეტი  
 პროკურორის მიერ საქმის აღძვრამდე კონსულტანტის (სპეციალისტის) მოწვე-  
 ვისა და შემოწმებაში ჩართვის საკითხიც (საერთოდ, სისხლის სამართლის საქ-  
 მის აღძვრის სტადიის ამგვარ გაფეთქებებს ანგლოსაქსური ქვეყნები, ჩვენეული  
 გაგებით, საერთოდ არ იცნობს).

2. საქართველოში ამჟამად არსებული ორმოცდაათამდე საკონტროლო ორ-  
 განოს და მათ ქვედანაყოფებს, ისევე როგორც საჯარო ხელისუფლების სხვა ორ-  
 განებს, საეხებით შესაძლებელია ჰქონდეთ დანაშაულის ნიშნების შემცველი  
 ცნობები (მასალები), რომელთა პროკურატურაში ან საგამოძიებო ორგანოში  
 გადაგზავნა რაიმე მიზეზის გამო დიდხანს ყოვნდება ან საერთოდ არ ხდება,  
 რითაც იჩქმალება დანაშაული. პროკურატურის საერთოზედამხედველობითი  
 ფუნქციის ლიკვიდაციის შემდეგ პროკურატურას ამ მასალებზე ასე თუ ისე ხე-  
 ლი მიუწვდება მხოლოდ იმ ათიოდე სახელმწიფო ორგანოში, რომელთაც მოკ-  
 ელევის ფუნქცია გააჩნიათ. ვინაიდან ახალი კანონპროექტი არ ითვალისწინებს  
 დანაშაულთა შესახებ ცნობების კუთვნილებისამებრ გაგზავნის მოვალეობას,  
 ხოლო ზემოხსენებული ორგანოები ხშირად დაინტერესებულნი არ არიან გააგ-  
 ზავნონ მასალები (პირიქით, ხშირად დაინტერესებულნიც კი არიან არ „გამომ-  
 ზურდეს“ ამგვარი ფაქტები), გარდაუვალად დგება საკითხი იმის შესახებ,  
 რომ პროკურატურა აღიჭურვოს ამ საკითხის მთელს სახელმწიფოში შემოწმე-  
 ბის (კონტროლის) უფლებით (მიუხედავად ორგანოს თუ დაწესებულების დაქ-  
 ვემდებარებისა და სტატუსისა), რაც ლოგიკურად გამოდინარეობს სისხლის  
 სამართლებრივი დევნის პრეროგატიული კონსტიტუციური საპროკურორო ფუნ-  
 კციის სრულად განხორციელების, დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობის  
 ამაღლების პრიორიტეტული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანების რე-  
 ალიზაციის ინტერესებიდან.





# სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლი

1990 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში საქორწინო ასაკად მამაკაცებისათვის დაწესდა 17 წელი, ხოლო ქალებისათვის – 16. კანონის მეორე პუნქტის შესაბამისად, შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლის სათაური და პირველი ნაწილი, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„მუხლი 119. სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი.

– სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი – ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე“.

ცვლილებების შეტანამდე კი ეს მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული: „მუხლი 119. სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია.

– სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია, თუ ეს დამნაშავეისათვის წინასწარ იყო ცნობილი – ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე“.

ერთი შეხედვით, თითქოსდა ცვლილება უმნიშვნელოა და საკამათოდ არც ღირს, მით უფრო, რომ ჩვენი კოდექსი უამრავ გაცილებით აბსურდულ დებულებებსაც შეიცავს, რომელთა ცალ-ცალკე შეცვლა ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება, თუკი თავად კოდექსი არ შეიცვალა არსებითად, რასაც იმედია როგორმე გაართმევს თავს ახალ პროექტზე მომუშავე სამთავრობო კომისია.

განსახილველი საკითხი კი გადაღებას არ ითმენს, რადგან დღევანდელი რედაქციით 119-ე მუხლი, ფაქტობრივად, უმოქმედობისათვისაა განწირული და ეს ხდება არა იმიტომ, რომ ამგვარი დანაშაულები ჩვენში აღარ ხდება (პირიქით, თბილისში დღეს მოღვაწე მეძავთა დიდი ნაწილი არასრულწლოვანია), არამედ იმიტომ, რომ თავად კანონია უხეირო და თუ გამოძიებულმა „ძალიან არ მოინდომა“, დამნაშავეს ვერაფერს დააკლებს. დიახ, ეს კანონი მართლაც და ხელ-ფეხს უხსნის სგამოძიებო ზა სასამართლო ორგანოების წარმომადგენელთა სუბიექტივიზმს და თანაც არსებით წინააღმდეგობებსაც შეიცავს:

1. მედიცინაში და იურისპრუდენციაში დღემდე გაურკვეველია თუ რა არის „სქესობრივი სიმწიფე“. ზოგი მეცნიერის აზრით, იგი მხოლოდ ბიოლოგიური ცნებაა, ზოგს მიაჩნია, რომ იგი სამართლებრივი განსაზღვრაა, ზოგიც ბიოლო-



გიური და სოციალური ნიშნების ერთობლიობაზე მიუთითებს. საქესპერტო-სა მედიცინო პრაქტიკის თანახმად. ქალი სქესობრივად მომწიფებულად ითვლება იმ პერიოდიდან, როცა მას აქვს: სქესობრივი შეუღლების, ჩასახვის, ნაყოფის მუცლად ტარების, მშობიარობის და ბავშვის გაზრდის უნარი.

როგორც ხედავთ, „სქესობრივი სიმწიფის“ დადგენა არც ისე ადვილი და ხშირად ექსპერტებიც კი უშვებენ შეცდომას იმის განსაზღვრაში, იყო თუ არა დაზარალებული სქესობრივად მომწიფებული მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების მომენტისათვის. ამ მომენტის სირთულეზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ეს მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ გამოძიება დაადგენს, რომ დამნაშავემ დაზარალებულის სქესობრივი მოუმწიფებლობის ფაქტის შესახებ ზუსტად (და არა სავარაუდოდ) იცოდა მასთან სქესობრივი კავშირის დროისათვის.

ასეთი მოთხოვნა გამოძინარეობს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის აღიარებული დებულებიდან, რომლის მიხედვითაც განზრახვა უნდა მოიცავდეს უკლებლივ ყველა იმ ნიშანს, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს განეკუთვნება და დამნაშავეს მიერ თუნდაც ერთი ასეთი ნიშნის გაუცნობიერებლობა გამორიცხავს მოცემული დანაშაულის ჩადენის განზრახვას. სხვათა შორის, ამის შესახებ პირდაპირ იყო მიფიქრებული 119-ე მუხლის წინა რედაქციაში. ერთი სიტყვით, თუ დადგინდა, რომ დამნაშავემ არ იცოდა, მომწიფებულია თუ არა სქესობრივად დაზარალებული, მას პასუხს ვერ ვაგებინებთ. საიდან უნდა იცოდეს დამნაშავემ ვინ არის სქესობრივად მომწიფებული და ვინ არა?! ან როგორ უნდა მოსთხოვო მას ამის გარკვევა, თუკი ეს ხშირად თავად ექსპერტსაც უჭირს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული მუხლი პროფესიონალი ექსპერტებისათვის გახლავთ მიღებული, რადგანაც ამ მუხლით გასამართლების მსურველი ჩვეულებრივი მოქალაქე რომც გამოჩნდეს და აღიაროს პარტნიორის სქესობრივად მოუმწიფებლობის ცოდნის შესახებ, მაინც ვერ დაგვარწმუნებს ამაში.

ცხადია, როცა დაზარალებული მცირეწლოვანია (10-12 წლამდე), არავისთვის არ არის პრობლემა იმის განსაზღვრა, რომ იგი მართლაცდა მოუმწიფებელი და მოუმზადებელია სქესობრივი ცხოვრებისათვის, მაგრამ ხშირად ვერც ასეთ დროს გამოვიყენებთ 119-ე მუხლს, რადგან ეს ქმედება უფრო გაუპატიურებისკენ იხრება დაზარალებულის უძვეო მდგომარეობაში ყოფნის ნიშნით:

2. ასაკობრივი კრიტერიუმის ნაცვლად „სქესობრივი სიმწიფის“ კრიტერიუმის დაწესებამ, პრაქტიკულად მოსპო იმის შესაძლებლობა, რომ პირი პასუხისგებაში მიეცეს წინათ ჩადენილი ამგვარი დანაშაულისათვის და აი რატომ: ხშირად დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტი საგამოძიებო ორგანოებისათვის მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ხდება ცნობილი, როდესაც ეს უკანასკნელი უკვე მომწიფებულია სქესობრივად. ასეთ შემთხვევაში კი, პრაქტიკულად შეუძლებელია იმის დადგენა, იყო თუ არა დაზარალებული მასთან სქესობრივი აქტის განზორციელების მომენტისათვის სქესობრივად მომწიფებული და იცოდა თუ არა ამის შესახებ დამნაშავემ. ასაკობრივი კრიტერიუმის შემოღება კი ვაცილებით აიოლებს ამ პრობლემის გადაწყვეტას;

3. 119-ე მუხლის უცვლელად დატოვებამ ადვილი შესაძლებელია ზოგიერთი მამაკაცი საბრალდებო სკამზე საკუთარ მეუღლესთან სქესობრივი კავშირის გამო მოახვედროს: სქესობრივი მომწიფებულობის დადგენისათვის რაიმე ასაკობრივი კრიტერიუმი არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება სქესობრივად მოუმწიფებელი აღმოჩნდეს საქორწინო ასაკს მიღწეული პირი, მაგალითად, 16 წლის ქალი. პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს,



როცა ექსპერტიზამ 16-17 წლის ქალი ან ვაჟი მიიჩნია სქესობრივად მოუმწიფებლად. როგორ უნდა გადაწყდეს ასეთ შემთხვევაში იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ცოლად შეირთო საქორწინო ასაკს მიღწეული, ოღონდ სქესობრივად მოუმწიფებელი ქალი? ვინაიდან ასეთი შემთხვევებისათვის კანონმდებელი არავითარ გამონაკლისს არ უშვებს, ცხადია, დამნაშავე 119-ე მუხლის პირველი ნაწილით მიეცემა პასუხისმგებაში;

4. არსებობს სხვა არსებითი სახის წინააღმდეგობაც. კოდექსის 120-ე მუხლით (გარყვნილი ქმედება), გარყვნილი ქმედება იმ პირის მიმართ, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია, თუ ეს დამნაშავესათვის წინასწარ იყო ცნობილი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე...

მოქმედი კანონმდებლობით გარყვნილი ქმედება სქესობრივი კავშირის დამყარებას არ გულისხმობს. აქ განიხილება ინტელექტუალური ან ფიზიკური მოქმედებით 16 წლის ასაკს მიუღწეველი მოზარდის გარყვნა. ეს შეიძლება იყოს სასქესო ორგანოზე შეხება, მოზარდის დასწრებით სქესობრივი აქტის განხორციელება, გამრყვნილი საუბრები და ა. შ. ამ მუხლის კონსტრუქციაც სერიოზულ გადამუშავებას საჭიროებს, მაგრამ ამჟამად ამაზე საუბარი ჩვენს მიზანს არ შეადგენს. დავუბრუნდეთ 119-ე და 120-ე მუხლების ურთიერთმიმართებას. განვიხილოთ შემთხვევა, როცა დაზარალებული 16 წლის არ არის, მაგრამ სქესობრივად მომწიფებულია, რაც მედიცინის თანახმად სავსებით შესაძლებელია. დავუშვათ, რომ მამაკაცმა მასთან სქესობრივი კავშირი მისივე თანხმობით დაამყარა. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დადება, რადგან მოზარდი იყო სქესობრივად მომწიფებული და მან ნებაყოფილობით განაცხადა თანხმობა სქესობრივ აქტზე. შევარბილოთ იგივე კაზუსის შინაარსი და დავუშვათ, რომ ამ პირს სქესობრივი კავშირი კი არ დაუმყარებია, არამედ მხოლოდ ესაუბრა ასეთ კავშირზე, შეეცადა გაეცხოველებინა მისი სქესობრივი ინსტიქტი და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, მამაკაცი 120-ე მუხლით დაისჯება გარყვნილი ქმედებისათვის. გამოდის, რომ თავად სქესობრივი კავშირის ფაქტი დაუსჯელი დარჩა, ხოლო ასეთი კავშირის მოსამზადებელი „მოქმედებები“ კი დაისაჯა, რაც ცხადია აბსურდულია, მაგრამ ფაქტია და ამაში დამნაშავე სწორედ 119-ე მუხლის კონსტრუქციას, რომელიც ცვლილებასა და ძველი რედაქციით ჩამოყალიბებას საჭიროებს. მოგვიანებით კი, ახალი კოდექსის პროექტში კომპლექსურად უნდა იქნეს გააზრებული და განსაზღვრული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და მათ შორის რამდენიმე სრულიად ახალი შემადგენლობაც უნდა ჩამოყალიბდეს (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ჩემი წიგნი — „პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის“, თბ., 1994).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში (მაგ., აშშ, გერმანია, შვეიცარია, იაპონია და სხვ.) დასჯადია არა სქესობრივად მოუმწიფებელ, არამედ გარკვეულ ასაკს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირი. უმრავლეს ქვეყანაში კი ასეთ ასაკად სწორედ 16 წელია მიჩნეული.



3030 ყვარალაუზილი

# არასრულწლოვან მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია

პუმანიშმისა და მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის პრინციპებთან დაკავშირებულ პენიტენციალური რეფორმის პრობლემატიკის წარმოშობასა და განვითარებაში, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მსჯავრდებულის ქცევის დეკრიმინალიზაციაზე მისი პიროვნული თავისებურებების გავლენის გამოკვლევა.

შუა საუკუნეების დოქტრინა მთლიანად სადამსჯელო მოდელზე იყო აგებული. მასში მსჯავრდებულის პიროვნების პრობლემა არ მდგარა. ამიტომ პენიტენციალური ზემოქმედების პირობებში, ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა მსჯავრდებულის ქცევის დეკრიმინალიზაციის დროს პიროვნული თავისებურებების გათვალისწინების შესახებ.

ფეოდალური წყობილების დაშლისა და თავისუფალ მეწარმეთა საზოგადოების წარმოშობის კვალდაკვალ იზრდება დაინტერესება მსჯავრდებულის პიროვნების მიმართ. თავდაპირველად, პენიტენციალური ფორმების შემუშავებას ქაოსური ხასიათი აქვს. იგი უფრო ამა თუ იმ ქვეყნის ცალკეულ „ლაბორატორიულ“ ცდებს მოგვაგონებს. 1786 წელს ქ. ფილადელფიაში მუშავდება მსჯავრდებულთა გაძლიერებული რელიგიური დამუშავების მეთოდები. 1820 წელს ქ. ობორნში (აშშ) შემოიღეს მსჯავრდებულის მიერ იძულებითი სამუშაოების შესრულების სისტემა (ქვეების გადაზიდვა, მიწის თხრა და ა. შ.), რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში უზარო ხასიათის ატარებდა და ბოლოს, ინგლისში მუშავდება ე. წ. მსჯავრდებულთა პიროვნებაზე მრავალსაფეხურიანი ზემოქმედების პროგრესული სისტემა: ცდილობდნენ დაენერგათ პენიტენციალურ ორგანოთა დიფერენციალური ქსელი ახალგაზრდა დამნაშავეთათვის აღმზრდელობით ცენტრებში და ბორტსა-ლის დაწესებულებებში.<sup>1</sup>

ამასთანავე, პრაქტიკულ სიახლეებთან ერთად მუშავდება სამეცნიერო შრომები, რომლებშიც დამნაშავეთა კლასიფიკაციის ცდებია მოცემული. ჩ. ლომბროზომ და ე. ფერიმ ჩამოაყალიბეს დამნაშავეთა კლასიფიკაცია, რაც პირველი მეცნიერული ცდა იყო პენიტენციალური ზემოქმედების საფუძვლების შესაქმნელად,<sup>2</sup> თუმცაღა, „დამნაშავე ადამიანის“ კონცეფცია ბიოლოგიურ ნიშნებზე იყო აგებული. ასეთმა ნაშრომებმა მაინც მისცა ბიძგი ურთულესი პრობლემის — დამნაშავეთა კლასიფიკაციის განხრლვას. მოზარდთა ანალიზი და მათი „მორალური ანომალიების“ (ლომბროზოს ტერმინი) გამოვლინება დღესაც რჩება დისკუსიის საგნად.<sup>3</sup>

განსაკუთრებით მწვავედ რეაგირებდნენ ბიოლოგიურ კლასიფიკაციაზე სოციალური მიმართულების მომხრეები, ისეთები, როგორცაა: ემილ დიურგეიმი, მაქს ვებერი და სხვები. ამ მიმართულების მომხრეები არაორაზროვნად აყენებენ წინა პლანზე სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდებით შემუშავებულ კლასიფიკაციებს. მაგალითად, რ. მერტონი განსაზღვრავს კლასიფიკაციის ტიპებს, სადაც შეაქვს: 1. დამორჩილებადი ტიპი; 2. ინოვაციური (განახლებული) ტიპი;

1 საკითხის ისტორია იხ. დაწვრი: «Исправительно-трудовое право», М., юрид. лит-ра, 1971, стр. 175—187.

2 ჩ. ლომბროზოს შეხედულებათა მეთოდოლოგიური ანალიზი იხ. Ф. М. Решетников. Современная американская криминология, М., 1965, Ферри, Уголовная социология, ч. 1, СПб., 1910.

3 S. and E. Glueck. Toward a Typology of juvenile offenders. New-York-London. 1970.



3. რიტუალური ტიპი; 4. რეტრეტიზმისკენ გადახრილი ტიპი (ცხოვრებისაგან წამსვლელი) და ზეაღმშობელი ტიპი.<sup>4</sup> ემოდ დიურგეიმის მოხარდა უფრო ფართო კლასიფიკაციის განსაზღვრისკენ მიისწრაფვის, რასაც იგი „კოლექტიური გრძობების საწინააღმდეგო მოქმედებების აკრძალვის წესებს“ უწოდებს.<sup>5</sup> იმავედროულად მუშავდება შედარებითი-ტიპოლოგიური სქემები. როგორც ვ. ფოქსი გვამცნობს, ქ. ბალტიმორში (აშშ) ტარდება მოწვევებისა და ახალგაზრდა სამართალ-დამრღვევთა შედარების ცდები.<sup>6</sup>

ამრიგად, დაწყებული XIX საუკუნიდან, კლასიფიკაციისადმი ინტერესი პენიტენციალური რეფორმის შემუშავების განუთხმელი სამეცნიერო მიმართულება ხდება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ერთი დეტალი. ჩვენ შემთხვევით არ მიგვიტყვია ყურადღება ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური მიდგომების საწყისი პოზიციებისადმი. თუ ლომბროზის მომხრეები პიროვნების გამოკვლევას, ასე ვთქვათ, შიგნიდან მოითხოვდნენ, სოციოლოგიური მიმართულების ზოგიერთი მომხრე პიროვნების გარედან გამოკვლევის ცდებს ატარებდა. შეტყაობა უკიდურესი პოზიცია ეკავა მ. ვებერს, რომელიც სამართლებრივი პრობლემატიკის შესწავლას (კრიმინოლოგიურის ჩათვლით) გარედან<sup>7</sup> მოითხოვდა.

მაშასადამე, კლასიფიკაციის პრობლემატიკას დაემატა კიდევ ერთი მეთოდოლოგიური პრობლემატიკა — კლასიფიკაციის კრიტერიუმის განსაზღვრა.

დღეისათვის არასრულწლოვანთა კლასიფიკაციის მიმართ ინტერესი ერთნაირი არ არის. ზუ ყოფილ საბჭოთა კავშირში არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა კლასიფიკაცია მხოლოდ დახურული დაწესებულებებისათვის მუშავდებოდა.<sup>8</sup> ამერიკული პენიტენციალური მეცნიერება მხოლოდ ამ კლასიფიკაციის გაფართოების გზით მიდიოდა ნახევრადლია და ღია დაწესებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. პენიტენციალისტების ამერიკული სკოლა არსებით გავლენას ახდენს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაზე, სახელდობრ, ფერ-სა და იაპონიაზე.<sup>9</sup> წამყვანი ქვეყნების თითქმის ყველა ღივი მეცნიერი, დღეისათვის, უპირატესობას ანიჭებს ამერიკული პრაქტიკისა და პენიტენციალური მეცნიერების გამოცდილებას. ამ მიმართულებით გამოცემულია უამრავი რაოდენობის შრომა. და მაინც, მეცნიერები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები არადაამაკმაყოფილებელია. „სასჯელის მოხდისას, აღმზრდელობითი (არადასჯელობითი) ზემოქმედების გამოყენების უნაყოფობის მიზეზი, — შენიშნავს ჰანს შნაიდერი, — იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ნებისმიერი ასეთი ზემოქმედება აუცილებლად დამარცხდება თავის დინამიურ განვითარებაში, როცა მას წინ ეღობება ციხის შინაგანაწესის მკაცრი წესები. ციხის პირობებში, მსჯავრდებულზე ნამდვილი თერაპიული, გამაჯანსაღებელი ზემოქმედება არც სამართლებრივი, არც ორგანიზაციული გზით შესაძლებელი არ არის. არასადასჯელო ზემოქმედების სოციალურ-თერაპიული მიზნები და მეთოდები იმდენად ეწინააღმდეგება სასჯელის მოხდის მარეგულირებელ სამართლის ნორმებს, მის ამოცანებსა და მეთოდებს (სახელდობრ, დაცვასა და წესრიგს), რომ ციხეში ეფექტიანი თერაპიის განხორციელება, უზარალოდ, შეუძლებელია. „მკურნავე ჩვეულება“ მიმდინარე სოციალიზაციის პროცესი იქ იმსხვერველა მსჯავრდებულთა ადგილის უძრავ სისტემასთან შეხებით. „მკურნავე სისტემა“ სხვა არაფერი იქნება, თუ არა არტეფაქტი. იგი ვერ გახდება ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც შემდგომ დამოუკიდებლად შეეძლება განვითარება.“<sup>10</sup>

სხვა გერმანელი მეცნიერი ფ. დუნკელი შემფოთებულია შემდეგი პრობლემატური საკითხების გადაუწყვეტლობით: 1. ვინ უნდა იქნეს გადაყვანილი ღია ციხეში? 2. ვინ დაბრუნდა ციხეში და რატომ? 3. ვისი თხოვნა იქნა უარყოფილი სოციალურ-თერაპიულ მკურნალობაზე? 4. ქვეყნის როგორი სტრუქტურები გააჩნია პირებს, რომლებიც ციხეში რჩებიან?!<sup>11</sup> არასრულწლო-

4 P. Merton, Социальная структура и Социология преступности, М., «Прогресс», 1966, стр. 305.

5 З. Дюркгейм, О разделении общественного труда, Метод Социологии, М., «Наука», 1991, стр. 149.

6 В. Фокс, Введение в криминологию, М., «Прогресс», 1980, стр. 43.

7 М. Вебер. Избранные произведения, М., «Прогресс», 1990, стр. 720.

8 Г. М. Миньковский, Особенности классификации несовершеннолетних преступников, Сб., Вопросы изучения и предупреждения правонарушений несовершеннолетних, ч. I. М., 1970, стр. 79—91.

9 Г. Шнайдер, Криминология, М., «Прогресс», 1994; Кан Узда, Преступность в современной криминологии, М., «Прогресс», 1989.

10 Г. Шнайдер, Криминология, М., «Прогресс», 1994, стр. 422.

11 F. Dunkel. Selection and Recidivism after Different modes of Imprisonment in West-Berlin. — Research in Criminal Justice, Freiburg. 1820, გვ. 452-470.



ვან მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის განსაზღვრის ცდები, ჯერჯერობით, ვერ დაიყვანება ერთიან პოზიციაზე. პირიქით, რაც უფრო იზრდება კლასიფიკაციათა რაოდენობა, მით უფრო მეტ-თრად მკლანდდება აზრთა სხვადასხვაობა. და მაინც, არსებული პრობლემების მიუხედავად, ჩანს საერთო ტენდენცია. „კლასიფიკაციამ, — წერს ვ. ფოქსი, — განვლო გზა... „მინვერდიან“ (XIX ს. და XX საუკუნის დასაწყისი) პირთა დაჯგუფების უფრო სრულყოფილ მეთოდებამდე, მათი მოთხოვნების გათვალისწინებით“;<sup>12</sup>

კლასიფიკაციის წინაშე მდგომი ძირითადი საკითხებიდან გამოიყოფა:

— არასრულწლოვან მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის პრობლემის აქტუალობა პენიტენციალური პრაქტიკის ამოცანების გადაწყვეტაში;

— პრობლემის შერჩევა და მისი გადაჭრის პრინციპების დასაბუთება;

— არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა კლასიფიკაციის სქემა;

კლასიფიკაციის პრობლემის აქტუალობა, როგორც ცნობილია, ისტორიულად ყალიბდებოდა და ძალზე მნიშვნელოვანია პენიტენციალური დაწესებულებების თანამედროვე პრაქტიკაში, ოღონდ, აზრთა სხვაობას იწვევს პენიტენციალურ სფეროს რეჟიმის არჩევანი, სადაც პრობლემა უნდა გადაწყდეს (მსჯავრდებულის გამოსწორება). მეცნიერთა ერთ ნაწილს საპიროდ მიაჩნია პენიტენციალური დაწესებულებების ქსელის გაფართოება, ყურადღების გადატანა კლასიფიკაციის სპეციალურ ცენტრებზე, საზოგადოებისა და პენიტენციალური დაწესებულებების კომპლექსური ღონისძიებების გაფართოება.<sup>13</sup> ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა შენევის ცენტრი და დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და კრიმინალური იუსტიციის ენის განყოფილება 17.2 დღეგენერლებით ითხოვენ ფორმალური იუსტიციის „შევიწროებას“, ალტერნატიული ღონისძიებების გაფართოების ხარჯზე.<sup>14</sup> უქვევლია, რომ ამ მიმართულებით არასრულწლოვანთა კლასიფიკაცია ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზის ამოცანის წინაშე დგას. მეცნიერთა სხვა ჯგუფი აგრძელებს კლასიფიკაციის ტრადიციას პენიტენციალური სისტემის რეფორმის გათვალისწინების გარეშე.<sup>15</sup> ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, არსებობს რსფსრ შრომა-გასწორების კოდექსი (ზოგიერთი ცვლილებითა და დამატებით). მსჯავრდებულთა პენიტენციალური კლასიფიკაცია მასში გამოხატავს დახურული დაწესებულების პრაქტიკის მოთხოვნას.<sup>16</sup>

პირველ საკითხთან დაკავშირებით, აზრთა არსებითი სხვადასხვაობა უფრო მკაფიოდ თავს გვხსენებს უკვე მეორე საკითხის გადაჭრის დროს. პრობლემის შერჩევისა და გადაჭრის პრინციპების დასაბუთებისას, მეცნიერები სამი მიმართულებით ჯგუფდებიან: 1. ეკლექტიური; 2. ემპირიული და 3. მონისტური მიდგომების არგვლივ.

ეკლექტიური მიდგომა დამახასიათებელია იმ გამოკვლევებისათვის, სადაც სამედიცინო-ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ნიშნები თითქოსდა გვერდი-გვერდ მდებარეობენ. აქ დამნაშავის პიროვნება და ამ ცნებაზე აგებული კლასიფიკაცია მექანიკურ ხასიათს ატარებს. ტერმინი „დამნაშავის პიროვნება“ ძალზე პირობითია და ბუნდოვანი.<sup>17</sup> ეს მიდგომა იყო განვითარებული ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ემპირიული მიმართულება უფრო მეტად დასავლეთის მეცნიერებაშია განვითარებული. განსაკუთრებით გამოკვეთილად გამოიყოფა იგი ამერიკულ კრიმინოლოგიურ და პენიტენციალურ მეცნიერებაში. აქ კლასიფიკაცია ამა თუ იმ ფსიქოლოგიურ კონცეფციაზე იგება.<sup>18</sup>

და ბოლოს, მონისტური მიდგომა ცდილობს ნიშანთვისებათა მრავალგვარობა ერთიანი სუბსტანციიდან განსაზღვროს. ეს გზა აირჩიეს ქართველმა მეცნიერებმა, რომლებიც ინტენსიურად ამუშავებენ ცნობილი ქართველი მეცნიერის დ. უზნაძის<sup>19</sup> თეორიას. მონისტური თეორიების მომხრეთათვის დამახასიათებელი არ არის დასავლეთის მეცნიერთა კონცეფციის უარყოფა.

<sup>12</sup> В. Фокс, Введение в криминологию, М., «Прогресс», 1980, стр. 270.

<sup>13</sup> Кан Уэда, Преступность и криминология в современной Японии, М., «Прогресс», стр. 228—229.

<sup>14</sup> Special rules for Juveniles. — Human Rights and Pre-trial Detention. New-York and Geneva. 1994, გვ. 44-45.

<sup>15</sup> О. В. Пристанская, Правосознание лиц, совершающих преступления несовершеннолетнем и молодом возрасте, — сб., Криминологические проблемы правосоздания и общественного мнения о преступности, Москва-Прага, стр. 197.

<sup>16</sup> «Исправительно-трудовой кодекс РСФСР», М., 1983.

<sup>17</sup> «Личность преступника», М., «Юрид. лит-ра», 1971; «Личность преступника», М., «Юрид. ли-ра», 1975; \* А. С. Михлин, Роль социальных и демографических свойств личности осужденных, М., 1970 и др.

<sup>18</sup> А. Коэн, Содержание деликветной субкультуры, Социология преступности, М., «Прогресс», 1980, стр. 173.



პირიქით, სემანტიკური დიფერენციალის, ოზგუდისა და სხვა ცნობილი მეთოდების გამოყენებისას, ისინი დასავლეთის მეცნიერებაში არსებულ ხარვეზებს ასებენ.

კლასიფიკაციის პრობლემების დამუშავება კრიტიკული ანალიზით არ ამოიწურება. პენიტენციალური სისტემის რეფორმის აუცილებლობა პრაქტიკული პროგრამის ჩამოყალიბებას მოითხოვს. შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციალური სისტემის რეფორმის პროცესში ათვლის მთავარი და ამოსავალი წერტილი მაინც არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა კლასიფიკაციაა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მსჯავრდებულის პიროვნების გავლენის ბუნება მისი ქცევის დეკრიმინალიზაციაზე.

პენიტენციალური სისტემის პრობლემაში, მსჯავრდებულთა პიროვნების ცვლილება გავლენას ახდენს დეკრიმინალიზაციაზე, მკაცრად განსაზღვრული კანონზომიერებით. თუ ეს კანონზომიერება დადგენილია, მაშინ პენიტენციალურ დაწესებულებას შეუძლია ჩათვალოს, რომ პირი რესოციალიზირებულია; იგი გახდა საზოგადოების ფასილები. თუ ეს კანონზომიერებები გათვალისწინებული არ არის, მიიღება უარყოფითი შედეგი — რეციდივი. ამ არსებითი კანონზომიერების გამოხატულების უმაღლესი მეცნიერული ფორმაა მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია, მაგრამ კლასიფიკაციაზე მოთხოვნა მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის ჩატარებაზე გაცილებით უფრო ადრე არსებობს. შეიძლება მთელი რიგი ფორმების გამოყოფა: იმ პირთა კლასიფიკაცია, რომლებიც წინასწარ დაკავებას ექვემდებარებიან, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია და ა. შ. კლასიფიკაციის ყველა ეს ფორმა თავის სპეციფიკულ პრაქტიკულ ფუნქციას ასრულებს. მაგრამ მაინც არსებობს მთავარი საწყისი კლასიფიკაციები, რომლებიც მსჯავრდებულთა კლასიფიკაციაზე ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. ლაპარაკია ნორმატიულ კლასიფიკაციაზე, რომელიც პენიტენციალური სისტემის პრობლემის აღქმას შესაძინებ გავლენას ახდენს. ამიტომ, სანამ სხვადასხვა რესოციალურ-ფსიქოლოგიურ კლასიფიკაციებს განვიხილავდეთ და უფრო მისაღებ ვარიანტს ავირჩევდეთ, აუცილებელია წინასწარ განვიხილოთ ნორმატიული კლასიფიკაციის არსი.

როცა ნორმატიულ კლასიფიკაციაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს დანაშაული და მის ჩამდენ პირთა კლასიფიკაცია. ე. ი. კლასიფიკაცია, რომელიც თვით კანონშია მოცემული. განვიხილოთ დანაშაულის კლასიფიკაცია.

სხვადასხვა სახის დანაშაულობათა კლასიფიკაციის ძირითადი საფუძველია ხელყოფის ობიექტი. მის გარეშე, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ თ. წერეთელი და გ. ტყეშელიძე, დანაშაული არ არსებობს.<sup>19</sup> ნათელია, რომ გამოსწორების მიზნებისათვის საჭიროა პარამეტრების კომპლექსი, რომელიც იურიდიული რეგლამენტაციის ჩარჩოებს გარეთ გამოდის. მაგრამ ასევე ნათელია, რომ პენიტენციალური ზემოქმედების პროცესის განხორციელება შეუძლებელია, თუ დადგენილი არ იქნება დანაშაულის ჩადენის ფაქტი. დანაშაულის ფაქტის კონსტატაცია სასჯელის მისჯისა და მისი აღსრულების მთელი სტადიის საწყისი ეტაპია. ეს პრინციპული დებულება წითელ ხაზად უნდა გასდევდეს მთელ პენიტენციალურ აზროვნებას. მიუღებელია ზოგიერთი ამერიკელი მეცნიერის ანტილეგალისტური პოზიცია, რომლებიც ძალზე სექტეკურად უყურებენ იურიდიულ ცნებებს და მის საწინააღმდეგო ბუნდოვან ტერმინებსა და ცნებებს გვთავაზობენ.<sup>21</sup>

ამრიგად, პირველი მნიშვნელოვანი კლასიფიკაცია არის დანაშაულის ტიპოლოგიაში გამოხატული იურიდიული კლასიფიკაცია, მოქმედებათა სახეების მიხედვით.

ამ კლასიფიკაციასთან ერთად, კანონმდებელი იძლევა კიდევ რამდენიმე განსხვავებულ კლასიფიკაციას. სიმძიმის ნიშნის მიხედვით, დანაშაული იყოფა: მძიმე და ნაკლებად საშიშ სახეობად. მძიმე დანაშაულის შესწავლისას სასამართლოს საშუალება ეძლევა მხედველობაში მიიღოს საქმის ვითარება და არასრულწლოვანთათვის პასუხისმგებლობის დადგომის საერთო პირობები.

შემდეგ ჩვეუში შედიან უფრო ნაკლებსაშიშ დამანაშავეები, რომლებიც არ შედიან მძიმე დანაშაულის ჩამდენთა ჩვეუში. ზოგიერთ ავტორს ამ ჩვეუში შეჰყავთ, აგრეთვე, ნაკლებ მნი-

<sup>19</sup> თ. ანდლულაძე, ასოციალური ქცევის გავლენა არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მოტივაციური სტრუქტურის ფორმირებაზე, არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები, თბ., „მეცნიერება“, 1983, გვ. 14.

<sup>20</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., „მეცნიერება“, 1969, გვ. 145.

<sup>21</sup> ამერიკულ კრიმინოლოგიაში ცნება „დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი“ იცვლება ტერმინით „დელიკვენტი“, ე. ი. „პირი დანაშაულის მიდრეკილებით“, იხ. (Jl. Вилкинс. Поления деликвентов. — сб., Социология преступности, М., «Прогресс», 1966, стр. 232—249.





შენელოვანი და საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში პირები.<sup>22</sup> სისხლის სამართლებრივი ინსტიტუტების ასეთი მსჯელობა მთელი სისხლის სამართლებრივი დოქტრინის შესახებ, არაკორექტულია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის II ნაწილი მცირემნიშვნელობის ქმედებას დანაშაულად არ მიიჩნევს. შეიძლება წამოიჭრას კითხვა: რატომ ლაპარაკობს კანონმდებელი ამ ქმედებაზე სისხლის სამართლის კოდექსში, თუ იგი დანაშაული არ არის? ხომ არ არის ეს ანტილეგალისტების ბანაკიდან განდგომა? ამ მომენტის ანალიზის დროს, ქართველ მეცნიერს ო. გამყრელიძეს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არის სისხლის სამართლებრივი უმართლობა და არა დანაშაული, ვინაიდან ქმედება აღწერილია კანონში, მაგრამ იგი საზოგადოებრივად საფრთხეს არ წარმოადგენს.<sup>23</sup> მაშასადამე, ხწორი იქნებოდა სისხლის სამართლებრივი უმართლობა (ფართო გაგებით) გაგვეყო ორ ნაწილად: პირველ ნაწილს შეადგენს საკუთრად დანაშაული (მძიმე და ნაკლებმძიმე), მეორეს კი თვით სისხლის სამართლებრივი უმართლობა. რაც შეეხება საზოგადოებრივ ზემოქმედებას, ის შეიძლება გამოვიყენოთ ნაკლებად საშიში დანაშაულის დროს, მის თავისებურებებთან დაკავშირებით. ჩვენ დაწვრილებით არ შეგზრდით ამ თემაზე, ვინაიდან იგი ჩვენი შრომის ამოცანებს სცილდება. ამიტომ, იძულებული ვართ, დანაშაულის კლასიფიკაციის მხოლოდ კონსტანტაციით შემოვიფარგლოთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს დანაშაულის ჩამდენ პირთა კლასიფიკაცია. პირთა კლასიფიკაცია არ განსაზღვრავს დანაშაულთა კლასიფიკაციას, პირიქით, დანაშაულთა კლასიფიკაცია საფუძველთა საფუძველია. მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენ პირთა გარდაცემა შეიძლება აიგოს საწყის კლასიფიკაციაზე. ოღონდ, არსებობს კიდევ ერთი ნიუანსი. დანაშაულის მიხედვით პირთა კლასიფიკაცია შეივსება კლასიფიკაციით დანაშაულის სუბიექტების მიხედვით. აქ გამოიყოფა: რეციდივისტები და პირველად ნასამართლევი პირები.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ზემოაღნიშნული კლასიფიკაციები. სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი იმ სახელმწიფოში არსებულ კანონმდებლობას გამოხატავენ. თუ მხედველობაში მივიღებთ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას, მაშინ კლასიფიკაციას უნდა დავამატოთ სუბიექტის პასუხისმგებლობის ნიშნები. აქ უნდა გამოიყოს პასუხისმგებლობა საერთო სასამართლოების წინაშე (როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში) და საოჯახო სასამართლოების წინაშე (სუბციალური სასამართლოების წინაშე, რომლებიც იხილავენ არასრულწლოვანთა საქმეს, მაგალითად, იაპონიაში).

ნორმატიული კლასიფიკაცია საფუძვლად ედება სასამართლო ორგანოების საქმიანობას. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ორი მიმართულებით მქადნდება: ჯერ ერთი, სასჯელის აღსრულება ხორციელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც გასამართლებული არიან კანონის საფუძველზე. აქ ზუსტად გატარებულია ლეგალისტური ხაზი, მეორე — დამანაშავეთა კლასიფიკაცია მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის დამუშავებისა და დანერგვის საფუძველია. აქ ნორმატიული კლასიფიკაცია თითქოს საზომია, რომლის ფარგლებს გარეთ არ შეიძლება გავიდეთ. ამასთან, ნორმატიული კლასიფიკაცია თავის თავში შეიცავს პრობლემას, რომელიც სასჯელის აღსრულების პროცესში უნდა გადაწყდეს.

დამანაშავეთა კლასიფიკაციის უშუალოდ ჩატარებისას, სასჯელის აღსრულების პირობები შემდეგ სიტუაციაზე მივიყვანდა: პენიტენციალური ზემოქმედების დაწესებულებები დანაშაულის სიმძიმედან რომ გამოდიოდნენ, მაშინ ერთ ჯგუფში მოხვედებოდნენ მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირველად მსჯავრდებულები და არაერთხელ ნასამართლევი (თუ ისინი დანაშაულის მძიმე კატეგორიას მიეკუთვნებიან), ანალოგიურად, ერთ ჯგუფში მოხვედებოდნენ მძიმე დანაშაულისათვის პირველად ნასამართლევი და არაერთხელ ნასამართლევი (თუ ეს უკუნასკენლნი უფრო ნაკლებად საშიშნი არიან). რამდენადმე ბუნდოვანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლში წარმოდგენილი კლასიფიკაცია. საერთო რეჟიმში ხვდებიან თავისუფლების აღკვეთამისჯილი პირველად ნასამართლევი მსჯავრდებულები, ხოლო გაძლიერებულ რეჟიმში — ადრე ნასამართლევი. თუ არსებულ კლასიფიკაციას დავეყრდნობით, აღმოჩნდება, რომ შემთხვევითი დამანაშავეები და ბოროტმოქმედები (თუ მათ პირველად ჩაიდინეს ასეთი დანაშაული) საერთო რეჟიმში ხვდებიან. ადრე სასჯელმოსხილები შეიძლება იყვნენ შემთხვევითი (მაგალითად, თუ დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩაიდინეს) და ბოროტმოქმედები.<sup>24</sup> ამასთან დაკავშირებით, სამართლიანად არის აღნიშნული, რომ პიროვნების მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენა უფლებას არ გვაძლევს იგი „შემთხვევით“ ან „სიტუაციურ“ და-

<sup>22</sup> ასეთი პოზიცია უჭირავს ნ. ა. სტრუჩკოვსა და ვ. ნ. ბრიზგალოვს. Классификация осужденных к лишению свободы и определение им вида исправительно-трудовой колонии. Киев, 1967, стр. 12.

<sup>23</sup> ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 129-131.



მანაშავეთა კატეგორიას მივაკუთვნოთ. ჩადენილი დანაშაულის „პირველადობა“ ან განმეორება ერთ-ერთი ფაქტორია, რომლის მიხედვით შეიძლება დანაშაულებრივი ქცევის შემთხვევითობის ან ტიპურობის შესახებ ვიმსჯელოთ და შესაბამისი პროგნოზირება გავაკეთოთ.<sup>25</sup> პირველიც და მეორე დანაშაულიც შეიძლება „ამოვარდნენ“ ინდივიდის ქცევის ძირითადი ხაზიდან, თუ მათ ერთმანეთისაგან დროის მნიშვნელოვანი შუალედი ამორებს და თუ ისინი არ შექმნიან საცი-ალურ რეციდივს.<sup>26</sup>

ზემოთ ნათქვამიდან ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ დებულებები, რომლებიც მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის დროს უნდა შესრულდეს:

ა) მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის მეთოდები მოდიფიცირებული უნდა იყოს მათდამი მოპყრობის წესების გათვალისწინებით;

ბ) კლასიფიკაციამ უნდა დააყენოს ჯგუფებისა და პიროვნებების ამოცანა, რათა არაფორ-მალურმა ლიდერებმა გავლენა არ მოახდინონ დანარჩენებზე;

გ) კლასიფიკაცია სტაბილური და დიფერენცირებული უნდა იყოს;

დ) კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა ედოს პიროვნების საშიშროება, რომელიც იმანენ-ტური ნიშნების გათვალისწინებით განისაზღვრება.

მეცნიერთა უმრავლესობა ეთანხმება იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც საწყისი პო-ზიცია პიროვნების საშიშროება უნდა იყოს; მაგრამ ამ საკითხს ძალზე ზედაპირულად გადმოს-ცემენ. ჩვეულებრივ, ნასამართლობის რაოდენობას იმოწმებდნენ.<sup>27</sup> უეჭველია, რომ ნასამართ-ლობის ოდენობა შეიძლება იყოს პიროვნების საშიშროების მაჩვენებელი. პენიტენციალური პრაქტიკა აღსტურებს ამ კეშმარტებს, მაგრამ არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის ფაქტი, რომ არსებობს კრიმინოლოგიური რეციდივი, რომელიც არ ემთხვევა იურიდიულს. არასრულწლოვანს შეუძლია ჩაიდინოს რიგი დანაშაულობებისა, რომლებიც ცნობილი არ იყო სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ამიტომ, თუ კრიმინოლოგიურ და იურიდიულ რეციდივს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ისინი განსაზღვრული ზომით გადაკვეთენ, მაგრამ არ ემთხვე-ვიან ერთმანეთს.

ამგვარად, მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მის-ჯილი, შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

1. მსჯავრდებულები ნაკლებადსაშიში დანაშაულისათვის;

2. მსჯავრდებულები მძიმე დანაშაულისათვის;

3. არაერთხელ ნასამართლენი.

კლასიფიკაციის პრობლემატიკის გადაწყვეტა არ ამოიწურება ჩვენს მიერ დასმული საკით-ხების განხილვით. გასაგებია, რომ კლასიფიკაციის საკითხები პენიტენციალურ სამართალში არ ამოიწურება გაშუქებული თემატიკით. მაგრამ საკითხის დასმის მიზნით ჩვენ შევეხეთ ზოგიერთ მათგანს, რათა მომავალში განხილული პრობლემატიკა გავიტანოთ ფართო აუდიტორიის სამს-ჯავროზე.

<sup>24</sup> «Личность преступника», М., «Юрид. лит.-ра», 1975, стр. 56—57.

<sup>25</sup> «Особенности назначения условного осуждения», «Советская юстиция», 1967, № 14.

<sup>26</sup> ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები იხილეთ ჩვენ მეცნიერთა მასალებში: «Криминология», М., «Прогресс», 1982, стр. 122—125.

<sup>27</sup> А. Б. Сахаров, Правонарушения подростка и Закон, М., «Юрид. лит.-ра», 1967, стр. 181—212.





# მიკროოპიქტები და ზემოხვევის ადგილის დათვალიერება

დანაშაულის ჯეროვანი, სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა შეუძლებელია სისხლის სამართლის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მაღალ დონეზე წარმოების, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართო მეცნიერული საფუძვლების გამოყენების გარეშე.

დანაშაულის გახსნა ნიშნავს, გამოვლინდეს მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი და დადგინდეს დანაშაულის ჩამდენი პირი. დანაშაულის გახსნა კი წარმოებს სისხლის სამართლის პროცესუალური და ოპერატიული სამსახურის საქმიანობის მეშვეობით.

დანაშაულის ხარისხიანად და წარმატებით გამოძიება, დამნაშავეთა მხილება, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მარჯვედ, დროულად, ხარისხიანად და ორგანიზებულად იქნება ჩატარებული პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედება, რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია შემთხვევის ადგილის დათვალიერება და როგორც წესი, იგი იძლევა ფართო ინფორმაციებს ვერსიის აგებისათვის, განსაზღვრავს გამოძიების შემდგომ მიმართულებას. შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში დაიძებნება, შეისწავლება და შეფასდება მატერიალური ობიექტები, მათი მოქმედება, მდგომარეობა, ურთიერთგანლაგება, ურთიერთკავშირი საგნებსა და მოვლენებს შორის, აიხსნება მათ შორის წინააღმდეგობანი. დათვალიერების დროს ხდება ნივთიერ მტკიცებულებათა დაძებნა, აღმოჩენა, ამოღება და ფიქსაცია, რომელთა დამახასიათებელი თვისებებია მათი შეუცვლელობა. ამიტომ, თუ ნივთიერი მტკიცებულება განადგურდა ან დაიკარგა, შეუძლებელია მისი შემცვლელი სხვა საბუთების შედგენა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენენ მაკროობიექტებს, რომელთაც გააჩნიათ სათანადო განზომილებანი და საკმარისია ვიზუალური შესწავლისათვის. კერძოდ, დაქტილოსკოპიური ობიექტები, დოკუმენტები, ხელთნაწერები, სხვადასხვა იარაღები, მათი კვანძები და ა. შ. მაგრამ შემთხვევის ადგილზე ხშირად გვხვდება შეუიარაღებელი თვალთ შეუმჩნეველი და ძალიან უმნიშვნელო მასის, მაგრამ მტკიცებისათვის მეტად საჭირო ობიექტები, რომელთა მნიშვნელობა დანაშაულის გახსნის საქმეში ძალიან დიდია. ეს მცირე, თვალთ უხილავი ობიექტები წარმოადგენენ მიკროობიექტების მიკროკვანძებს, მიკრონაწილაკებს, რომელთა აღმოჩენა ხდება სწორედ დანაშაულის ჩადენის ად-



გილას და პირდაპირ კავშირშია მომხდარ შემთხვევასთან. ისინი შეიძლება აღმოჩნდეს გვამის, საგნების დათვალიერებისას, დაზარალებულისა და ეჭვმიტანილის შემოწმებისას, მათ ტანსაცმელზე და უშუალოდ შემთხვევის ადგილზე.

მიკროობიექტებს ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათი შემთხვევის ადგილიდან ამოღებითა და კრიმინალისტიკური გამოკვლევის შედეგად ხდება დამნაშავეთა მხილება, ხოლო თვით მიკროობიექტები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულებებია.

მიკროობიექტებისაგან განსხვავებით, მიკროობიექტები შეუიარაღებელი თვალით უხილავნი არიან, არ შეიძლება მათი მანიპულაცია — ხელით დაშვება. მიკროობიექტების ამოღება, ფიქსაცია და კრიმინალისტიკური გამოკვლევა ხდება სტანდარტული ხერხებითა და მეთოდებით, ხოლო მიკროობიექტებისა კი სპეციალური ტექნიკური მეთოდებით, ხერხებითა და საშუალებებით.

მიკროობიექტები თავისი ბუნებით იყოფა ორგანულ და არაორგანულ მიკროობიექტებად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფიან ბუნებრივი და არაბუნებრივი წარმოშობის მიკროობიექტებად.

ორგანული, ბუნებრივი წარმოების მიკროობიექტებია მცენარისა და ცოცხალი ორგანიზმის ნაწილები, მიკროორგანიზმები, ნავთობი, ტორფი, ქვანახშირი, ბუნებრივი გაზი; ხოლო ორგანული, არაბუნებრივი წარმოებისაა — ბოჭკოები, საღებავები, ნავთობპროდუქტები, წამლის პრეპარატები და სხვა სინთეტიკური, ქიმიური შენაერთები, პოლიმერული მასალები, ადამიანის გამონაყოფი, ცხიმი, ორგანული შხამი.

არაორგანული, ბუნებრივი წარმოშობის მიკროობიექტებშია: ნიადაგები, მადანი, მინერალები, მარილები, ყვანგი, თვითნაბადი მეტალები, ბუნებრივი წყლები, ხოლო არაორგანული, არაბუნებრივი წარმოშობისაა — სარკე, კერამიკა, ლითონების შენადნობი, სამშენებლო მასალები, სინთეტიკური ქიმიური შენაერთები, სასუქები, მჟავა.<sup>1</sup>

ასეთი დაყოფა და კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა შემთხვევის ადგილზე მათი წარმატებით დაძებნისათვის, რადგან თითოეულ მათგანს აქვს დამებნის, აღმოჩენის, ამოღებისა და გამოკვლევის თავისი მეთოდები და საშუალებები, ასევე თითოეული მათგანის თვისებებიდან გამომდინარე, ცალკეული დანაშაულის მიხედვით, ხდება მათი ლოკალიზაცია საგანმატარებელზე, ასევე ხდება მათი სისტემატიზაცია წარმოქმნის მექანიზმის მიხედვით.

მიკროობიექტების კრიმინალისტური გამოკვლევა, ფართო გაგებით, ნიშნავს ამ ობიექტების შემეცნების პროცესს — დაწყებული ძებნით და დამთავრებული მტკიცებულების მიღებითა და შეფასებით. მიკროობიექტების გამოკვლევა ხუთი ეტაპისაგან შედგება, კერძოდ: 1. მიკროობიექტების შეგროვება-დაძებნა, აღმოჩენა, ამოღება და ფიქსაცია; 2. მიკროობიექტების წინასწარი გამოკვლევა უშუალოდ შემთხვევის ადგილზე; 3. მიკროობიექტების საქსპერტო-კრიმინალისტური გამოკვლევა დიაგნოსტიკისა და იდენტიფიკაციის მიზნით; 4. სამძებრო და მტკიცებულებითი ინფორმაციის მიღება და შეფასება; 5. ინფორმაციის გამოყენება დანაშაულის გახსნის საქმეში.<sup>2</sup>

1. В. Е. Капитонов, Н. М. Кузьмин, Т. Ф. Одиночкина, В. А. Снетков, В. З. Худяков, Работа с микрообъектами на месте происшествия, М., 1978.

2. Одиночкина Т. Ф., Криминалистическое исследование микрообъектов, М., 1988.





მიკროობიექტების ლაბორატორიული გამოკვლევის (დიაგნოსტიკა და იდენტიფიკაცია) დღევანდელი სამეცნიერო-ტექნიკური დონე საშუალებას იძლევა გადაწყდეს ის საკითხები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა მხილების საქმეში. უმეტეს შემთხვევაში მიკროობიექტების იმ დიდი შესაძლებლობების რეალიზაცია არ ხდება, რასაც ისინი იძლევიან დანაშაულის გახსნის საქმეში, რამდენადაც არ ხდება მიკროკვალებისა და მათი მატერიალური საგნების ამოღება შემთხვევის ადგილიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე 1995-1996 წლებში რეგისტრირებული იყო 1133 მძიმე დანაშაული სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით, და მხოლოდ 19 დანაშაულის შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას არის ამოღებული მიკროკვალები. მიკროკვალების საექსპერტო-კრიმინალისტურმა გამოკვლევამ ყველა შემთხვევაში ხელი შეუწყო მძიმე დანაშაულის გახსნას და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. მაგალითად, 1996 წლის 17 თებერვალს ქ. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მოქ. ე. კ-მ ნ. წ. ჯერ გააუპატიურა და შემდეგ კვალის დაფარვის მიზნით, ჩაიდინა მისი მკვლელობა. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დადგინდა ეჭვმიტანილი, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა მოქ. ნ. წ.-ს გაუპატიურებასა და მკვლელობას. ეჭვმიტანილის, ასევე დაზარალებულის ტანსაცმლის (ე. ი. მიკროკვალების მატარებელი ობიექტების) სექსპერტო-კრიმინალისტური გამოკვლევით დადგინდა შემდეგი: ეჭვმიტანილის ტანსაცმელზე აღმოჩნდა დაზარალებულის სისხლის ლაქები და ტანსაცმლის ქსოვილის ბოჭკოს ნაწილაკები, ასევე დაზარალებულის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ეჭვმიტანილის ქურთუკის ბამბის ბოჭკოს ნაწილაკები. ყოველივე ამის შემდეგ ეჭვმიტანილმა აღიარა ჩადენილი დანაშაული. ამ შემთხვევაში ერთადერთი ნივთმტკიცება, რომლის მეშვეობითაც გაიხსნა მძიმე დანაშაული, იყო მიკროკვალები, კერძოდ, ტანსაცმლის ქსოვილის ბოჭკოს ნაწილაკები.

შემთხვევის ადგილიდან მიკროკვალების ამოღების დაბალი მაჩვენებლები განპირობებულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით, კერძოდ, უმეტესად შემთხვევის ადგილი დაცული არ არის, და საგამომიებო-ოპერატიული ჯგუფის მისვლამდე დანაგვიანებულია. რაიონებში არ არის სპეციალისტები და კვალიფიცირებული ექსპერტ-კრიმინალისტთა კადრები; სავაჭომიებო განყოფილებებს და შინაგან საქმეთა განყოფილების ექსპერტთა ჯგუფებს არ გააჩნიათ თანამედროვე ტექნიკით დაკომპლექტებული საგამომიებო-ოპერატიული ჩემოდნები. მიუხედავად ხელშემშლელი ფაქტორებისა, შემთხვევის ადგილის დამთვალიერებელმა-გამომძიებელმა, ოპერატიულმა მუშაკმა, ექსპერტ-კრიმინალისტმა უნდა მიაქციონ მიზანმიმართული ყურადღება შემთხვევის ადგილზე მიკროობიექტების დაძებნის, აღმოჩენის, მათი სწორი დამუშავების, ამოღების, ფიქსაციის, შეფუთვისა და ლაბორატორიული გამოკვლევის ადგილზე მათი ტრანსპორტირების საქმეში.

შემთხვევის ადგილზე მიკროკვალების არსებობას დამნაშავე ვერ ხედავს და ვერ წაშლის, ამიტომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ძირითადი ამოცანაა მიკროკვალების დაძებნა და ამოღება. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ დიდი ყურადღებით, დაკვირვებულობით, ორგანიზებულობით, ხელთ არსებული ტექნიკურ-კრიმინალისტური საშუალებებითა და სპეციალური ტექნიკური მეთოდების გამოყენებით.

გამომძიებელი, ოპერატიული მუშაკი და ექსპერტ-კრიმინალისტი, რომლებიც ახორციელებენ შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, მთელი გულის-





ყურით უნდა მოეკიდონ მიკროკვალების დაძებნა-აღმოჩენას. წინასწარ დაგეგმილი საერთო, დეტალური და დასკვნითი დათვალიერება, მუშაობის წარმატების საწინდარია. მიკროობიექტების დაძებნის ტექნიკა მუშავდება ჯერ კიდევ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყებამდე. შემთხვევის ადგილზე დავიანებით მისვლას შეიძლება მოჰყვეს ვითარების შეცვლა, კვალებისა და სხვა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დაზიანება და დაკარგვა, შემთხვევის ადგილზე ისეთი მიკრონაწილაკების გაჩენა, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს შემთხვევასთან და გამოძიება შეიძლება ჩიხში მოაქციონ. თუ შემთხვევა მოხდა ოთახში, ოთახი დაცული უნდა იყოს გამჭოლი ქარისაგან, არ უნდა მოხდეს საგნებისა და ნივთების გადაადგილება, აკრძალულია სიგარეტის მოწევა, ჩამოჯდომა, კედელზე მიყრდნობა, მიხანშეწონილია წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით მოძრაობა და გადაადგილება; თუ შემთხვევა მომხდარია გარეთ, ქუჩაში, გზაზე, მინდორში, მიკროკვალები და მათი შესაძლებელი მატარებელი ნივთები დაცული უნდა იყოს ატმოსფერული მოვლენის ზემოქმედებისაგან (წვიმა, თოვლი, ქარი, პირდაპირ მზის დასხივება).

შემთხვევის ადგილი უნდა დათვალიერდეს დღის სინათლეზე, ნათელ ამინდში; მაგრამ თუ დანაშაული მოხდა ღამის საათებში, იგი უნდა წარმოებდეს ხელოვნური განათების პირობებში ულტრაიისფერი, ინფრაწითელი სხივების, ან ჰალოგენის ნათურის გამოყენებით.

შემთხვევის ადგილზე მიკროობიექტებზე მუშაობა მოითხოვს პროფესიონალურ მზადყოფნას; აქ საჭიროა ფსიქოლოგიური მომზადებაც — მოქმედება მშვიდად, აუჩქარებლად და შემოქმედებითად უნდა წარიმართოს.

შემთხვევის ადგილზე მიკროობიექტების დაძებნამდე აუცილებლად უნდა იყოს გადაწყვეტილი თუ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი მიკრონაწილაკები შეიძლება შეგვხვდეს და სად უნდა მოიძებნოს ისინი. ეს საკითხი გადაწყდება კონკრეტული დანაშაულის ხასიათის, ანალიზისა და მისი თავისებურებების საფუძველზე ვერსიების აგების შემდეგ. ყოველ სისხლის სამართლის საქმეს აქვს დამახასიათებელი ობიექტი—მატარებელი, რომელზედაც ხდება მიკროკვალების ლოკალიზაცია და შენახვა. მიკროკვალების დაძებნა ხდება შემდეგ ეტაპებად: შემთხვევის ვითარების დადგენა — კონკრეტულად რა მოხდა; მიკროკვალების მატარებელი შესაძლებელი ობიექტების განსაზღვრა, ე. ი. თუ სად შეიძლება იყოს მათი ლოკალიზაციის ადგილი; მიკროკვალების და ამ კვლების მატარებელი ობიექტების დაძებნის ორგანიზაცია; მიკროკვალები უნდა ვეძებოთ იმ ადგილას, სადაც შესაძლებელია მისი აღმოჩენა. მაგალითად, 1994 წლის 8 იანვარს აბაშაში მოქ. თ. ფ.-მ ჩაიღინა მოქ. მ. კ.-ს განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 104-7 მუხლით). დამამძიმებლის მიერ შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერების, დანაშაულის ხასიათის, მისი ანალიზისა და ვერსიის აგების შემდეგ ბრალდებული თ. ფ.-ს ჩექმიდან ამოღებული იყო თმა. ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ ჩექმიდან ამოღებული თმა მსგავსი იყო მ. კ.-ს თმისა, რაც გახდა ერთ-ერთი მტკიცებულება ჭეშმარიტების დადგენის საქმეში.

შეიძლება მიკროკვალების დაძებნა უშედეგოდ დამთავრდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ არიან. გარკვეული საფუძვლების არსებობისას, მიკროკვალების მატარებელი ობიექტები უნდა გაიგზავნოს საქსპერტო დაწესებულებაში.

მიკროობიექტებზე მუშაობისას საჭიროა წინასწარი მომზადება და გვერდის შემუშავება. კერძოდ, მიკროკვალების შესაძლებელი ობიექტების ამოღე-





ბა, შეფუთვა და შედეგების დოკუმენტალურად გაფორმება, მიკროკვალების აღმოჩენა, მისი ამოღება ცალკე ან დამაგრება ობიექტ-მატარებელზე ან ამოღება მასთან ერთად; მიკროკვალების წინასწარი გამოკვლევა, შეფუთვა, მასალების მომზადება საექსპერტო დაწესებულებაში გასაგზავნად და შედეგების დოკუმენტალურად გაფორმება; ეს პროცესები არის საერთო ყველა დანაშაულისათვის, კონკრეტულ საქმეზე მუშაობისას, შეიძლება ზოგიერთი საკითხი გამოირიცხოს, აუცილებლობის შემთხვევაში კი, შეივსოს რომელიმე დამატებითი მოქმედებით.

შემთხვევის ადგილზე მიკროობიექტების დაძებნისას ყურადღება უნდა გამახვილდეს თუ როგორ განვითარდა მოვლენა, მოვლენის სფეროში რომელი მატერიალური ობიექტები მოხვდა და რა როლი შეასრულა თითოეულმა ამ მოვლენაში; რა გზით მოხვდა დამნაშავე შემთხვევის ადგილზე, რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა, რა იარაღები და საშუალებები გამოიყენა, რა გააკეთა შემთხვევის ადგილზე და რა ობიექტებთან შეიძლებოდა ჰქონოდა კონტაქტი, რა გზით წაჰიდა შემთხვევის ადგილიდან. თუ გაუკეთდება ანალიზი ზემოთ ჩამოთვლილ მოვლენებს, ადვილად დადგინდება, სად შეეძლო დამნაშავეს დაეტოვებინა მიკროკვალები, ან პირიქით, მიეღო ისინი, რომელიც შემთხვევის ადგილზე იყო. პრაქტიკაში სისხლის სამართლის საქმეებზე უფრო ხშირად მიკროკვალების მატარებელი არიან დამნაშავესა და დაზარალებულის ტანსაცმელი, სხეული და დანაშაულის იარაღები.

მაგალითად, 1994 წლის მარტისა და მაისის თვეში ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახებზე შეიარაღებული ჯგუფის მიერ განხორციელდა ექვსი ყაჩაღური თავდასხმა, რა დროსაც ჩაღენილია სამი მკვლელობა. 1994 წლის 11 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში მოქ. ო. შ. ს. ოჯახს ყაჩაღურად თავს დაესხნენ, მოკლეს იგი, გაიტაცეს ძვირფესეულობა და სხვა ნივთები, რა დროსაც ერთ-ერთ ბოროტმოქმედს შემთხვევის ადგილზე დარჩა ქუდი. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგინდა ქუდის პატრონი და ჩატარებული მიკრონაწილაკების ექსპერტიზით აგრეთვე დადგინდა ქუდზე არსებული თმის მსგავსება ეჭვმიტანილ რ. ფ. ს. თმასთან. სწორედ მიკროკვალების დიაგნოსტიკურმა მონაცემებმა გახადა შესაძლებელი ყაჩაღთა ჯგუფის მხილება.

ადამიანის სხეულზე მიკრონაწილაკების ლოკალიზაცია ხდება ხელებზე, ფრჩხილებქვეშ, დაზიანების ადგილზე, თმაზე, სქესობრივი დანაშაულის დროს კი — სქესობრივ ორგანოებზე; ტანსაცმელზე და დანაშაულის იარაღებზე შეიძლება მოხდეს, როგორც ორგანული, ისე არაორგანული მიკროკვალები. მაგალითად, დანაზე, რომლითაც მოხდა მკვლელობა, შეიძლება აღმოჩნდეს სისხლის ლაქები, ტანსაცმლის ბოჭკოები, ადამიანის სხეულის ქსოვილის ნაწილები და ა. შ. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს მიკროკვალების მატარებელი არიან სატრანსპორტო საშუალებები და დაზარალებულის ტანსაცმელი.

მიკროობიექტების დაძებნის შემდეგ, ხდება მათი წინასწარი გამოკვლევა, რათა სწორად დაფიქსირდეს და შეიფუთოს, ამასთან ხდება მათი პირველადი შედარებითი შეფასება და ინფორმაციის მიღება.

მიკროობიექტების წინასწარი გამოკვლევა არ არის საექსპერტო გამოკვლევა. იგი წარმოებს სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმების დაცვით სისხლის სამართლის საქმის ადმერამდე, მაგრამ ეს პროცესუალური მოქმედებები არ არის. მისი ამოცანაა მონაცემების, ინფორმაციის მიღება, როგორც საგამოძიებო და ოპერატიული ვერსიების ასაგებად, ისე სამძებრო ღონისძიებების განსახორციელებლად, კერძოდ, როგორცაა დამნაშავეს „ცხელ





კვალზე“ დაძებნა, პოლიციის ოპერატიული სამსახურის ორიენტირება, შაულის სპეციფიკური ნიშნები და მისი ცალკეული დეტალების დადგენა, რომლის საფუძველზეც შეიძლება შემცირდეს ეჭვმიტანილთა წრე, აიგოს ვერსიები და გაიხსნას დანაშაული. ასევე წინასწარი გამოკვლევის მიზანია მიკროკვალების სწორი ფიქსირება და შეფუთვა. მაგალითად, მიკროკვალებზე ყველა ოპერაცია უნდა ჩატარდეს რეზინის ხელთათმანით, ინსტრუმენტებად გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ პინცეტი და სკალპელი. ერთ ობიექტზე მუშაობის დამთავრების შემდეგ, ინსტრუმენტები უნდა გაიწმინდოს ჯერ სპირტიანი ბამბის ტამპონით, შემდეგ მშრალი ბამბის ტამპონით, რათა გამოირიცხოს მიკროკვალის გატანა ერთი ობიექტიდან მეორეზე.

მიკროობიექტების თავისებურებანი (მცირე ზომა, მასა) მოითხოვს გამოკვლევის რთულ მეთოდებსა და საშუალებებს, ამიტომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მიკროკვალების გამოკვლევა უნდა ჩატარდეს ლაბორატორიულ პირობებში.

მიკროობიექტების წინასწარ გამოკვლევისას გამოიყენება ფიზიკური, ფიზიკურ-ქიმიური და ქიმიური სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები. მიკროობიექტების გამოკვლევა შემთხვევის ადგილზე დროის ფაქტორით შეზღუდულია, ამიტომ მათი გამოკვლევისათვის გამოყენებული უნდა იყოს მარტივი ექსპრეს-მეთოდები. გამოკვლევა უფრო ეფექტიანი იქნება, თუ ავტომანქანაში (მოძრავი კრიმინალისტური ლაბორატორია), რომელიც შემთხვევის ადგილზე გადის, მოთავსებული იქნება კომპაქტური ხელსაწყოები, როგორცაა ოპტიკური მიკროსკოპი, რეფრაქტომეტრი, ულტრაიისფერი და ინფრაწითელი ნათურა, ელექტროოპტიკური გარდამქმნელი, ინფრაწითელი ლუმინესცენცია, რომლებიც საშუალებას იძლევიან მივიღოთ საჭირო ინფორმაციები მიკროკვალების შემადგენლობასა და თვისებებზე. მიკროკვალების წინასწარი გამოკვლევის დროს აუცილებლად სავალდებულოა მათი იმ ფორმით შენახვა, რა ფორმითაც იგი იყო ამოღებული.

მიკროობიექტების გამოკვლევა არალაბორატორიულ პირობებში ჯერ კიდევ დამუშავებული არ არის და აუცილებელია მისი სრულყოფა. საჭიროა, აგრეთვე, ზოგიერთი მარტივი მეთოდის ლაბორატორიულ პირობებში გამოყენების გაუმჯობესება, ასევე შემუშავდეს აუცილებელი კომპლექსური საშუალებები, რომელთა ტრანსპორტირება შემთხვევის ადგილზე მოხერხებული იქნება, რაც საშუალებას მოგვცემს ნაკლები დროის დანახარჯებითა და წინასწარგამოკვლევათა მონაცემებით მივიღოთ სასურველი შედეგები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში უნდა აისახოს: მიკროკვალების მატარებელი ობიექტების ადგილმდებარეობა, მისი აღწერა, მიკროკვალების ლოკალიზაციის ადგილი, ან სავარაუდო ადგილი, მათი ზომა, ფერი, ფორმა, რაოდენობა, აუცილებლად უნდა ჩამოვთვალოთ ყველა გამოყენებული ტექნიკურ-კრიმინალისტური საშუალება. ოქმში საჭიროა ნახვენები იყოს მიკროობიექტების წარმოშობის მიზეზები, გარემო პირობები, სინესტე, ჰაერის ტემპერატურა, წვიმა, მზე, დანაგვიანება და სხვა მონაცემები, რასაც მიკრონაწილაკების გამოკვლევისას შეიძლება მნიშვნელობა მიენიჭოს.

მიკროკვალების მატარებელი ობიექტები და მიკროკვალები, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, ფოტოგრაფირებული უნდა იყოს. დეტალური ფოტოგადაღების დროს ფერადი ფანქრით ან ცარცით უნდა შემოიხაზოს ის ადგილი, სადაც არის მიკროკვალები, ზოგიერთი მათგანი (თმა, სარკის ნამსხვრევები, სისხლის ლაქა და ა. შ.) შეიძლება გადავიღოთ ფოტოაპარატ „ზენიტის“ დამაგრძელებელი რგოლის დახმარებით.



შემთხვევის ადგილზე მიკროკვალების დაძებნის, ამოღებისა და წინასწარი გამოკვლევის შემდეგ აუცილებელია მათი გაგზავნა კრიმინალისტურ ლაბორატორიაში შემდგომი გამოკვლევის მიზნით. სანამ ლაბორატორიაში გაიგზავნებოდეს, აუცილებელია მიკროკვალების შეფუთვა და შენახვა ისე, რომ შენარჩუნდეს მათი მთლიანობა, არ მოხდეს მათი დანაგვიანება, დაშლა ან შეცვლა ტრანსპორტირების დროს. შეფუთვა ისე უნდა მოხდეს, რომ გამოირიცხოს მიკროკვალების დაკარგვა. მიკროკვალების ამოღებისას უნდა დავიცვათ შემდეგი წესები: ყველა ამოღებული კვალი შეფუთვამდე უნდა გაშრეს ოთახის ტემპერატურაზე, არ უნდა მოხდეს პირდაპირი მზის დასხივება. მიკროკვალების ტრანსპორტირებისას და შენახვისას მისაღებია შემდეგი საშუალებები: პოლიეთილენის ჰაკეტი, შუშის სინჯარები კარგი საცობით, თეთრი ქაღალდი, ლივი, პერგამენტი, ბიოლოგიური წარმოშობის მიკროკვალების (სისხლის ლაქა, სპერმა, ნერწვი, თმა) პოლიეთილენის პარკში შეხვევა არ შეიძლება, ოფლ-ცხიმის კვალი ხელიდან, ტუჩიდან გადაიტანება დაქტილოფირზე.

ტრანსპორტირებისა და შენახვის შემთხვევაში ტრანსსაცმელი და სხვა საფეიქრო ნაწარმი უნდა შეიხვეს მჭიდროდ, ისე, რომ ის ადგილი, სადაც სავალაუდოა იყოს მიკროკვალები, მოხვდეს შიგნით, რის შემდეგ მოვათავსოთ პოლიეთილენის პარკში, რომელიც აუცილებლად უნდა შეიწებოს, გაუკეთდება წარწერა სათანადო რეკვიზიტების დაცვით.

მიკროობიექტების მომზადება საქსპერტო გამოკვლევისათვის ფაქტობრივად მათი აღმოჩენის მომენტიდან იწყება. მათი სწორი ამოღება და შენახვა ექსპერტიზის წარმატებით ჩატარების წინაპირობაა. იმისათვის, რომ ექსპერტმა სწორად გაიგოს მის წინაშე დასმული ამოცანები და რაციონალურად ამოხსნას ისინი, გამომძიებელმა მასალების მომზადებისა და ექსპერტიზაზე გადაგზავნისას სწორად უნდა აღნიშნოს ექსპერტიზის ობიექტი, დაწვრილებით უნდა აღწეროს იგი დადგენილებაში ექსპერტიზის დანიშნის შესახებ, გაიაზროს კონკრეტული კითხვების ჩამონათვალი, რომლებიც განსაზღვრავენ გამოკვლევის მოცულობასა და მიმართულებას. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მიკროობიექტების შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების შერჩევას. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი დიაგნოსტიკური და საიდენტიფიკაციო ხასიათის საკითხების გადაჭრა.

**ვანტანგ ბაბუღაძე,**

შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს საქსპერტო-კრიმინალისტური განყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი.





წიგნაკი სერი

# თანამონაწილეობა და კუხრობის პრობლემა სისხლის სამართალში

თანამონაწილეობის პრობლემა ერთ-ერთი ურთულესია სისხლის სამართალში. ძირითადად, სადავოა საკითხი, თუ რის საფუძველზე ხდება თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. როგორც ცნობილია, თანამონაწილენი უშუალო მონაწილეობას არ იღებენ დანაშაულის ჩადენაში. სწორედ ეს განაპირობებს მათი პასუხისმგებლობის თავისებურებებს.

თანამონაწილეობის პრობლემატიკის ცალკეული საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია შეცდომის ცნების გამოყენებით, ამასთან ლიტერატურაში თანამონაწილეობისა და შეცდომის ურთიერთიმარტება არ განიხილება, არადა მათ შორის კავშირი რეალურია და არა გამოგონილი. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ეს ურთიერთკავშირი და განვიხილოთ შეცდომის ზეგავლენა თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.

სისხლის სამართალში შეცდომის ცნებაში იგულისხმება პირის არასწორი წარმოდგენა მის ქმედობის იურიდიული თუ ფაქტობრივი ნიშნებისა და ამ ქმედობის შედეგების შესახებ.

სანამ ვადავიდოდეთ ძირითად საკითხზე, მიზანშეწონილია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ თანამონაწილეობის ცნებას და მის ცალკეულ პრობლემატიკას.

მოქმედი კანონმდებლობა თანამონაწილეობას განსაზღვრავს, როგორც ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. პროფ. თ. წერეთელი უფრო სრულყოფს თანამონაწილეობის ცნებას და მასში შეაქვს შემდეგი დაზუსტება: ორი ან რამდენიმე პირის განზრახი ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში, როდესაც თანამონაწილეებმა იციან ამსრულების დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ.<sup>1</sup>

თეორიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამონაწილეობისას არ არის აუცილებელი მითითება რამდენიმე პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობაზე. ფ. ბურჩაკი მხარს უჭერს ამ თვალსაზრისს და თანამონაწილეობას განმარტავს როგორც ორი ან მეტი პირის ერთობლივ მონაწილეობას ერთი და იგივე განზრახი დანაშაულის ჩადენაში. მისი აზრით, თანამონაწილეთა განზრახვა ერთობლივ მონაწილეობაზე არის ფაქტობრივი ელემენტი, რაც ყველა თანამონაწილეს შეიძლება არც ჰქონდეს.<sup>2</sup> ეს მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნას, წინააღმდეგ შემთხვევაში თანამონაწილეობა გვექნება ბრალის ორივე ფორმის დროს, რაც სინამდვილეში დაუსაზღვრელია. თუ პირს შეგნებული არა აქვს, რომ სხვა თანამონაწილეებთან ერთად მისი საქმიანობა მიმართულია გარკვეული შედეგისაკენ და არც კი ითვისისწინებს ამ შედეგს, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ის ჩავთვალოთ თანამონაწილედ. მაშასადამე, განზრახვა ერთობლივ მონაწილეობაზე ყველა თანამონაწილეს უნდა გააჩნდეს.

პროფ. თ. წერეთელი, როცა ლაპარაკობს თანამონაწილეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთიანობაზე, ხაზს უსვამს, რომ „დანაშაულის ერთიანობისათვის არ არის საკმარისი, ყოველი მათგანის მოქმედება წარმოადგენდეს საზოგადოებრივად საშიში შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას. დანაშაულის ერთიანობისათვის სუბიექტური მხარის ერთიანობაცაა საჭირო. ეს ერთიანობა შეიძლება მხოლოდ მაშინ არსებობდეს, როდესაც ყველა პირის საქმიანობა შეგნებულად მიმართულია ერთი და იმავე შედეგისაკენ. პირიქით, თანამონაწილეობას ადგილი არ შეიძლება

1. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 63.

2. Ф. Г. Бурчак, Соучастие: социальные, криминологические и правовые проблемы, Киев, 1986, стр. 117.





პქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი თანამონაწილე შეგნებულად წარმართავს თავის ნებას დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, ხოლო მეორე პირი არც კი ითვისისწინებს ამ შედეგს.<sup>3</sup>

აღნიშნული დასკვნიდან გამომდინარეობს შეცდომის მნიშვნელობა თანამონაწილეობის დასაბუთებისათვის. თუ პირმა არასწორი წარმოდგენის შედეგად ვერ გაიცნობიერა თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და არც კი ითვისისწინებდა საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, როგორი მიუტყვევებელიც არ უნდა იყოს ეს შეცდომა, მან პასუხი არ უნდა აგოს თანამონაწილეობისათვის, რადგანაც შეცდომამ გამოიციხა განზრახვა, ხოლო გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობა შეუძლებელია. მაგალითად, პირს შეგნებული არა აქვს, რომ ამსრულებელს აქვს ეხმარება დანაშაულის ჩასადენად და არც კი ითვისისწინებს შედეგს. მართალია, მისი მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, მაგრამ მათი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედობისა და შედეგის მიმართ განსხვავებულია: პირს არა აქვს გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი, მაშინ როდესაც ამსრულებელი მოქმედებს განზრახ.

მოცემულ შემთხვევაში პირის შეცდომამ თანამონაწილეობას საფუძველი გამოაცალა. ის შეიძლება დისაჯოს ამსრულებლისაგან დამოუკიდებლად, თუ მისი ქმედობა შეიცავს სხვა რომელიმე დანაშაულის ნიშნებს. მაგალითად, ა. გვიან ღამით მივიდა ბ-სთან ბინაში. ეს უკანასკნელი ძლიერ შეურაცხყოფილი გ-საგან, შურისძიებაზე ფიქრობდა, მაგრამ ა-სათვის არაფერი გაუმხელია. დაღლილი ა. წამოწვა ლოგინზე, რა დროსაც ჯიბიდან ამოიღო პისტოლეტი და მაგიდაზე დადო. როცა ა-ს ჩაეძინა, ბ-მ აიღო იარაღი, რომლითაც ჩაიღინა გ-ს განზრახ მკვლელობა. ამ შემთხვევაში ა. არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გ-ს განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, რადგანაც ფსიქიკურმა დამოკიდებულებამ გამოიციხა განზრახვა. ა-ს შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი თანამონაწილეობის დასაბუთებისათვის.

ლიტერატურაში სადავოა საკითხი, თუ რაში გამოიხატება შინაგანი კავშირი თანამონაწილეთა შორის. გამოთქმულია ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. „შეთანხმების თეორიის“ წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ შინაგანი კავშირი თანამონაწილეთა შორის გამოიხატება მათ შეთანხმებაში, ანუ პირის შეცვრაში, რომ „თანამონაწილეობისათვის აუცილებელია თითოეული თანამონაწილის შეგნება, რომ იგი მოქმედებს არა განცალკევებით, არამედ სხვა პირებთან ერთად“.<sup>4</sup> ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეობა უნდა გველითარებინა მაშინაც, როცა ადამიანებმა იციან ურთიერთსაქმიანობის შესახებ, რაც უსაფუძვლო პასუხისმგებლობას გამოიწვევდა. ამიტომ მხარს ვერ დავუჭერთ ამ თეორიის მომხრეებს.

პროფ. მ. კოვალიოვის აზრით, „თანამონაწილეთა ყოველი მოქმედება აუცილებლად ამა თუ იმ სახით უნდა აისახოს ამსრულებლის შეგნებაში... თუ ამსრულებელს არა აქვს შეგნებული, რომ მას დანაშაულის ჩასადენად აქვს ეხმარება, მაშინ წამქეზების მიერ ნახშირი საშუალება მასზე არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენს, ხოლო თუ ის წამქეზებელმა შეცდომაში შეიყვანა, იგი იქნება არა დანაშაულის დამოუკიდებელი მონაწილე. არამედ მხოლოდ იარაღი ვერაღი დანაშაულის ხელში. იგივე უნდა ითქვას დახმარებაზე. თუ ამსრულებელმა არ იცის დამხმარის მოქმედების შესახებ, არავითარი საფუძველი არა გვაქვს განვიხილოთ ისინი როგორც თანამონაწილენი“.<sup>5</sup>

მიგვაჩნია, რომ მ. კოვალიოვის ეს მოსაზრება სწორია წამქეზების მოქმედებაში. მართლაც, თუ ამსრულებელს არა აქვს შეგნებული წამქეზების მოქმედება, ის ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს ამსრულებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. ამ თვალსაზრისით წამქეზების მოქმედება უნდა აისახოს ამსრულებლის შეგნებაში. მაგრამ არასწორია მ. კოვალიოვის ვარაუდი იმ ნაწილში, სადაც იგი ამავე აზრს ავრცელებს დამხმარის მიმართ და მიანიჭა, რომ დამხმარის მოქმედებაც უნდა აისახოს ამსრულებლის შეგნებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნება თანამონაწილეობა.

აღნიშნული საკითხის მართებულად გადაწყვეტის მიზნით მოვიშველიებთ შეცდომის ზეგავლენას ბრალზე, როცა ამსრულებელს არასწორი წარმოდგენა აქვს დამხმარის მოქმედებაზე. თუ ჩავთვლით, რომ თანამონაწილეობისათვის აუცილებელია ამსრულებელმა იცოდეს დამხმარის მოქმედების შესახებ, მაშინ შეცდომა ამ გარემოების მიმართ გამოიციხავს დამხმარის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას თანამონაწილეობისათვის. თუ ჩავთვლით, რომ არ არის აუცი-

3. თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

4 М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1959, стр. 16.

5 М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. I, Свердловск, 1960, стр. 112.





ლებელი ამსრულებელმა იცოდეს დამხმარის მოქმედების შესახებ, მაშინ შეცდომა გავლენას ვერ მოახდენს პასუხისმგებლობაზე. ეს აზრი შეიძლება თვალსაჩინო გავხადოთ შემდეგი მაგალითით: პირმა იცის, რომ ვიღაც სხვას გადაწყვეტილი აქვს კაცის მოკვლა, სურს რა ეს, მიაწოდებს ამსრულებელს მკვლელობის იარაღს ისე, რომ ამ უკანასკნელმა არც კი იცის, თუ ვინ დაეხმარა მას. მოცემულ შემთხვევაში, მ. კოვალიოვის შეხედულების მიხედვით, არ გვექნება თანამონაწილეობა, რაც არ შეიძლება გავიზიაროთ. აღნიშნული პირი უნდა ჩაითვალოს დამხმარედ და მან პასუხი უნდა აგოს განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის. ამსრულებლის არასწორმა წარმოდგენამ დამხმარის მოქმედებაზე გავლენა ვერ მოახდინა ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობაზე თანამონაწილეობისათვის.

მაშასადამე, არ არის აუცილებელი დამხმარის მოქმედება ისახოს ამსრულებლის შეგნებაში. შინაგანი კავშირი თანამონაწილეთა შორის აუცილებლად გულისხმობს ცოდნას ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედობის შესახებ, ამავდროს ამსრულებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს წამქეზებლის მოქმედების შესახებ.

აღნიშნულ გარემოებებზე პირის არასწორი წარმოდგენა გავლენას ახდენს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თუ პირს არა აქვს შეგნებული ამსრულებლის დანაშაულებრივი საქმიანობა, ან ამსრულებელმა არ იცის წამქეზებლის მოქმედების შესახებ, მაშინ შეცდომა ასეთ გარემოებებზე გამორიცხავს მათ პასუხისმგებლობას თანამონაწილეობისათვის.

თანამონაწილეობის პრობლემატიკაში მთავარია საკითხი თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების შესახებ. ჩვენ მოკლედ შევეხებით თეორიაში არსებულ შეხედულებებს ამ საკითხზე. აქცესორული თეორიის მომხრეები ასაბუთებენ, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ დანაშაულის შესრულებაზე და ისინი განიხილავენ საკითხს ამსრულებლის მოქმედებიდან გამომდინარე. მ. კოვალიოვის აზრით, დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება უშუალოდ ამსრულებლის მიერ, ხოლო სხვა თანამონაწილეების მიერ თვით დანაშაულის შემადგენლობა არ ხორციელდება. მათ მოქმედებაში არის „დანაშაულის საერთო შემადგენლობა“, რომლის კონკრეტისაცა ხდება ამსრულებლის მოქმედებით.<sup>6</sup>

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის მიხედვით, თითოეული თანამონაწილე ახორციელებს დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას. ამ თეორიის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის ერთიანობა არ შეიძლება გახდეს საფუძველი თანამონაწილეთა დანაშაულის შემადგენლობის გაიგივებისათვის, თანამონაწილეების მხარეს არის დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობა, რომლის შინაარსი გამომდინარეობს არა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლის დისპოზიციიდან, არამედ ზოგადი ნაწილის შესაბამისი ნორმიდან, რომელიც არეგულირებს თანამონაწილეობას.<sup>7</sup> თეორიაში უმრავლესობა ემხრობა ამ თვალსაზრისს, რაც ძირითადად, გამოწვეულია საბჭოთა პერიოდში გავრცელებული შეხედულებით, რომ ე. წ. სოციალისტური სამართლისათვის ორგანულად უცხო იყო აქცესორული თეორია და მას აღიარებდნენ, როგორც ბურჟუაზიულს.

ჩვენი შეხედულებით, აქცესორული თეორია ყველაზე უფრო მეტად ასაბუთებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას და მას ძალუძს ამასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა გადაჭრას. ქვემოთ შევეცდებით დავასაბუთოთ ჩვენი თვალსაზრისი.

დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, თითოეული თანამონაწილის პასუხისმგებლობის საფუძველი ძვეს არა ამსრულებლის მოქმედებაში, არამედ მათ საკუთარ მოქმედებაში, კერძოდ, დანაშაულის ორგანიზაციაში, წაქეზებასა ან დახმარებაში. კანონმდებლის მიერ თანამონაწილეთა ეს მოქმედებები განიხილება, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედობა და ისინი შეიცავენ დანაშაულის შემადგენლობის ყველა აუცილებელ ნიშანს. ამიტომ, თუ ამსრულებელი არ ჩაიდენს დანაშაულს, სხვა თანამონაწილეები პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდებიან.<sup>8</sup>

ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ თუ ამსრულებელს არ ჩაუდენია დანაშაული, მიუხედავად ამისა, თანამონაწილენი პასუხს აგებენ დამთავრებული დანაშაულისათვის. ე. ი. იმისათვის, რაც სინამდვილეში არ განხორციელებულა და მხოლოდ თანამონაწილეთა შეგნებაში არსებობდა. კერძოდ, არ შესრულებულა დანაშაულის ობიექტური მხარე, მოქმედება ან უმოქმედობა, არ დამდგარა საზოგადოებრივად საშიში შედეგი, არა გვაქვს მიზეზობრივი კავშირი, საზოგადოებრივი ურთიერთობის ხელყოფა არ მომხდარა. მაშ, რომელი დამთავრებული დანაშაუ-

6 М. И. Ковалев, указ. работа, ст. 116.  
 7 У. М. Джекебаев, Л. М. Вайсберг, Р. Н. Судакова, Соучастие в преступлении, Алма-Ата, 1981, стр. 122.  
 8 იქვე, გვ. 123.





ლისათვის დაესაჯოთ თანამონაწილენი? თუ მხოლოდ სსკ მე-19 მუხლის საფუძველზე მივცემთ ისინი პასუხისმგებლობაში? აღნიშნული თეორიის მომხრეები ხომ ადასტურებენ, რომ მე-19 მუხლი შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ყველა აუცილებელ ნიშანს, მაგრამ ეს უაზრობაა.

ამ თეორიის წარმომადგენლებს, კერძოდ, პროფ. ა. ტრაინინს მიაჩნია, რომ უშედეგო თანამონაწილეობის დროს დაუმთავრებელი წაქეზება და დახმარება უნდა დაკვალიფიციერდეს როგორც დანაშაულის მომზადება, ხოლო სხვა შემთხვევებში გვექნება თანამონაწილეობა. თუ ამსრულებელი მცდელობას დაუშვებს, ა. ტრაინინის მიხედვით, თანამონაწილენიც პასუხს აგებენ დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. ხოლო, როცა ამსრულებელი საერთოდ არ ჩაიდენს დანაშაულს, იგი გვათავაზობს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას დამთავრებული დანაშაულისათვის.<sup>9</sup>

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიის მომხრეები ჩინში მოქცნენ და მათ არც ძალუძთ ამ პრობლემის მართებულად გადაწყვეტა. ეს თეორია ძირშივე მცდარია.

ზოგიერთი ავტორი ცდილობს აღნიშნული პრობლემის გადაჭრას და გვათავაზობს უშედეგო თანამონაწილეობისას თანამონაწილეთა საქმიანობის კვალიფიკაციას მცდელობით. ფ. ბურჩაკის აზრით, ესაა ერთადერთი სწორი კვალიფიკაცია. ამიტომ ითხოვს კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანას, რომ დაწესდეს პასუხისმგებლობა წაქეზების, დახმარების მცდელობისათვის.<sup>10</sup>

ეს შეხედულებაც მცდარია და იგი არ შეიძლება გაზიარებულ იქნას. პრობლემის სწორად გადაწყვეტა შესაძლებელია აქცესორული თეორიის მიხედვით. პროფ. თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ დანაშაულის შესრულებაზე.<sup>11</sup> იმის მიხედვით, თუ რომელ სტადიას მიაღწია ამსრულებლის მოქმედებამ, მომზადებას, მცდელობას, თუ დამთავრებულ დანაშაულს, გადაწყვეტა სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხიც. თუ ამსრულებლის მიერ დანაშაული არ იქნა ჩადენილი, გვექნება არა თანამონაწილეობა, არამედ დანაშაულის მომზადება.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების შესახებ. მისი არსი იმაშია, რომ თანამონაწილე, კერძოდ, წამქეზებელი, პასუხს აგებს ამსრულებლის კორუფციისათვის, რომ იგი ამსრულებელს შეაძენს, ბრალეულად აქცევს, ხელყრფს მის პიროვნებას. აღნიშნული მოძღვრება განხილული აქვს შვეიცარიელ კრიმინალისტ ტრექსელს.<sup>12</sup> პროფ. თ. გამყრელიძე ანალიზებს აღნიშნულ მოძღვრებას და სწორად ასკვნის, რომ კორუფციის იდეის მიხედვით „ზოგ შემთხვევაში უსაფუძვლოდ უნდა გავაძლიეროთ წამქეზებლის პასუხისმგებლობა, ზოგჯერ კი ასევე დაუმსახურებლად შეგუშვებუქით სსაჩელი. მართლაც, განა შეიძლება მკვლელობის წამქეზებელი იმ ზომით დაისაჯოს, რა ზომითაც პასუხს აგებს მკვლელობის ამსრულებელი, რომელიც გაუფრთხილებლობით მოქმედებს? რასაკვირველია, არა“.<sup>13</sup>

ამიტომ, ჩვენ ვერ გავიზიარებთ კორუფციის იდეის მომხრეთა შეხედულებას. ეს იდეა შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ წამქეზებლის დასჯადობას, სხვა თანამონაწილეების მიმართ მას ვერ გამოვიყენებთ.

ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრებას ემსაგებება უმართლობაში თანამონაწილეობის მოძღვრება, რომლის მიხედვით წამქეზებელი ისჯება იმის გამო, რომ მან სხვა ადამიანი უმართლობის ჩასადენად წააქეზა. ამდენად, ანალოგიური კრიტიკა შეიძლება გამოითქვას ამ თეორიის მიმართაც.

ამრიგად, ლიტერატურაში არსებულ თეორიებს შორის მხოლოდ აქცესორული თეორია იძლევა პრობლემის სწორად გადაწყვეტის შესაძლებლობას, რომლის მიხედვით ამსრულებლის, ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის პასუხისმგებლობა ერთიან საფუძველზეა აგებული.

მაგრამ თანამონაწილეთა შეცდომის შემთხვევაში აქცესორული თეორიას ვერ გამოვიყენებთ, აქ ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ბრალზე ფაქტობრივი შეცდომის ზემოქმედების პრინციპით. ე. ი. თუ პირს არ ჰქონდა შეგნებული ესა თუ ის გარემოება, მას არ შეიძლება ეს გარემოება ბრალად შეერაცხოს. ქვემოთ განვიხილავთ ასეთ შემთხვევებს შუალობითი ამსრულებლობისა და ამსრულებლის ექსცესის დროს.

9 А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 125, 220.

10 Ф. Г. Бурчак, указ. работа, стр. 172.

11 თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

12 St. Trechsel, Der Stragrund der Teilnahme, Bern, 1967, s. 3-5.

13 თ. გამყრელიძე, თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, იურიდიული ძიებანი, 1977, გვ. 120.



როგორც ცნობილია, შუალობითი ამსრულებლობა ითვლება ამსრულებლის ერთერთ სახელ და ასეთად ჩითვლება ის პირი, ვინც დანაშაულის ჩასადენად გამოიყენებს „ცოცხალ იარაღს“, რომელიც საერთოდ ან ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხს არ აგებს სისხლისსამართლებრივი წესით, ან რომელმაც შეიძლება პასუხი აგოს გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის.

შუალობითი ამსრულებლობა გვექნება, როდესაც დამნაშავე შეცდომაში შეიყვანს „ცოცხალ იარაღს“ და მას დანაშაულს ჩადენინებს. ცალკეულ გარემოებებზე არასწორი წარმოდგენის შედეგად „ცოცხალ იარაღს“ არა აქვს შეგნებული თავისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, იგი ბრმა იარაღია დამნაშავეის ხელში. ასეთი შეცდომა გამორიცხავს პირის პასუხისმგებლობას თანამონაწილეობისათვის, მაგრამ თუ ის მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, ე. ი. თუ მის უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევაც გაეთვალისწინებინა მავნე შედეგი, მაშინ პასუხს აგებს გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის, რა თქმა უნდა, თუ ქმედობა, რომელიც მან ჩადინა, ისჯება გაუფრთხილებლობით ბრალის დროსაც.

შუალობითი ამსრულებლობა გვექნება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, როდესაც „ცოცხალი იარაღი“ იძულებულია ჩაიდინოს დანაშაული, რათა თავიდან აიცილოს უფრო მძიმე ზიანი. მაგალითად, შვილის მოკვლის მუქარით პირს აიძულებენ ჩაიდინოს ქურდობა. ასეთ შემთხვევაში პირის შეცდომა შეიძლება გამოიხატოს თვით უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის არსებობის შესახებ არასწორ წარმოდგენაში, ასევე არასწორ წარმოდგენაში იმ ფარგლებზე, რომლებშიც დაცვითი საქმიანობა ჩითვლება საზოგადოებრივად სასარგებლოდ. ორივე შემთხვევაში პირის ქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ჩითვლება, ხოლო მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გადაწყდება ბრალის პრინციპის საფუძველზე. სახელდობრ, თუ პირს უნდა სცოდნოდა ან შეეძლო კიდევ სცოდნოდა, რომ საფრთხე რეალურად არ არსებობს ან დაზიანებული სიკეთე მეტი ღირებულებისაა, ვიდრე გადარჩენილი, იგი პასუხს აგებს გაუფრთხილებლობითი ბრალისათვის. პირის შეცდომამ საფუძველი გამოაცალა მის პასუხისმგებლობას თანამონაწილეობისათვის.

შეიძლება „ცოცხალი იარაღი“ აღმოჩნდეს ხელქვეითი, რომელიც უფროსის ბრძანებას ასრულებს. ამასთან, ეს ბრძანება უნდა იყოს სავალდებულო. ამ ნიშნის გარეშე ბრძანების შესრულება განიხილება როგორც თანამონაწილეობა. აგრეთვე ბრძანება დანაშაულებრივ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. აქედან გამომდინარეობს ამ გარემოებების მიმართ პირის არასწორი წარმოდგენის მნიშვნელობა მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გადასაწყვეტად. პირი შეცდომით შეიძლება ფიქრობდეს, რომ უფროსის ბრძანება სავალდებულოა მისთვის, როცა სინამდვილეში სავალდებულო არ არის, არ ჰქონდეს შეგნებული ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი. ასეთ შემთხვევებში ბრალი არა გვაქვს. მაგრამ, თუ პირს შეეძლო გაეთვალისწინებინა ეს გარემოებები, მაშინ გვექნება გაუფრთხილებლობა. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევებში თანამონაწილეობა გამორიცხულია. შეიძლება, პირიქით, პირი ვარაუდობდეს, რომ უფროსის ბრძანება არ არის სავალდებულო, როცა სინამდვილეში ის სავალდებულოა, მიუხედავად ამისა, მაინც ასრულებს მას. ასეთი შეცდომა ბძლევა საფუძველს თანამონაწილეობისათვის მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

ამსრულებლის საქმიანობაზე თანამონაწილეთა არასწორ წარმოდგენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამსრულებლის ექსცესის შემთხვევაში, როცა ამსრულებელი ჩაიდენს ისეთ მოქმედებას, რაც არ არის გაცნობიერებული თანამონაწილეთა მიერ. რაოდენობრივი ექსცესის დროს, როცა ამსრულებელი ჩაიდენს იმავე გვარის დანაშაულს, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა გადაწყდება ბრალის პრინციპით, ე. ი. მათი პასუხისმგებლობა დადგება იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ჩადენაც გათვალისწინებული იყო მათი საერთო განზრახვით. ხოლო თვისობრივი ექსცესის დროს, როცა ამსრულებელი ჩაიდენს არაერთგვაროვან დანაშაულს, საერთოდ არ გვაქვს თანამონაწილეობა. ისინი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადებისათვის.

თუ ამსრულებელი გაცილდა საერთო დანაშაულებრივ განზრახვას და უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე ეს თანამონაწილეთა საერთო განზრახვით იყო გათვალისწინებული, ისინი პასუხს არ აგებენ ამ უფრო მძიმე დანაშაულისათვის. ასეთ შემთხვევაში ექსცესი შეიძლება გამოწვეული იყოს თანამონაწილეთა შეცდომით, როცა ისინი არასწორად აფასებენ ამა თუ იმ გარემოებებს, რომელთა ზეგავლენით ამსრულებელი უფრო მძიმე დანაშაულს ჩაიდენს, თუმცა ასეთი გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში ის არ უნდა გაცილდეს საერთო დანაშაულებრივ განზრახვას და ხელი უნდა აიღოს უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაზე. მიუხედავად ამისა, ამსრულებელი ახორციელებს თანამონაწილეთა საერთო განზრახვით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას. სწორედ ეს იძლევა საფუძველს, რომ ამ უფრო მძიმე დანაშაულისათვის თანამონაწილენი ვაკვათავისუფლოთ პასუხისმგებლობისაგან.

მაშასადამე, თუ თანამონაწილემ არ იცის დამამძიმებელი ობიექტური გარემოების შესახებ, მას ეს გარემოება ბრალად არ შეიძლება შეერაცხოს.



შ-მ წააქეზა დ. გაეჭურდა კ-ს ბინა. დ. თავის ამხანაგებთან ერთად შეიკრა კ-ს ბინაში და ყაჩაღური თავდასხმის შედეგად 12 000 მანეთის ლირებულების საქონელი გაიტაცა. სასამართლო კოლეგიამ სწორად მიუთითა, რომ „შ. აქეზებდა მხოლოდ ბინის გაქურდვაზე, მაგრამ დ-მ თავის ამხანაგებთან ერთად ჩაიდინა ყაჩაღობა, რისთვისაც პასუხს აგებენ უშუალო ამსრულებლები და არა ის თანამონაწილე, რომელიც ექსცესს არ ითვალისწინებდა და იგი არც სურდა“.<sup>14</sup>

მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებელი ჩაიდენს თანამონაწილეთა მიერ გაუთვალისწინებელ დანაშაულს შეცდომის შედეგად, როცა მას არა აქვს გათვითცნობიერებული დამამძიმებელი ობიექტური გარემოების არსებობა. პირის შეცდომა მსგავს სიტუაციაში გამორიცხავს ამსრულებლის ექსცესს და იგი პასუხს აგებს ზიანის გაუფრთხილებლობით მიყენებისათვის, თუ შეცდომა არასაპატიოა და ქმედობა, რომელიც მან ჩაიდინა, ისჯება გაუფრთხილებლობითი ბრალის დროსაც.

ამსრულებლის ექსცესი შეიძლება გეჭონდეს შემდეგ შემთხვევებში: როცა ამსრულებელი ხელყოფს სხვა ობიექტს, არა იმას, რაც შეგნებული ჰქონდათ თანამონაწილეებს და როცა ამსრულებელი ახორციელებს არა იმ მოქმედებას, რაც გათვალისწინებული ჰქონდათ თანამონაწილეებს.<sup>15</sup> ორივე შემთხვევაში ამსრულებლის შეცდომა ობიექტში და მის მიერ შესრულებული მოქმედების ხასიათში დიდი მნიშვნელობა აქვს ექსცესის აღიარებისათვის და ამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის.

როცა ამსრულებლის მიერ შესრულებული არსებითად არ განსხვავდება თანამონაწილეთა შეთანხმებისაგან, პასუხისმგებლობის ხასიათი არ იცვლება. მაგალითად, ხელყოფის ობიექტში შეცდომისას, როცა წამქეზებელმა წააქეზა ამსრულებელი ა-ს მოსაკლავად, ამ უკანასკნელმა მოკლა ბ. ასეთ შემთხვევაში წამქეზებელი პასუხს აგებს დამთავრებული განზრახვი მკვლელობისათვის, მიუხედავად ხელყოფის საგანში შეცდომისა.

როგორ უნდა მოხდეს თანამონაწილეთა ქმედობის კვალიფიკაცია, როცა ამსრულებელი გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ დანაშაულს ჩაიდენს? ასეთ შემთხვევაში აკრიტიკებენ აქცესორულ თეორიას, რომელიც თითქოს ასახულებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას ამსრულებლის მოქმედებიდან გამომდინარე, რომ მათ უნდა გაიზიარონ ამსრულებლის ბედი და პასუხი უნდა აგონ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედობისათვის.<sup>16</sup>

სინამდვილეში აღნიშნული შემთხვევის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ბრალის პრინციპიდან გამომდინარე, კერძოდ, თანამონაწილენი პასუხს აგებენ უფრო მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის, ხოლო ამსრულებელი — ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის. აქცესორული თეორიის მიწინააღმდეგეებს ავიწყლებათ, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა მარტო ამსრულებლის მოქმედებაზე არ არის დამოკიდებული, რომ აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის და ბრალის არსებობა, თანამონაწილეთა დანაშაულებრივ ქმედობათა ერთიანობა. მაგრამ განმსაზღვრელი მაინც ამსრულებლის მოქმედებაა, რომელიც განიხილება დანაშაულის სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში და იძლევა საფუძველს თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის. სწორედ ამსრულებლის მოქმედება ცვლის თანამონაწილეთა ქმედობის კვალიფიკაციას, როგორც ამაში დავრწმუნდით ზემოთ განხილულ შემთხვევებში.

მაშასადამე, აქცესორული თეორია თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველს ხედავს არა ამსრულებლის ქმედობასა და პასუხისმგებლობაში, არამედ დანაშაულის ნიშნების ერთობლიობაში, რომელშიც, ძირითადად, ამსრულებლის მოქმედება. ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, პირიქით, ეს თეორია აღიარებს, რომ „დანაშაულის ყოველმა მონაწილემ პასუხი უნდა აგოს იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი ბრალი და მონაწილეობის ხარისხი დანაშაულის ჩადენაში“.<sup>17</sup>

თანამონაწილეობის დროს შეცდომა შეიძლება დაკავშირებული იყოს გარემოებასთან, რომელიც ახასიათებს ერთ-ერთი თანამონაწილის პიროვნებას, ე. ი. დაკავშირებული იყოს დამამძიმებელ სუბიექტურ გარემოებასთან. მაგალითად, დამხმარემ არ იცის მკვლელობის ჩადენისას, რომ ამსრულებელი მოქმედებს ანგარებით. მოცემულ შემთხვევაში დამამძიმებელი გარემოება მას არ შეერაცხება, რადგანაც ასეთი გარემოება მის მიერ არ იყო შეგნებული. ამრიგად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი სუბიექტური გარემოებანი, რომლებიც ამსრულებლის დანაშაულს აკვალიფიცირებენ და დაკავშირებულნი არიან ქმედობასთან, არ შე-

14. „საქართველოს სსრ სსკ კომენტარები“, თბ., 1976, გვ. 147.

15 ფ. Г. Бурчак, указ. работа, стр. 186.

16 У. С. Джекебаев, Л. М. Вайсберг, Р. Н. Судакова, Соучастие в преступлении, стр. 132.

17. თ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.





ერაცხება სხვა თანამონაწილეებს, თუ მათ მიერ აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება არ იყო შეგნებული.

პირიქით, როცა დამამძიმებელი გარემოება სინამდვილეში არ არსებობს, არსებობს პირის წარმოდგენაში, იწყვეს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას დამამძიმებელ გარემოებაში დანაშაულის მომზადებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამამძიმებელი გარემოება, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთი თანამონაწილის პიროვნებასთან, ე. ი. მკვეთრად პიროვნული დამამძიმებელი გარემოება არ ახდენს ზეგავლენას დანარჩენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე. ამდენად, ასეთ გარემოებაზე შეცდომას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, მას არ შეუძლია შეცვალოს დანაშაულის კვალიფიკაცია.

განასხილველი დაგვჩნდა უშედეგო თანამონაწილეობის შემთხვევა, როცა თანამონაწილეთა მოქმედებები დარჩა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების გარეშე, რადგანაც ამსრულებელმა დანაშაული არ ჩაიდინა. ამსრულებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ თანამონაწილეებმა ხომ ყველაფერი გააკეთეს დანაშაულის ჩასადენად? ამდენად მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ვერ გავათავისუფლებთ. თუმცა თანამონაწილეები ცდებოდნენ, როცა ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი გააკეთებულია შედეგის მისაღწევად, მათ არ გაითვალისწინეს ის გარემოებები, რომლებიც წინ აღუდგენს ამსრულებლის მოქმედებას და ნებაყოფლობით ხელი ააღებინეს დანაშაულის ჩადენაზე. მათ შეცდომა რომ არ დაეშვათ, დანაშაულებრივი შედეგიც დაღვებოდა.

უშედეგო წაქეზება შეიძლება გვქონდეს ორ შემთხვევაში: როცა წამქეზებელი ვერ დაიყოლიებს პირს დანაშაულის ჩასადენად და როცა ამსრულებელი ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე. ორივე შემთხვევაში წამქეზებელი მოქმედებს შეცდომით. ჯერ ერთი, როცა ის ვერ დაიყოლიებს პირს დანაშაულის ჩასადენად, ეს არის შედეგი პიროვნების შეუფასებლობისა, წამქეზებელი ცდებოდა, როცა ვარაუდობდა, რომ შესაძლებელია მისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. მეორეც, ამსრულებლის მიერ ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე; არის შედეგი იმ გარემოებებზე წამქეზებლის არასწორი წარმოდგენისა, რომლებმაც გავლენა იქონიეს ამსრულებლის ქცევაზე. უშედეგო წაქეზებისას პირი პასუხს აგებს დანაშაულის მომზადებისათვის.

ასევე შესაძლებელია წამქეზებლის შეცდომის შედეგად, წაქეზება აღმოჩნდეს ზედმეტი იმის გამო, რომ ამსრულებელს ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენა. ასეთ შემთხვევაში, თუ წაქეზებას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია ამსრულებელზე, გვექნება დანაშაულის მომზადება. თუ წაქეზებამ განამტკიცა მისი დანაშაულებრივი განზრახვა, მაშინ პირი დასჯება როგორც დამხმარე.

ანალოგიურად გადაწყდება პირის პასუხისმგებლობის საკითხი უშედეგო დახმარების დროს. აქ შეიძლება გვქონდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც ამსრულებელი შეცდომით არ გამოიყენებს იმ საშუალებას, რაც მას დამხმარემ გადასცა. ის დაისჯება დანაშაულის მომზადებისათვის, მაგრამ, თუ დამხმარის მოქმედებამ მაინც ერთგვარი ფსიქიკური ზეგავლენა მოახდინა ამსრულებელზე და განამტკიცა მისი განზრახვა, ის განიხილება როგორც თანამონაწილე, კერძოდ, როგორც ფსიქიკური დამხმარე.

ამრიგად, გარემოებები, რომლის მიმართ შეიძლება შეცდომა თანამონაწილეობისას, იყოფა ორ ჯგუფად: პირველში შედის გარემოებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული თანამონაწილეობის სპეციფიკასთან და მათ შეიძლება ადგილი ჰქონდეთ ცალკეულ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულშიც. მეორე ჯგუფს ქმნის გარემოებები, რომლებიც დამახასიათებელია თანამონაწილეობისათვის, გამოხატავს მის თავისებურებებს, ჩვენ სწორედ ამ ჯგუფის გარემოებები განვიხილეთ, რომლის საფუძველზეც ვაჩვენეთ თანამონაწილეობისა და შეცდომის ურთიერთმიმართება, ერთ-ერთი თანამონაწილის არასწორი წარმოდგენის ზეგავლენა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, როცა შეცდომა ეხება სწორედ ამ გარემოებებს. რაც შეეხება პირველი ჯგუფის გარემოებებს, მათ მიმართ შეცდომის პრობლემა თანამონაწილეობის დროსაც წყდება საერთო წესისამებრ.







ალექსანდრა სოფთარიძე, ჯუმაბარ მუხამბე

# საქიმიო საიდუმლოების მხარის სისხლისსამართლებრივი განსაზღვრა მისი განთქმისათვის პასუხისმგებლობისა

მკურნალობის პროცესში, ექიმებსა და ავადმყოფებს შორის მრავალმხრივი ურთიერთობის პირობებში, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება კონფიდენციალური მონაცემების დაცვას, როგორც პაციენტთა ავადმყოფობის, ასევე ინტიმური და სხვა ოჯახური ცხოვრების მდგომარეობის შესახებ.

ეს საკითხი, საქიმიო პროფესიის არსებობის ათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში, ყოველთვის იყო აქტუალური პრობლემა, თუმცა საქიმიო საიდუმლოების გათქმისათვის პასუხისმგებლობა სხვადასხვანაირად წყდებოდა, იმის დამახდებით, თუ განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის რა სტადიაში იმყოფებოდა საზოგადოება. ფეოდალიზმის ეპოქამდე საქიმიო საიდუმლოების გახმაურებისათვის პასუხისმგებლობა კანონმდებლობით არ არსებობდა და მისი დაცვის გარანტია შემოიფარგლებოდა ექიმთა მორალური ვალდებულებებით, რათა წმინდად დაეცათ ეთიკურ-დეონტოლოგიური პრინციპები, რომელიც თავის ყველაზე ნათელ გამოსახულებას პოულობდა ცნობილ „პიპოკრატეს ფიცში“.

მხოლოდ ფეოდალიზმის ეპოქიდან დაწყებული, ევროპის მრავალ ქვეყანაში, პირველად აღმოცენდა საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ დასჯის სხვადასხვა ზომას საქიმიო საიდუმლოების დარღვევის შემთხვევებში. თუმცა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში (1857 წელი) მოთავსებული იყო საქიმიო წესდება, რომელიც არც კი შეხებია საქიმიო საიდუმლოების დაცვის საკითხებს. ასევე, არსებობდა ექიმთა ფაკულტეტური პირობა (აღთქმა), რომლის თანახმად „დაიცავდნენ საოჯახო საიდუმლოებას“, რომელიც, რა თქმა უნდა, მოკლებულ იყო კანონის იურიდიულ ძალას და ატარებდა მხოლოდ ეთიკურ ხასიათს.

პროფესიონალური საიდუმლოების დარღვევისათვის საქმის აღძვრა სასჯელის მოთხოვნით შესაძლებელი გახდა რუსეთში 1903 წლის სისხლის სამართლის სჯულებით, ისიც მხოლოდ კერძო ბრალდების სახით.

მოცემული პრაქტიკა კიდევ უფრო გართულდა 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როდესაც დამახინჯდა თვით იდეა საქიმიო საიდუმლოების დაცვის აუცილებლობის შესახებ. ეჭვის ქვეშ დადგა მისი მიზანშეწონილობა, თითქოსდა, როგორც „ბურჟუაზიული მედიცინის ვადმონაშთი“. უფრო მეტიც, ოფიციალური განცხადება შეიცავდა „საქიმიო საიდუმლოების მოსპობის მტკიცე კურსს“.<sup>1</sup> ამგვარმა ნეგატიურმა მიდგომამ განაპირობა არა მარტო დამახინჯებული წარმოდგენა საქიმიო საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობაზე,

<sup>1</sup> Н. Семашко, О врачебной тайне, Бюллетень НКЗ РСФСР, 1925, № 11,



არამედ აშკარა შეუფასებლობა მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა. ამასთან ერთად, ცნობილია, რომ „საექიმო საიდუმლოების გათქმა იწვევს არა მარტო არაკეთილსასურველ შედეგებს ავადმყოფის ჯანმრთელობისათვის, არამედ ზოგ შემთხვევაში უბიძგებს მას სუიციდალური ქმედებისაკენ“ (თვითმკვლელობისაკენ)<sup>2</sup>; მრავალი ათეული წლების მანძილზე საექიმო საიდუმლოების დაცვის აუცილებლობის პოსტულატის პოზიციის მიუღებლობამ შეაფერხა მისი დაუცველობისათვის რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაწესება.

მრავალი წლის შემდეგ, 1969 წლის დეკემბერში, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მიღებამ, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულია 1970 წლის 1 იანვრიდან, ხელი შეუწყო არსებული არანორმალური მდგომარეობის განმუხტვას, რამდენადაც ამ დროიდან სავალდებულო წესად შემოღებულია ფიცის მიღება იმ პირთა მიერ, რომლებმაც მიიღეს ექიმის სპეციალობა. ფიცის დადების ტექსტში, რომელიც დამტკიცდა 1971 წლის მარტში, ჩადებული იყო მოთხოვნა საექიმო საიდუმლოების დაცვის შესახებ, რომელიც ამის შემდეგ ჩამოყალიბდა, როგორც ექიმთა განსაკუთრებული პროფესიული ვალდებულება. თუმცა ა. ნ. სავიცკაიას სწორი შენიშვნით, „ფიცით ექიმისადმი სათანადო და სასურველი ქცევის ვარიანტების მიწერა, მნიშვნელოვან ნაწილში აბსტრაქტულია: აქ არ არის სამართლებრივი მოთხოვნის კონკრეტიზაცია იმ ხარისხით, რომელიც შესაძლებელს გახდიდა შესაბამისი სანქციის გამოყენებას“<sup>3</sup>. არავითარი არსებითი არ მოუტანია ამ მხრივ სსრ კავშირის ყოფილი ჯანმრთელობის სამინისტროს სპეციალურ ცირკულარსაც კი (№ 01-2713, 1976 წლის 3 დეკემბერი), რომელიც ეხებოდა საექიმო საიდუმლოების დარღვევით მომხდარ ფაქტებს. თუმცა იგი შეიცავდა საექიმო საიდუმლოების დამრღვევ სუბიექტების კონკრეტიზაციას და მაინც მათი პასუხისმგებლობის შესახებ იძლეოდა საერთო ხასიათის რეკომენდაციებს, — „შეურიგებლად მოვეკიდოთ პირებს, რომლებიც არღვევენ პროფესიონალურ ვალდებულებათა პირობას... სამედიცინო მუშაკი, რომელმაც გაანხმურა ან ხელი შეუწყო საექიმო საიდუმლოების გახმაურებას“. ამასთან ერთად ჯანმრთელობის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლი ითვალისწინებდა დისციპლინარულ პასუხისმგებლობას, საექიმო საიდუმლოებისა და პროფესიონალური მოვალეობის დაუცველობისათვის, თუმცა იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩათვლილიყო ადეკვატურ ზომად მისი გახმაურების გამო დამდგარი მძიმე შედეგებისათვის.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საექიმო საიდუმლოების გახმაურების საქმეში რჩებოდა (და ჯერ კიდევ რჩება) გამოუყენებელი, სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობისა და ამ ქმედების სამართალსაწინააღმდეგო ნიშნების აღწერის არარსებობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრივ ამგვარი მოქმედების გამო მძიმე შედეგების დადგომის მიუხედავად. მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმის გაუმართლებლობაში, რომ საექიმო საიდუმლოების დარღვევის ყველა შემთხვევისათვის პასუხისმგებლობა შემოიფარგლოს დისციპლინარული დასჯადობის ჩარჩოებში, როდესაც მას შეიძლება მოყვეს საკმაოდ მძიმე შედეგები პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. უფრო მეტიც, დღემდე არ არის შემუშავებული სისხლისსამართლებრივი პოზიციის ერთიანი განსაზღვრა საექიმო სა-

2 И. Я. Купов, Проблема врачебной тайны, Вестник Академии медицинских наук, 1982, № 4, с. 72.

3 А. Н. Савицкая, Возмещение ущерба, причиненного ненадлежащим врачеванием, Львов, Виша шк., 1982, с. 14—15.





იღუმლოების ვაგების საკითხებში. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამ სფეროში არსებული სიცარიელე ნეგატიურად აისახება გამაფრთხილებელი ზომების ეფექტიანობის ხარისხზე, რომელიც ნეიტრალურ მდგომარეობაში აყენებს სასამართლო პრაქტიკას. პრობლემათა გამოკვლევას, უპირველეს ყოვლისა, მიყვევართ საექიმო საიდუმლოების დაცვის აუცილებლობის განსაზღვრულ ფარგლებამდე, ე. ი. მისი გათქმის შემთხვევათა მართლზომიერების თუ არამართლზომიერების კონსტრუქტიზაციის აუცილებლობისაკენ. საექიმო საიდუმლოების გახმაურების მართლზომიერების საკითხებზე აქ ჩვენ დეტალურად არ შეეჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში სპეციალურად იქნა აღნიშნული იმ გამონაკლისის შესახებ, რომელიც უშვებდა მის გამჟღავნებას ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომი ორგანოების წინაშე დაავადების მთელი რიგი სახეობათა მიხედვით, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის. გარდა ამისა, სასამართლო-საგამომძიებო ორგანოების მოტივირებული მოთხოვნით, სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული იყვნენ ეცნობებინათ მათთვის აუცილებელი მონაცემები იმის შესახებ, რაც შეადგენს საექიმო საიდუმლოების ობიექტს.

ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის პირველ ნაწილში მითითებული იყო საერთო ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ საექიმო საიდუმლოების ცნებას: „ექიმებს და სხვა მედიცინის მუშაკებს უფლება არა აქვთ გათქვან პროფესიონალური მოვალეობის შესრულების გამო მათთვის ცნობილი მონაცემები ავადმყოფობის, ავადმყოფის ინტიმური და ოჯახური ცხოვრების შესახებ“. შემდგომში, მითითებული მუხლის რედაქციაში შეტანილი იყო დამატება, „ასევე ფარმაცევტიის მუშაკები“, რაც აფართოებდა საექიმო საიდუმლოების არამართლზომიერი გათქმის სუბიექტთა პასუხისმგებლობის წრეს (იხ. უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979, № 25, გვ. 438).

თუ სასამართლო-საგამომძიებო ორგანოებში ავადმყოფობის შესახებ მონაცემების შეტყობინება არ იწვევდა უთანხმოებას, სამაგიეროდ, აზრთა სხვადასხვაობა იქმნებოდა ავადმყოფის ცხოვრების ინტიმური და ოჯახური მხარის შესახებ ცნობების მიწოდების მიზანშეწონილობის საკითხში. ადგილი ჰქონდა მკვეთრ, კატეგორიულ მსჯელობას, მსგავსად იმისა, ამგვარი მონაცემები „არავითარ შემთხვევაში არ ექვემდებარება გახმაურებას“<sup>4</sup> საექიმო საიდუმლოების ობიექტის მთლიანობის თვალსაზრისის უტყუარობის გამო, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით, ზემოაღნიშნული მტკიცებულება თავისთავად მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. უფრო მეტიც, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ სისხლის სამართლის პროცესუალურ კანონმდებლობის მიერ დადგენილ მოქმედ ნორმატივებს. ვ. სმისლოვის შეხედულებათა არგუმენტალური უარყოფა ეყრდნობოდა იმას, რომ „საექიმო საიდუმლოების შენახვა თითქოს ეწინააღმდეგება კანონის აზრს, თუ ეს მოქმედება დაბრკოლებას შეუქმნიდა მართმსაჯულების აღსრულებას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით“<sup>5</sup> მაგრამ, არა მარტო ვ. სმისლოვი იყო, რომელსაც გაუგებრობები შეჰქონდა ამ საკითხში. ამისათვის საჭიროა მოვიშველოთ სისხლის სამართლის სამართალწარმო-

4 В. Смыслов, Уголовно-процессуальные средства охраны врачебной тайны и тайны усыновления, «Соц. законность», 1971, № 5, с. 34.

5 Р. Готлиб, П. Дагель, С. Улицкий, Неправильное толкование понятия охраны врачебной тайны, «Соц. законность», 1972, № 6, с. 63; С. Я. Улицкий, Обязанность сохранять врачебную тайну, «Соц. законность», 1971, № 1, с. 40; И. С. Сук, Врачебная тайна, Киев, «Здоровья», 1981, с. 8 и др.



ების საფუძვლების მე-16 მუხლის ჩამონათვალი, რომლის თანახმად, დანაშაულის მტკიცებულებად აღიარებული იყო ნებისმიერი ფაქტობრივი მონაცემი, რომელსაც ექნებოდა არსებითი მნიშვნელობა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. თუმცა, რიგი ავტორებისა, აგრძელებდნენ რა იმ აზრზე დარჩენას, რომ გათქმის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მონაცემები ავადმყოფობის შესახებ და არა ავადმყოფის ცხოვრების ინტიმური და ოჯახური მხარეები.<sup>6</sup> საბოლოო გარკვეულობა მოცემული საგნის პოლემიკაში შეიტანეს ნ. ს. მალეინმა და ვ. დ. სერგეევმა. პირველი ამტკიცებდა, რომ „მედიცინის მუშაკები, ისე როგორც ყველა მოქალაქე, ვალდებული არიან მისცენ ჩვენება სასამართლოში, ამასთან ერთად, აცნობონ მონაცემები, რომლებიც შეადგენენ საექიმო საიდუმლოების ობიექტს, თუ ისინი გამოდიან მოწმისა და ექსპერტის სახით, ან შეატყობინონ დანაშაულის შესახებ, რომელთა მიუწოდებლობა დასჯადია კანონით“, ხოლო მეორეს მიაჩნდა, რომ სასამართლოს და გამოძიებას უნდა ეცნობოს „ნებისმიერი მონაცემები, რომელიც ცნობილი გახდა მედიცინის მუშაკისათვის, როგორც ავადმყოფობის ხასიათის, ასევე ავადმყოფის ინტიმური და ოჯახური ცხოვრების შესახებ“.<sup>7</sup> მოცემულ ასპექტში აქცენტირებული ყურადღება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ 1993 წლის აგვისტოში მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის საფუძვლებში გამოხატულა ჰპოვეს საექიმო საიდუმლოების ობიექტის არაკონკრეტიზირებულმა ზემოაღნიშნულმა ნიშნებმა, ხოლო მათ სანაცვლოდ გამოყენებული იყო საფუძვლების 61-ე მუხლში ისეთი ტერმინი, როგორცაა „სხვა მონაცემები, მიღებული ავადმყოფის გამოკვლევისა და მკურნალობისას...“, რაც, აქედან გამომდინარე, არ განსაზღვრავს სახელდობრ რა მონაცემები იგულისხმება და რა შემთხვევაში შეიძლება იგი შეფასდეს, როგორც საექიმო საიდუმლოების ობიექტის ელემენტი.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის საპარლამენტო განხილვა-მიღების წინ უფრო მეტადაა საჭირო სათანადოდ დაზუსტდეს ამ მიმართებით გამოყენებული ტერმინები. კანონპროექტის მომზადებულ ვარიანტში არის მუხლი მე-17 სათაურით: „საექიმო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება“. აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ის ტექსტუალურად განსაკუთრებით არაფრით არ განსხვავდება ადრე მოქმედი საქართველოს სსრ კანონისაგან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომლის მე-18 მუხლის 1 და 2 ნაწილი ითვალისწინებდა მედიცინის მუშაკების მიერ საექიმო საიდუმლოების გათქმის დაუშვებლობას (მათ „არ ჰქონდათ მისი გათქმის უფლება“). კანონპროექტში, ეს გამოთქმა შეცვლილია „ისინი ვალდებული არიან არ გათქვან მონაცემები“. ტერმინებს შორის „უფლება არ აქვთ“ და „ვალდებული არიან“, არსებობს განსაზღვრული განსხვავება, რომელსაც პასუხისმგებლობის დადგენის საკითხში აქვს არსებითი მნიშვნელობა. სამართლებრივ ურთიერთობაში გაგება „უფლება არ აქვს“ უფრო მისაღებია, ვიდრე „ვალდებულია“, რადგან ეს ბოლო

6 И. А. Концевич, Судебно-медицинские аспекты врачебной практики, Киев, «Здоровья», 1974, с. 29, 40; В. У. Новоселов, Правовое регулирование охраны врачебной тайны, «Сов. здравоохранение», 1974, № 6, с. 59; Л. О. Красавчикова, Личная жизнь граждан под охраной закона, Л., 1983, с. 135; Г. Д. Мепаришвили, Врачебная тайна уголовно-судопроизводство, «Сов. госуд. и право», 1989, № 11, с. 74.

7 Н. С. Малейн. О врачебной тайне, «Сов. госуд. и право», 1981, № 8, с. 80; В. Д. Сергеев, Профессия врача: юридические основы, Киев, Виша шк., 1988, с. 102; И. Ф. Огарков, Врачебные правонарушения и уголовная ответственность за них, Л., «Медицина», 1966.



გამოთქმა ატარებს რა თავის შინაარსში მოქმედების ვალდებულებას გარკვეული პირისათვის, მას არა აქვს ამკრძალავი ხასიათი სამართლებრივი გაგებით.

ზემოაღნიშნულის ფონზე, განსაკუთრებით საჭიროა საექიმო საიდუმლოების სამართლებრივი გაგების სრულყოფილი განსაზღვრა. ამიტომ არ შეიძლება არსებული სამედიცინო და იურიდიული ლიტერატურისათვის გვერდის ავლა და მისი შესაბამისი ანალიზის გამორიცხვა, რომლებიც იძლევიან მის სხვადასხვა გაგებას, ამრიგად, არსებობს აზრთა მრავალრიცხოვანი სხვადასხვაობა საექიმო საიდუმლოების გაგების საკითხში, რომლის დეტალური გამოკვლევა მოახდინეს მისმა ავტორებმა: ი. ი. კუბოვმა, ვ. ა. გლუშკოვმა, ი. დ. სერგეევმა, ი. ი. ივანიუშკინმა, ნ. ს. მალეინმა და სხვებმა. აქედან, ყველაზე ლაკონურად წერს ი. ი. ივანიუშკინი: „საექიმო საიდუმლოებად ითვლება არა მარტო ინფორმაცია განდობილი პირადად პაციენტის მიერ ექიმისათვის, არამედ ყოველივე ის, რაც ამ უკანასკნელს საერთოდ შეუძლია გაიგოს ადამიანზე თავის პროფესიის შემწეობით“. უფრო დაწვრილებით აღწერს ი. დ. სერგეევი: „საექიმო საიდუმლოების ქვეშ გვესმის ავადმყოფების შესახებ, ავადმყოფის ცხოვრების ინტიმური და სხვა მხარეთა მონაცემების გაზიარების ქვემდებარეობა, რომელიც მიღებულია უშუალოდ თვით პაციენტისაგან, ან გამოვლინებულია მისი გამოკვლევისა და მკურნალობის პროცესში, ე. ი. მედიცინის მუშაკების მიერ თავისი პროფესიონალური მოვალეობის შესრულების შედეგად. ამასთან ერთად, არ ექვემდებარება გათქმას არა მარტო მონაცემები თვით ავადმყოფობის შესახებ, არამედ მონაცემები ავადმყოფის ორგანიზმში ფუნქციონალური განსაკუთრებულობის, მის ფიზიკურ ნაკლოვანებებზე, მავნე ჩვევებზე, ფსიქიკის თავისებურებაზე და ბოლოს, მის ქონებრივ მდგომარეობაზე, ნაცნობთა წრეზე, მის დაინტერესება-გატაცებაზე და სხვა ამგვარზე“.<sup>8</sup> არ მივუთითებთ აქ სხვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და შევაჯამებთ: საექიმო საიდუმლოების არსის საკანონმდებლო ფორმულირებით არსებული განსაზღვრებაბათა პირობებში მედიკოსებისა და იურისტების თვალსაზრისს, ასევე გამოყენებული ტერმინების გაგების დონეს თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში და ურთიერთობაში აუცილებლობით მივყავართ შემდეგ დასკვნებად:

1. სამედიცინო პრაქტიკის ამჟამინდელი მდგომარეობა ნათლად მოწმობს მედიცინისა და სხვა მუშაკების წრით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მნიშვნელოვან გაფართოებას, რომლებიც თავისი პროფესიონალური და შრომითი საქმიანობის გამო უშუალო შეხებაში იმყოფებიან ავადმყოფებთან, ან შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სამედიცინო დოკუმენტებს მათ შესახებ, მიიღონ ინფორმაცია მათი პირადი ცხოვრების შესახებ და სხვა. გარდა სამედიცინო პერსონალისა, ავადმყოფებთან კონტაქტში მათი მომსახურებითა და მოვლით დაკავებული არიან ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი, რომლებიც არც ისე იშვიათად უფრო გათვითცნობიერებულნი არიან, ვიდრე ექიმები, ავადმყოფთა ყოველდღიურ ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობაში, კერძოდ, მათ პირად ცხოვრებაში, რაც სავალდებულოს ხდის საექიმო საიდუმლოების დაცვისათვის ვალდებული სუბიექტების ჩამონათვალში შესაბამისი დამატებების შეტანის აუცილებლობას. მოცემული მოსაზრების გასამაგრებლად შეიძლება დავეყრდნოთ ი. ჟ. კრილოვის გამოხატუებას, რომელსაც სწორად მიაჩნია სუბიექტების ჩამონათვალს დაემატოს „კიდევ სხვა მედიცინის მუშაკები“, — ასეთი პირებია ტექნიკური პერსონალი (სანიტრები, მომვლელები) და სხვა, რამ-

8 И. Я. Ивановшнин, Профессиональная этика в медицине, М., «Медицина», 1990, с. 106; Ю. Д. Сергеев, Профессия врача: юридические основы, Киев, Вища шк., 1988, с. 97.



დენადაც მათთვის: „უფრო ხშირად, ვიდრე ექიმებისათვის, ცნობილი ხდება კაცი ციენტის მონაცემები არა მარტო ავადმყოფობის, არამედ ავადმყოფის ინტენსიური და ოჯახური ცხოვრების მხარეთა შესახებ“ („ექიმი და კანონი, საექიმო საქმიანობის სამართლებრივი საკითხები“, „ცოდნა“, 1972, გ. 33);

2. კანონმდებლობაში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ტერმინის „სხვა მედიცინის მუშაკების“ შემოღება გაუმართლებელია მისი სხვადასხვა თვითნებური განხილვა-განსჯადობის გამო. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ახალი კანონპროექტის შემუშავებისას, მიზანშეწონილია მასში შეიტანონ არსებულის მაგიერ ისეთი ტერმინი, როგორცაა „სამედიცინო და მომსახურე პერსონალი“. ეს უფრო შემჭიდროებულად და ზუსტად გამოხატავს პროფესიონალურ და ტექნიკურ ჯგუფებს, რომლებსაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების ძალითა და ავადმყოფთან კონტაქტების გამო პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავადმყოფის სამედიცინო და პირადი საიდუმლოების გათქმისათვის.

ამრიგად, ავადმყოფთან მჭიდრო შეხებით ურთიერთობაში მყოფ მუშაკთა გარკვეული ჯგუფის, საექიმო საიდუმლოების სუბიექტების სიაში შეტანა უნდა ჩამოყალიბდეს დიდი სიზუსტით.

ტერმინი „პერსონალის“ ხმარების საფუძველი, ნაცვლად „მუშაკებისა“, არ შემოიფარგლება მარტო ზემოაღნიშნული მოსაზრებებით. იგი ასევე გამაგრებულია სამედიცინო დაწესებულებებში საერთოდ შემოღებული საშტატო სტრუქტურული ქვედანაყოფებით და ლათინური სიტყვის „პერსონალ“-ის აზრობრივი მნიშვნელობითაც, რომელიც აიხსნება, როგორც „დაწესებულების პირადი შემადგენლობა... ან კიდევ ამ შემადგენლობის ნაწილი, რომელიც თავის თავად არის ჯგუფი პროფესიონალთა ან სხვა მსგავსი ნიშნის მიხედვით, მაგალითად: „მომსახურე პერსონალი“ (იხ. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, მ., 1988, გვ. 383; ს. ი. ოჟეგოვი, ზუსული ენის ლექსიკონი, 1986, გვ. 442);

3. დღევანდელ დროში, წარსულისაგან განსხვავებით, როდესაც ავადმყოფის მკურნალობის პროცესი არ ხდებოდა სამკურნალო დაწესებულებებში და ითვლებოდა მხოლოდ ექიმის პრეროგატივად და სხვა პირების ჩარევა გამორიცხული იყო, მაშინ ტერმინის არსებობა „საექიმო საიდუმლოება“ მთლიანად შეესაბამებოდა რეალობას, რამდენადაც ის ნამდვილად იყო მარტოდმარტო საექიმო საიდუმლოება. სამედიცინო პრაქტიკის თანამედროვე პირობებში, მოცემულმა ტერმინმა საჭირო საიდუმლოების სახით დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა და გახდა იურიდიულად დეზორიენტალური ცნება. შემდგომში მისი გამოყენება სამართლებრივი მიზნებისათვის მიუღებელია.

აღეკატური გამოხატულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მისი გაგების ზუსტი განსაზღვრისა და კონკრეტულ სფეროში გამოყენებისათვის, ასევე პროფესიონალური საიდუმლოების სუბიექტ-მატარებლის წრის რეალურად გაფართოებისათვის, ხმარებაში შემოღებული „საექიმო საიდუმლოების“ ტერმინის მაგივრად, საჭირო არის შემოვიღოთ ახალი განმარტება „პროფესიონალური სამედიცინო საიდუმლოება“ (ან სიტყვა „პროფესიონალურის“ გარეშე). ამგვარი მიდგომის მიზანშეწონილობის აღიარება არა ერთხელ წამოიჭრა რიგი ავტორების მიერ (ი. ვ. კუპოვი, მითითებულ ნაშრომში, გვ. 73, ი. ი. ივანიუშკინი, მითითებულ ნაშრომში, გვ. 102–103 და სხვ.), თუმცა მან ვერ პოვა შესაბამისი რეალიზაცია.

სამართლებრივი სფეროსათვის გამოყენებული ტერმინის „სამედიცინო საიდუმლოების“ შემოღება შეიძლება იყოს უკეთესი ორიენტირი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ობიექტთა დასახელებას და დაამტკიცებს თავის უპირატესობას სუბიექტთა მიერ მოცემულის ხელყოფისათვის ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის.



გამოვიკვლიეთ და ანალიზი გავუკეთეთ რა დღემდე მოქმედი „საქემო სა-  
იდუმლოების“ გაგების არსს, ასევე ვყვარდნობით შემოთავაზებულ ახალ ტერმინ-  
ებს, შეგვიძლია შემოგთავაზოთ სამედიცინო საიდუმლოების სისხლისსამართ-  
ლებრივი განმარტების ახალი ვარიანტი. ნიშნების ერთობლიობას, დამახასია-  
თებელს „სამედიცინო საიდუმლოების“ არამართლზომიერი დარღვევისათვის  
მიუყვართ შემდეგ ფორმულირებამდე:

**სამედიცინო საიდუმლოების დანაშაულებრივი დარღვევა არის ავადმყოფის**

სენისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალური ინფორმაციის ნებისმიერი  
ფორმით განზრახ გავრცელება გარეშე პირთა შორის, — ექიმთა, სხვა სამედი-  
ცინო, მომსახურე და ტექნიკური პერსონალის, აგრეთვე ფარმაცევტული მუშა-  
კების მიერ, რომლებმაც ასეთი მონაცემები შეიტყვეს (ან გაიგეს) თავიანთი  
პროფესიული ან შრომითი საქმიანობის შესრულებისას და თუკი ავადმყოფი —  
პაციენტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ამ განთქმამ უშუალოდ გამოიწვია  
რაიმე მძიმე შედეგი.

სამედიცინო საიდუმლოების გახმაურების კანონსაწინააღმდეგო მოქმედე-  
ბის ობიექტური მხარის გამოხატულებაა განზრახვა, ან კიდევ გაუფრთხილებ-  
ლობა, აღნიშნული კატეგორიის მუშაკთაგან იმ პირის მიერ, რომელმაც დაარ-  
ღვია მოპოვებული ინფორმაციის შინაარსის საიდუმლოება.

ჩადენილი ქმედების არამართლზომიერად ცნობისათვის აუცილებელია მომ-  
ხლარი ქმედების ობიექტური მხარის ყველა ნიშნების ერთობლიობის არსებობა.

შემოთავაზებული ფორმულირებიდან გამომდინარე, სამედიცინო საიდუმ-  
ლოების კანონსაწინააღმდეგო გათქმის დანაშაულის შემადგენელ ელემენტებად  
შეიძლება ჩაითვალოს:

- ა) სპეციალური სუბიექტების მოქმედება განზრახ ან გაუფრთხილებლობით  
მათ მიერ პროფესიული ან შრომითი ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირე-  
ბით, რასაც შედეგად მოჰყვა სამედიცინო საიდუმლოების დაცვის მოთხოვნათა  
დარღვევები; ბ) მონაცემების კონფიდენციალობა, რომელიც შეეხება ავადმო-  
ფობის ისტორია, ასევე ავადმყოფის ოჯახურ და ინტინურ ცხოვრებას, რომე-  
ლიც მას არ სურს გახდეს შემდგომი გახმაურების საგანი; გ) სამედიცინო სა-  
იდუმლოების მონაცემების რაიმე ფორმით გავრცელების ფაქტი ნებისმიერ უცხო  
პირთან, რომელსაც არა აქვს უშუალო დამოკიდებულება მკურნალობის პრო-  
ცესთან და ავადმყოფის მომსახურებასთან; დ) მიზეზობრივ-შედეგობრივი კავში-  
რის არსებობა სამედიცინო საიდუმლოების გათქმით ჩადენილი ქმედებისა და  
მის კვალდაკვალ ავადმყოფის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის არაკეთილსაზურ-  
ველი შედეგების დაღვომა.

ერთ-ერთი ელემენტის გამორიცხვა, რომელიც სამედიცინო საიდუმლოების  
გათქმის სამართალსაწინააღმდეგო მოქმედების ერთობლიობას შეადგენს, სხვა-  
ნაირად რომ ვთქვათ, ჩადენილ ქმედებაში მოცემული დანაშაულების შემადგენ-  
ლობიდან ნებისმიერი ნიშნის გამორიცხვა, რა თქმა უნდა, უფლებას არ გვაძ-  
ლევს მოვახდინოთ მისი კვალიფიკაცია, როგორც სისხლის სამართლებრივად  
დასჯადი ქმედება და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის დამრღვევი პი-  
რის პასუხისმგებლობა შეიძლება გადავიტანოთ სამართლის სხვა სფეროში.

„სამედიცინო საიდუმლოების“ გათქმის შედეგების საზოგადოებრივად სა-  
შიში ხასიათის რეალური შეფასებით, რიგი მეცნიერები თავის დროზე აყენებ-  
დნენ საკითხს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული დანაშაულის ჩადე-  
ნისათვის პასუხისმგებლობის სპეციალური ნორმის შეტანის შესახებ. მათ  
რიცხვს მიეკუთვნება: ი. ი. ბერდიჩევსკი, ვ. სმისლოვი, ა. ნ. საიციკაია, ი. ჟ.  
კრილოვი, ი. ი. კუპოვი, ვ. ა. გლუშკოვი, ი. დ. სერგევი და სხვები.





იმის საფუძველზე, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესების ყოველმხრივი და აუცილებელი დაცვის უარყოფა და ამით მისთვის მინიჭებული ბუნებრივი სიკეთის ხელყოფა, რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს იგი; ალბათ შემდგომში გამართლება არ ექნება მოცემულ წინადადებათა რეალიზაციის დაყოვნებას სამედიცინო საიდუმლოებების გათქმის არამართლზომიერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების აუცილებლობის საქმეში.

ამრიგად, აღნიშნულის აქტუალობა და დიდი ხანია მომწიფებული აზრი შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმის არსებობის მოთხოვნათა შესახებ, არავითარ ეჭვს არ ბადებს. აღნიშნულის მტკიცებულებად შეიძლება მოვიშველიოთ საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა (გერმანია, უნგრეთი, პოლონეთი, ბულგარეთი და სხვ.), სადაც სისხლის სამართლის კოდექსებში შეტანილი იყო ანალოგიური მუხლები, როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილი, ავადმყოფობის შესახებ სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევისათვის, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგები მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

სამედიცინო საიდუმლოებების გათქმის დაუშვებლობის გამაფრთხილებელი ღონისძიებების შემუშავებისა და მისი სისხლის სამართლის საშუალებებით უზრუნველყოფის დიდ მნიშვნელობას იძლევა განვითარებულ უცხო ქვეყნებში გატარებული აქტუალური გამოკვლევა საქეიმო საიდუმლოების კონფიდენციალობის დაცვის პრობლემებზე, ავადმყოფის პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ.

საქეიმო საიდუმლოების გაუთქმელობის უზრუნველყოფის აუცილებლობის ფილოსოფიურ სამედიცინო და სამართლებრივ ასპექტში განხილვას მიეძღვნა არც თუ ისე მცირე შრომა შემდეგი ავტორების მიერ: რ. ვასერსტრომის, ლე როიას, პ. კლარკის, ჯ. ტობრინერის, მ. სიგლერის, დ. ბროკას და სხვა.<sup>9</sup>

ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგების გათვალისწინება, სხვა ქვეყნებში დაგროვილ შეხედულებათა და სასამართლო პრაქტიკის გამოცდილებათა ანალიზი ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანისათვის ახალი მუხლის სრულყოფილად შემუშავებას, რომელიც დააწესებდა პასუხისმგებლობას სამედიცინო საიდუმლოების გათქმის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის საკითხზე მოსამზადებელ კანონმდებლობაში, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინარულ სასჯელს სამედიცინო საიდუმლოების დაუცველობის უმნიშვნელო დარღვევისათვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების არსებობა აუცილებელია განზრახვით ჩადენილი ქმედებისათვის, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა ავადმყოფის ჯანმრთელობისათვის. უნდა არსებობდეს ფართო არჩევანი სამედიცინო საიდუმლოების გათქმის დასჯადობის დიფერენციალობისათვის, რაც ეფექტიანი საშუალება იქნება რეციდიულ დარღვევათა თავიდან აცილებისათვის, შექმნის მოქალაქის უფლებათა დაცვის გარანტიებს, რომელმაც მკურნალობისათვის მიმართა სამედიცინო დაწესებულებას.

9 «Этика биомедицинских исследований» (Реферативный сборник), АН СССР, М., 1989, с. 64; Сб. «Врач и пациент: этический-правовой аспект (научно-аналитический обзор)», АН СССР, М., 1990, с. 5.



მაკაკა სკალნიძის მიერ

## ადმინისტრაციული სახელეუბოს კლასიფიკაცია

ადმინისტრაციული სახელეუბო გამოიყენება ადმინისტრაციული გადაცდომების ჩადენის შემთხვევაში. სახელეუბო ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გამოყენებული სანქციაა, მაგრამ ადმინისტრაციული სანქცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ადმინისტრაციული სახელეუბო, ვინაიდან სანქცია ადმინისტრაციულ სამართალში სცილდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფარგლებს და მოიცავს აგრეთვე დისციპლინურ სამართალდარღვევას.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციულ სამართალში გამოიყენება სამი სახის ადმინისტრაციული იძულება: ადმინისტრაციული გამაფრთხილებელი ღონისძიებები, ადმინისტრაციული აღმკვეთი ზომები და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენება ადმინისტრაციული სახელეუბოს დაკისრების სახით<sup>1</sup>. ადმინისტრაციული იძულება და ადმინისტრაციული სანქციის გამოყენება სავსებით ერთნაირი როლია. ადმინისტრაციული სანქცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების თანმხლები ნაწილია, ხოლო ეს სანქცია, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს, როგორც ადმინისტრაციული სახელეუბო, ისე დისციპლინური სახელეუბო და ქონებრივი ანაზღაურებაც. რაც შეეხება ადმინისტრაციულ-აღმკვეთ და ადმინისტრაციულ-გამაფრთხილებელ ღონისძიებებს, ისინი ადმინისტრაციული იძულების სახეებია, მაგრამ ადმინისტრაციულ სანქციებს არ განეკუთვნებიან. იძულების დასახელებული სამი სახიდან მხოლოდ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა არის ისეთი იძულება, რომელიც დაკავშირებულია სანქციის გამოყენებასთან.

სანქცია დაკავშირებულია სუბიექტის ბრალთან (განზარზვა ან გაუფრთხილებლობის სახით). თუ სუბიექტს ბრალი არ მიუძღვის, მის მიმართ სანქციის გამოყენება არ შეიძლება. ხოლო ადმინისტრაციული გამაფრთხილებელი და ადმინისტრაციული აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენება არ არის დაკავშირებული, როგორც წესი, იმ პირის ბრალთან, ვის მიმართაც ეს ღონისძიებები გამოიყენება. მაგალითად, საკარანტინო წესების შემოღება მიზნად ისახავს დაავადების გავრცელების თავიდან აცილებას. კარანტინი შეეხება ყველას, ვინც მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებშიც აღმოჩნდება, მაგრამ მათ შეიძლება ბრალი არაფერში არ მიუძღოდეთ. ასეთივეა ადმინისტრაციული აღმკვეთი ღონისძიებების მეტი წილი, როდესაც იგი გამოიყენება არაბრალეული პირების მიმართ დაწყებული ან ჩადენილი სამართალდარღვევის მიხედვით შედეგების აღსაკვეთად. მხოლოდ იარაღის გამოყენება, დაკავება და ზოგიერთი სხვა აღმკვეთი ღონისძიება შეიძლება იყოს დაკავშირებული იმ პირის ბრალთან, ვის მიმართაც იგი არის გამოყენებული. მაგრამ ეს ბრალი, როგორც წესი, ჯერ კიდევ დადასტურებული არ არის, ვინაიდან პირი, ვისაც აკავებენ არ გაუსამართლებიათ და მისი ბრალი სამართალდარღვევაში ჯერ კიდევ არ დაუდასტურებიათ. სხვა საკითხია სასამართლოს განაჩენის აღსასრულებლად ბაღრაგის

1. იხ. ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 1995, გვ. 204.



ქვეშ მყოფი პირის გაქცევა და მის მიმართ იარაღის გამოყენება, რაც დამნაშავეს ბრალთან არის დაკავშირებული იმ ახალ სამართალდარღვევაში, რომელიც მან ბაღრაიდან გაქცევის სახით ჩაიდინა, რასაც კვლავ სასამართლო განხილვა და ბრალის დადასტურება ესაჭიროება. ამრიგად, ადმინისტრაციული გამარფთხილებელი და ადმინისტრაციული აღმკვეთი ღონისძიებები არ არის დაკავშირებული იმ პირების ბრალთან, ვის მიმართაც ეს ღონისძიებები გამოიყენება, მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების სახით გამოიყენება მხოლოდ სამართალდარღვევაში ბრალეული პირის მიმართ.

აღრე ადმინისტრაციულ იძულებას სხვაგვარი კლასიფიკაცია ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით რევოლუციამდელი მეცნიერი ვ. მ. გესენი წერდა: „განასხვავებენ პოლიციური ხელისუფლების იძულებითი უფლებამოსილების სამ სახეს: ჯერ ერთი უშუალო იძულების ზომები, მეორეც, რეპრესიულ-იძულებითი ზომები, მესამეც, პრევენტიული ანუ გამაფრთხილებელ-იძულებითი ზომები“<sup>2</sup>. უშუალო იძულებით ზომებს განეკუთვნებოდა სხვადასხვა ზომები: გადასახადის იძულებით გადახდა, ამა თუ იმ ვალდებულების იძულებით შესრულება ვალდებული პირის ხარჯზე (მაგ., სახლის, ეზოს დასუფთავება სახლის მეპატრონის ხარჯზე), აგრეთვე იძულებით მოყვანა პოლიციასა და სასამართლოში (დამნაშავეს შესაპრობად, ხანძრების ჩასაქრობად და სხვ.). რეპრესიულ-იძულებით ზომებს განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული სახდელების დაკისრება (მეტწილად ჯარიმისა) ადმინისტრაციის მიერ გამოცემული სავალდებულო გადაწყვეტილების შესრულებლობისათვის, კერძოდ, ისეთი დარღვევებისათვის, როგორცაა: საბაჟო, ტყის, ფოსტის გამოყენების წესების დარღვევა, ბირჟების, ნავთობის სარეწების, კერძო ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულების შესახებ წესების დარღვევა და სხვ. პრევენტიულ ანუ გამაფრთხილებელ-იძულებით ზომებს განეკუთვნებოდა საპოლიციო ზედამხედველობა, რომელიც 4 სახის იყო: თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებზე, სასამართლოსა და გამოძიებისაგან თავის ამრიდებულების მიმართ, საიდუმლო პოლიციური ზედამხედველობა (მაგ., საღუელოდ მოქიშპე პირების მიმართ დუელის თავიდან ასაცილებლად), საჯარო პოლიციური ზედამხედველობა იმ დანაშაულობათა თავიდან ასაცილებლად, რომელიც მიმართული იყო არსებული სახელმწიფო წესწობილების წინააღმდეგ. პრევენტიულ ანუ გამაფრთხილებელ-იძულებით ზომებს განეკუთვნებოდა აგრეთვე პოლიციური დაპატიმრება ჰაბეას კორპუს აქტას მოთხოვნების დაცვით და ადმინისტრაციული გასახლება და გადასახლება.

როგორც ვხედავთ, რევოლუციამდელ რუსეთის იმპერიაში ადმინისტრაციული იძულება საკმაოდ რეგლამენტირებული იყო, ხოლო ადმინისტრაციული სახდელების გამოყენება შეზღუდული იყო სახელმწიფო მართვა-გამგეობის ინტერესების ფარგლებით, თანაც მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენების სახით.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფერო გაფართოვდა. იგი გამოიყენებოდა ადმინისტრაციის ნორმატიული აქტების დარღვევისათვის, სახელმწიფო მმართველობის წესების დარღვევისათვის (საბაჟო, საგადასახადო, სატყეო კანონმდებლობისა და სხვა დარღვევებისათვის), და ანტიისოციალური ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად (ანტისაბჭოთა პარტიებისა და პირების მიმართ).

<sup>2</sup> В. И. Гессен, Лекции по полицейскому праву, издание студентов, С.-Петербург, 1907—1908, стр. 49.





ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების შეუსრულებლობა არ უნდა იწვევდეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არამედ მხოლოდ მათი დარღვევა უნდა ითვალისწინებდეს ადმინისტრაციულ სახდელებს (და არა სასჯელებს), ვინაიდან ნორმების შეუსრულებლობა ან მათი არასწორი შესრულება არის ბიუროკრატიზმი მმართველობაში, რომლის აღმოფხვრის საშუალებებია: კონტროლი, შემოწმება, საჩივრების განხილვა და სხვ. ჩვენ რომ შევეცადოთ მმართველობის სფეროში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას ადმინისტრაციული სახდელების და განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი სასჯელების შემოღებით, მაშინ სახელმწიფო მმართველობა საერთოდ შეწყვეტს არსებობას, ვინაიდან არავინ ხელს არ მოკიდებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას სასჯელის შიშით. სახელმწიფო მმართველობა იმდენად მრავალფეროვანია, იმდენად მრავალმხრივი თავისუფალი გათვალისწინების შესაძლებლობით ხასიათდება, რომ ნებისმიერი მუშაკის (თანამდებობის პირის) მუშაობაში მოსალოდნელია ნაკლოვანება, ზემდგომი აქტების შეუსრულებლობა ან არასწორად შესრულება. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის არსებობს სწორედ კანონიერების დაცვის იურიდიული გარანტიები სახელმწიფო მმართველობაში. ამ გარანტიების არსი სწორედ იმაშია, რომ გამოსწორდეს ნაკლოვანებები, აღმოფხვრას ბიუროკრატიზმი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების შეუსრულებლობა, ხოლო რაც შეეხება ამ ნორმების დარღვევებს, ამისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, სხვა სახის იურიდიულ პასუხისმგებლობასთან ერთად. ეს არის დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის ელემენტარული ჭეშმარიტება, დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის აუცილებელი პირობა. რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართლისა და შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების დაცვის ხერხებს, ასეთებია მმართველობის ორგანოებისა და ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების მიერ ნებართვის გაცემის, რეკომენდაციის მიცემის, ურთიერთშეთანხმების, განკარგულების გაცემისა და, ბოლოს, ადმინისტრაციული იძულების მეთოდები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლში ჩამოთვლილია ადმინისტრაციული სახდელების სახეები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის. ამასთან, კოდექსში არ არის მოცემული კლასიფიკაცია ამ სახდელებისა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში ეს სახდელები კლასიფიცირებულია 3 ჯგუფად: 1. საზოგადოებრივი ხასიათის სახდელები (გაფრთხილება); 2. ფულადი და ქონებრივი ხასიათის სახდელები (ჯარიმა, კონფისკაცია, რეკვიზიცია); 3. პირადი შეზღუდვითი ხასიათის სახდელები (უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა)<sup>3</sup>. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოცემულია ზემოქმედების კიდევ ერთი ღონისძიება: იმ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ადმინისტრაციული გაძევება, რომლებიც უხეშად არღვევენ მართლწესრიგს (მუხ. 24), მაგრამ კოდექსში არ არის განსაზღვრული თუ რა ხასიათის სახდელია აღნიშნული გაძევებაში. უფრო მეტიც, კოდექსის 25-ე მუხლში ჩამოთვლილია ძირითადი და დამატებითი ადმინისტრაციული გაძევება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონში „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, აღნიშნულია უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოდან გაძე-

3. იხ. ვ. ლორია, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თბ., 1979, გვ. 50.



ვების შემთხვევები: ა) თუ აღარ არსებობს საქართველოში მათი შემდგომი ყოფნის საფუძველი; ბ) თუ ისინი უკანონოდ შემოვიდნენ ან იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე; გ) თუ მათი ყოფნა საქართველოში ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; დ) თუ ეს აუცილებელია საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად; ე) თუ ისინი განზრახ სისტემატურად არღვევენ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას; ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (მუხ. 29).<sup>4</sup> აღნიშნული კანონი ითვალისწინებს, რომ საქართველოდან გაძევების გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა, პროკურატურის, სასამართლოს და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინების საფუძველზე, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება სასამართლო წესით.

აქედან ჩანს, რომ საქართველოდან გაძევება მოქმედ კანონმდებლობას ადმინისტრაციულ სახდელად არ მიაჩნია, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. უპირველეს ყოვლისა, უცხოელების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სისტემატური დარღვევა სამართალდარღვევაა, ასევე სამართალდარღვევაა სახელმწიფო უშიშროების ინტერესების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საწინააღმდეგოდ ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე. ასეთი სამართალდარღვევებისათვის გამოყენებული ზომა (გაძევება) ადმინისტრაციული სახდელი უნდა იყოს. მეორეც, ადმინისტრაციული გაძევება შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც დამატებითი სახდელი იმ ძირითად სახდელთან ერთად, რომელიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით. მესამეც, ადმინისტრაციული გაძევება, როგორც „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ დასახელებულ კანონშია აღნიშნული, შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ადმინისტრაციული აღძვევითი ღონისძიება, როცა არ არსებობს უცხოელის საქართველოში შემდგომი ყოფნის საფუძველი, ან როცა იგი უკანონოდ შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე ან უკანონოდ იმყოფება აქ, როცა მისი გაძევება აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა ჯანმრთელობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

რაც შეეხება იუსტიციის მინისტრის მიერ გადაწყვეტილების გამოტანას უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ, ეს, ვფიქრობთ, საკვებით ზუსტი არ უნდა იყოს, ვინაიდან იუსტიციის მინისტრი სამართალდარღვევის საქმეებს არ განიხილავს, იგი არ არის მოსამართლე. ამიტომ გაძევების ყველა ფაქტი უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს სასამართლომ.

საქართველოს უკანასკნელი პერიოდის კანონმდებლობაში შეიმჩნევა ადმინისტრაციული სახდელების გამკაცრება. კერძოდ, გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმები ასმაგი და მეტი ოდენობით შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობასთან შედარებით. ასევე გაზრდილია გამასწორებელი საბუთაობის ვადა 3 თვიდან ექვს თვემდე, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 15 დღე-ღამიდან 30 დღემდე ვადით, სპეციალური უფლების ჩამორთმევა (ნადირობისა და მანქანის მართვის უფლებებისა) 2 წლიდან 3 წლამდე ვადით. სახდელების ასეთი გამკაცრება შეიძლება ახსნათ სისხლის სამართლის წესით დასჯადობის შემცირებისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაფართოების პოლიტიკით. ასეთი პოლიტიკა მისასაღმებელია, მაგრამ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სახდელების გამკაცრების გამო არ უნდა გადაიქცეს

4. იხ. ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 8 ივნისი.



პასუხისმგებლობის მკაცრ ფორმად. პასუხისმგებლობის დეპენალიზაციის პოლიტიკის არსი სწორედ იმაშია, რომ შემსუბუქდეს იურიდიული პასუხისმგებლობა ზოგიერთი სამართალდარღვევისათვის, რომ მსუბუქი ზემოქმედების ზომების გამოყენებით მივალწიოთ მართლწესრიგის განმტკიცებას, ვინაიდან პასუხისმგებლობის გამკაცრება არასოდეს დადებით შედეგებს არ გვაძლევს. თუ ჩვენ სისხლის სამართლის სასჯელების მსგავს სახდელებს დავაწესებთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, ეს იქნებოდა არა დეპენალიზაციის პოლიტიკის გატარება ქვეყანაში, არამედ სისხლისსამართლებრივი დასჯადობის გაგრძელება ადმინისტრაციულ სამართალში, რაც სრულიად დაუშვებელი და მიუღებელია.

როგორც სამართლიანად მიუთითებენ პ. შავაძე და ვ. ლორია, „უსაშველრდ დიდი ჯარიმები მინიმალური ხელფასის ასმაგი-ორასმაგი ოდენობით, არა მარტო არარეალურია, არამედ არაეფექტიანიც. მინიმალური ხელფასიდან ასმაგი ოდენობის გადახდა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელიც დაბალ ხელფასს იღებს, პრაქტიკულად შეუძლებელია... ამიტომ, შედარებით მცირე ჯარიმების შემოღება ცალკეული სამართალდარღვევისათვის და დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება ეფექტიანს გახდის სამართალდარღვევებთან ბრძოლას“<sup>5</sup>. გაზრდილი ჯარიმების გადმოტანა სისხლის სამართლის სფეროდან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში, იწვევს იმას, რომ დაიწყება „მორიგება“ სამართალდამრღვევსა და ადმინისტრაციის მუშაკს შორის პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით, რაც კანონიერების უხეში დარღვევა და კორუფციაა.

ადმინისტრაციული ჯარიმების დროულად ამოღების მიზნით, საჭირო იქნება შემოვიდოთ ის წესი, რომელიც გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი ჯარიმების ამოსაღებად. კერძოდ, თუ ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელი აღმოჩნდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით ჯარიმა უნდა შეიცვალოს გამასწორებელი სამუშაოებით შემდეგი გაანგარიშებით: ჯარიმის ყოველი შრომის ანაზღაურების 1 მინიმალური ოდენობისათვის გამასწორებელი სამუშაოების 1 დღე, მაგრამ არა უმეტეს 1 წლისა. მართალია ეს წესი ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული წესით გამასწორებელი სამუშაოების გამოყენების 6-თვიან ვადას, მაგრამ ამ სახდელის აღსრულების უზრუნველსაყოფად საჭირო უნდა გახდეს გამასწორებელი სამუშაოების გაზრდა ადმინისტრაციული წესითაც. გამასწორებელი სამუშაოები ზემოქმედების ისეთი ღონისძიებაა, რომელიც აჩვევს დამრღვევს შრომის ჩვევებს და, რაც მთავარია, დამრღვევის შრომითი საქმიანობით უზრუნველყოფილი ხდება ადმინისტრაციული ჯარიმის ამოღება. ეს ერთგვარად „სამაგიეროს მიზღვევაცაა“ და მართლწესრიგის დამყარებაც სახდელების აღსრულების სფეროში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გამასწორებელი სამუშაოები ადმინისტრაციული წესით ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული. იგი აუცილებელია არა მარტო მატერიალური სახდელების აღსრულების მიზნით, არამედ ადამიანთა დასაქმებისათვის, მათი შრომითი აღზრდისა და გამოსწორების მიზნითაც. გამასწორებელი სამუშაოები კი არ უნდა ამცირებდეს ადამიანის ღირსებას, არამედ მაღლა უნდა სწევდეს მის მორალურ სახეს საზოგადოების თვალში, ვინაიდან ნებისმიერი შრომა, რომელსაც საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათი აქვს, დიდი პატივისა და დაფასების საგანია.

პროფ. ავთანდილ კობახიძეს მიაჩნია, რომ „სამართლებრივი შედეგის

5. პ. შავაძე, ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობის კოდიფიკაცია, ბათუმი, 1995, გვ. 139.



თვალსაზრისით, კონფისკაცია ახლოს დგას ჯარიმასთან: ერთი და მორტი გულისხმობს ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევას<sup>6</sup>. კონფისკაცია და ჯარიმა ახლოს დგას ერთმანეთთან იმდენად, რამდენადაც ორთავე მატერიალური ხასიათის ზემოქმედების ღონისძიებაა. მაგრამ ჯარიმა ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა როდია. ჯარიმა ფულადი გადასახადია ჩადენილი სამართალდარღვევისათვის. ქართულად მას სახდელი ეწოდება იმის გამო, რომ ჯარიმა გადასახდელი ღონისძიებაა და არა ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა. ჯარიმა ნაწილობრივ შეიძლება ქონების ჩამორთმევადაც მივიჩნიოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას დამრღვევი არ გადაიხდის და ჯარიმის ამოღება მოხდება მისი ქონებიდან. მაგრამ ეს ხომ ჯარიმის გადახდის არაპირდაპირი გზაა, თანაც იშვიათი, რამდენადაც ჯარიმის გადაუხდელობა ჯერ გამოიწვევს ხელფასიდან მის დაქვითვას, ხოლო თუ პირი არ მუშაობს და არც ჯარიმას არ იხდის ნებაყოფლობით, მხოლოდ ამის შემდეგ დადგება საკითხი მისი ქონებიდან ჯარიმის ამოღების შესახებ. მაგრამ ეს მაინც ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა არაა, ვინაიდან ამ დროს ჩამორთმეული ქონება გაიყიდება და ამოღებული თანხა ჩაირიცხება ბიუჯეტში ჯარიმის სახით. თუ ჯარიმის გადაუხდელობისას შემოვიღებთ იძულებით გამასწორებელ სამუშაოებს, მაშინ ჯარიმას საერთოდ არ ექნება არზვითარი კავშირი ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევასთან (კონფისკაციასთან), რომელიც საერთოდ მეტად მკაცრი ღონისძიებაა და, როგორც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, მრავალ შემთხვევაში კონფისკაცია უსამართლო აქტია, რამდენადაც მიმართულია ადამიანის საკუთრების — მისი არსებობის ძირითადი წყაროს წინააღმდეგ.

ასევე უსამართლოდ მიგვაჩნია ადმინისტრაციული წესით სპეციალური უფლების (ნადირობისა და მანქანის მართვის უფლების) ჩამორთმევა. უფლების ჩამორთმევა და ადამიანის შეზღუდვა დასაშვებია მის მიერ დანაშაულის ჩადენისას, როდესაც პატიმრობაში მყოფი დამნაშავე ვერ სარგებლობს არა მხოლოდ ნადირობისა და მანქანის მართვის უფლებებით, არამედ სხვა უფლებებითაც.

სხვა შემთხვევაში, როდესაც პირი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ითვლება, მიუხედავად ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენისა, მას არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული სამოქალაქო უფლებები. სხვა თვალსაზრისითაც გაუმართლებელია მოქალაქისათვის აღნიშნული უფლებების ჩამორთმევა, ვინაიდან ნადირობა მეტწილად სპორტული გატაცებაა და ამ უფლების ჩამორთმევით ჩვენ მას ვუკრძალავთ დასაქმებული იყოს სპორტის ამ სახეობით, ხოლო თუ მას სანადირო თოფსაც ჩამოვართმევთ, მას სამუდამოდ ჩამოვპოვრებთ ამ გატაცებას. ამასთან, მონადირე გატაცებულია ამ საქმით სწორედ იმიტომ, რომ მას სპეციალური სანადირო თოფი აქვს (ზოგჯერ მეტად იშვიათი და ძვირფასი), რომლის ჩამორთმევა ტრაგედია იქნება მის ცხოვრებაში. და ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ მან ინადირა აკრძალულ დროს, აკრძალულ ფრინველზე თუ ნადირზე, რომლისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამოიცხადდება. ყოველივე ამის გამო, ნადირობის წესების დარღვევა საერთოდ არ უნდა ითვალისწინებდეს ნადირობის უფლების ჩამორთმევას და მით უფრო სანადირო თოფის კონფისკაციას. აქ საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა.

რაც შეეხება მანქანის ტარების უფლების ჩამორთმევას, ესეც ადამიანის უფლების შეზღუდვაა, რასაც საფუძველი არ გააჩნია. მანქანა დღეს ცხოვრე-

6. ა. კობახიძე, კონფისკაციის ცნება და სახეები, სადისერტაციო მაცნე დისერტაციაზე უარიღულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1993, გვ. 41.



ბის აუცილებელი კომპონენტია, რომლით სარგებლობის აკრძალვა დანაშაულის ჩადენის გარეშე და უფლებების საერთოდ შეზღუდვის გარეშე, გაუმართლებელია. ზოგიერთ ქვეყანაში ამ უფლებას მძღოლებს არ ჩამოართმევენ თუ მისი ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. უფრო მეტიც, ასეთი დარღვევისათვის საფრანგეთში, მაგალითად, გათვალისწინებულია უდისციპლინო მძღოლი ქალების მოთავსება რამდენიმე დღით უფანჯრო და უსარკვევო ოთახში, სადაც ქალის ათასგვარი ჩაცმულობები და მორთულობები დევს. და დამრღვევს არ შეუძლია თავისი თავი ამ მორთულობებში დაინახოს, რაც დასჯის გარკვეული ზომაა. ჩვენ კიდევ უფრო შორს წავიდეთ და შემოვიღოთ უდისციპლინო მძღოლი მამაკაცების ბნელ საკანში მოთავსება („დიღეში ჩაგდება“, როგორც ქართულ სამართალში იყო), სადაც დამრღვევი სათანადო სანიტარული და კომუნალური პირობების დაცვით, რამდენიმე დღე დაჰყოფდა ბნელში აღვირახსნილი ჯირითით აშლილი გონების დაწყნარებისათვის.

თეორიაში და პრაქტიკაში მრავალი საკითხი წამოიჭრება ადმინისტრაციული სახდლების გამოყენებასთან დაკავშირებით. საინტერესოა პრობლემა რამდენიმე სახდელის ერთი პიროვნებისადმი დაკისრების შესახებ. როგორც ცნობილია, სახდლების ურთიერთჩათვლა, სისხლის სამართლის წესის მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალში არ ხდება. ყოველმა დამრღვევმა უნდა მოიხადოს ყველა ის სახდელი, რომელიც მას დაეკისრა ერთი წლის მანძილზე სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის. საინტერესოდ დგება საკითხი მაშინ, როდესაც პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთათვისაც მას უნდა დაეკისროს ჯარიმაც, გამასწორებელი სამუშაოებიც და ადმინისტრაციული პატიმრობაც.

მოქმედი კანონმდებლობა ამ საკითხს არ წყვეტს, ისევე, როგორც სხვა მრავალი საკითხი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გადაუწყვეტელი რჩება მასში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ სამი სახდელიდან პირმა ჯერ უნდა გადაიხადოს ჯარიმა, შემდეგ უნდა მოიხადოს ადმინისტრაციული პატიმრობა და ამის შემდეგ გამასწორებელი სამუშაოები, რომელიც უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ადმინისტრაციული პატიმრობა. თუ პირი ჯარიმას არ გადაიხდის და შემოღებული გვექნება ჯარიმის შეცვლა გამასწორებელი სამუშაოებით, მაშინ ეს სამუშაოები პირმა უნდა შეასრულოს ჯარიმის ამოღებამდე, ხოლო ამის შემდეგ უნდა მოიხადოს გამასწორებელი სამუშაოები, რომელთა საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს, როგორც ეს სისხლის სამართალშია. ადმინისტრაციული პატიმრობისაგან თავის არიდება კი უნდა ითვალისწინებდეს მის შეცვლას თავისუფლების აღკვეთით, რომელიც ნასამართლობას არ გამოიწვევს.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება ადმინისტრაციულ სახდლებთან დაკავშირებით. ამ წინადადებების გათვალისწინება ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საკოდიფიკაციო სამუშაოებს, რაც ამჟამად მიმდინარეობს, საქართველოში ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმის მიზნით.



ზურაბ კლიერიშვილი

## შეგებებული სარჩელი, როგორც თავდაპირველი სარჩელისაგან მოპასუხის დაცვის საშუალება

სამოქალაქო საპროცესო მეცნიერება და კანონმდებლობა სარჩელისაგან მოპასუხის დაცვის ორ ეფექტიან საშუალებას იცნობს: შესაგებელსა და შეგებულ სარჩელს. სხვადასხვაა დაცვის ამ ორი საშუალების დაშვების პირობები და პროცესუალური მიზანი, რაც მათ შორის გამიჯვნის პრაქტიკულ მოთხოვნილებას აყენებს.

შეგებულ სარჩელსა და შესაგებელს შორის განსხვავებას, ძირითადად, განაპირობებს მოპასუხის საპროცესო მიზანი, თუ მოპასუხე სარჩელისაგან დაცვისას მოითხოვს სარჩელზე უარს, პირვანდელი სარჩელის წინააღმდეგ არ აყენებს მოთხოვნას კუთვნილი უფლების დაკმაყოფილების ან ცნობის შესახებ, მაშინ მისი დაცვის საშუალება შეიძლება შესაგებელი იყოს, ხოლო თუ მოპასუხის მიზანია მიაღწიოს არა მარტო უარს სარჩელზე, არამედ თავისი დამოუკიდებელი უფლების ცნობასაც, მოსარჩელის მხრივ რაიმე მოქმედების შესრულებას, ასეთ შემთხვევაში მისი მოთხოვნა, როგორც წესი, შეგებებული სარჩელის ფორმით უნდა გამოვლინდეს. ამდენად სასამართლოს არა აქვს უფლება კონკრეტულ საქმეზე მიაკუთვნოს მოპასუხეს რაიმე, თუ არ არსებობს მოპასუხის მოთხოვნა შეგებებული სარჩელის ფორმით გამოხატული. შესაგებლისაგან შეგებებული სარჩელი თავისი დამოუკიდებელი ხასიათითაც განსხვავდება. პროცესუალისტების უმრავლესობა შეგებებული სარჩელის დახასიათებისას სამართლიანად გამოყოფენ მის დამოუკიდებელ ხასიათს. შეგებებული სარჩელის დამოუკიდებელ ბუნებას მისი სტრუქტურული თავისებურება განაპირობებს. შესაგებლის ბედი მთლიანად არის დამოკიდებული პირვანდელი სარჩელის განხილვის საპროცესო შედეგებზე. სარჩელის განუხილველად დატოვებისას, საქმის წარმოებით შეწყვეტისას თუ შეჩერებისას, შესაგებლის ფორმით გამოხატული მოპასუხის თხოვნა არ განხილვება სასამართლოს მიერ. სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმისათვის შესაძლებელია საკმარისი იყოს შესაგებლის მოთხოვნათა მხოლოდ ნაწილი. განუხილველად დატოვებული მოთხოვნა ცალკე სარჩელის სახით შეიძლება წარდგენილი იყოს საერთო წესით, შეგებებული სასარჩელო მოთხოვნისათვის კი დამახასიათებელია ერთგვარი ავტონომია, პირვანდელი სარჩელისაგან დამოუკიდებელი ხასიათი. პირვანდელი სარჩელის საპროცესო შედეგები, მაგალითად, მოსარჩელის უარი სარჩელზე, საქმის წარმოებით შეწყვეტა, შეჩერება, არ გამოიწვევს ასეთივე შედეგებს შეგებებული სარჩელის მიმართ. თავდაპირველ სარჩელზე სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისას გადაწყვეტილება შეგებებულ სარჩელზე შეიძლება ძალაში დარჩეს და იძულებით აღსრულდეს.



„შეგებებულ სარჩელსა და შესაგებლის სხვა განმასხვავებელ ნიშანთა შორის უნდა დავასახელოთ ისიც, რომ შესაგებელი შეიძლება გაცხადებული იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, სახელმწიფო ბაჟის გარეშე, სასამართლოში მისი წარდგენის დროის შეუზღუდავად. შეგებებული სარჩელის წარდგენა კი ექვემდებარება სარჩელის მიღების საერთო წესებს და დროით არის განპირობებული, იგი შეიძლება წარდგენილი იყოს სათათბირო ოთახში სასამართლოს გასვლამდე“<sup>1</sup>.

შეგებებული სარჩელი სარჩელის ნაირსახეობაა. ამდენად, შეგებებული სარჩელი, მსგავსად ყოველი სარჩელისა, არის სასამართლოსადმი მიმართული მოთხოვნა, რათა დაცული იყოს პირის ის უფლება ან კანონიერი ინტერესი, რომელიც მას დარღვევულად ან შედავებულად მიაჩნია, „შეგებებული სარჩელი არის მოპასუხის მიერ პირვანდელი სარჩელის გამო უკვე დაწყებულ პროცესში და მასთან ერთად განსახილველად აღძრული სარჩელი, რომლითაც მოპასუხე მოსარჩელეს მიმართავს მოთხოვნით, რაც პირვანდელი მოთხოვნიდან დაცვის საშუალებაა ან დაკავშირებულია მასთან საფუძველთა სიახლოვით“<sup>2</sup>.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს რიგ ხარვეზებს შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით. სახელდობრ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლი ითვალისწინებს საქმეში რამდენიმე მოსარჩელისა და მოპასუხის მონაწილეობას, მაგრამ არ განსაზღვრავს პროცესუალური თანამონაწილეობისას შეგებებული სარჩელის დაშვების საკითხს, კერძოდ, შეუძლია თუ არა მოპასუხეს აქტიური თანამონაწილეობისას წარადგინოს შეგებებული სარჩელი ერთ-ერთი თანამოსარჩელის წინააღმდეგ, თუ მან ასეთი სარჩელით უნდა მიმართოს ერთად ყველ თანამოსარჩელეს, ხოლო პასიური თანამონაწილეობისას შეუძლია თუ არა თითოეულ თანამოპასუხეს სხვებისაგან დამოუკიდებლად წარადგინოს შეგებებული სარჩელი, თუ ასეთი სარჩელით თანამოპასუხეებმა ერთად უნდა მიმართონ.

თანამონაწილეობისას შეგებებული სარჩელის უფლების სუბიექტის საკითხი, ვფიქრობთ, უნდა გადაწყდეს თანამონაწილეთა პროცესუალური მდგომარეობის საფუძველზე, რომელიც დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის იმ ნაწილით, სადაც ნათქვამია, რომ ყოველი მოსარჩელე და მოპასუხე მეტრე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. თანამონაწილეთა დამოუკიდებელი მდგომარეობა ნიშნავს მათ თანასწორუფლებიანობას პროცესში, კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის პროცესუალურ საშუალებათა არჩევის თავისუფლებას, რაც პრაქტიკულად იმაში გამოიხატება, რომ პროცესუალურ თანამონაწილეს შეუძლია წარადგინოს შეგებებული სარჩელი სხვებისაგან დამოუკიდებლად.

ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით შეგებებული სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის განმცხადებელი მესამე პირის წინააღმდეგ. ასეთი მესამე პირი პროცესში იკავებს მოსარჩელის ადგილს, ხოლო მისი მოთხოვნის მიმართ თავდაპირველი მხარეები გამოდიან მოპასუხის როლში, რის გამოც სარგებლობენ მოპასუხის ყველა უფლებით და დაცვის პროცესუალური საშუალებით ანუ შეგებებული სარჩელით. აქედან გამომდინარე, „პროცესში მესამე პირის, რომელიც დავის საგანზე აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას, მონაწილეობისას შეგებებული სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს მის მიმართ როგორც თავდაპირველი მხარეების მი-

1 Л. И. Анисимов, Встречный иск и возражение против иска, М., 1991.  
2 Н. И. Клейн, Встречный иск в суде и арбитраже, М., 1964.



ერ, ასევე მოპასუხის მიერ თავდაპირველი მოსარჩელისა და მესამე პირის წინააღმდეგ<sup>3</sup>.

მესამე პირები, რომლებიც არ განაცხადებენ დავის საგანზე დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას, სარგებლობენ დაცვის თითქმის ყველა პროცესუალური საშუალებით, მაგრამ, რამდენადაც პირვანდელი მოთხოვნა გაცხადებულია არა მესამე პირის, არამედ მოპასუხის წინააღმდეგ, ამდენად მესამე პირს, რომელიც არ აცხადებს დავის საგანზე დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას, თავისი მოთხოვნა მოსარჩელის მიმართ შეუძლია განაცხადოს არა შეგებებული სარჩელის, არამედ შესაგებლის ფორმით.

შეგებებული სარჩელი არ შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ პროკურორის წინააღმდეგ, რომელმაც აღძრა სამოქალაქო საქმე, ვინაიდან პროკურორი არ არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და ყველა შემთხვევაში მოგვევლინება სახელმწიფოს წარმომადგენლად. შეგებებული სარჩელი მიმართული უნდა იყოს არა პროკურორის, არამედ იმ მოსარჩელის წინააღმდეგ, ვისი ინტერესებისათვისაც აღძრა სამოქალაქო საქმე. პირიქით, მოპასუხის ინტერესების დაცვის მიზნით, პროცესში მონაწილე პროკურორის მოთხოვნა შეიძლება გამოიხატოს შეგებებული სარჩელის ფორმით, რამდენადაც არის პირვანდელი სარჩელისაგან მოპასუხის დაცვის საშუალება.

შეგებებული სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვის დროს აუცილებელია ზუსტად დავიცვათ სარჩელის წარდგენისათვის კანონით დადგენილი საერთო პირობები, სახელდობრ, სარჩელის წარდგენის უფლების წინამძღვრები (მაგალითად, საპროცესო უფლებაუნარიანობა, საქმის სასამართლოსადმი საუწყებო ქვემდებარეობა, იმავე საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების არარსებობა, მხარეთა შორის დავის სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ შეთანხმების არარსებობა), ასევე სარჩელის წარდგენის სათანადო პირობები, რომლებიც ერთობლივ კმნიან სარჩელის წარდგენის წესს (მაგალითად, მხარის ქმედუნარიანობა, სასარჩელო განცხადების ფორმისა და შინაარსის დაცვა, სახელმწიფო ბაჟის გადახდა).

შეგებებული სარჩელის წარდგენისათვის კანონი დამატებით მოითხოვს სპეციალური წესების დაცვას: თავდაპირველ სარჩელსა და შეგებებულ სარჩელს შორის უნდა არსებობდეს კავშირი, რაც განაპირობებს ამ სასარჩელო მოთხოვნათა ურთიერთდაპირისპირებას. ამ სპეციალური წინამძღვრის არარსებობა შეგებებული სარჩელის მიუღებლობის საფუძველია, მაგრამ ეს გარემოება არ უკარგავს მას თავდაპირველი სარჩელის თვისებას და იგი შეიძლება აღძვრას სასამართლოში საერთო წესით.

ჩვენი აზრით, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლამართებულად მიუთითებს, რომ შეგებებული სარჩელი, მიუხედავად მისი განსჯადობისა, წარედგინება იმ სასამართლოს, რომელიც იხილავს ძირითად სარჩელს. შეგებებული სარჩელის განსჯადობა შეიძლება არ ემთხვეოდეს პირვანდელი სარჩელის განსჯადობას, მისი ტერიტორიული და გვარობითი განსჯადობა სრულიად სხვა იყოს, ვიდრე პირვანდელი სარჩელისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სათანადო პირობების არსებობისას, იგი უნდა წარედგინოს თავდაპირველი სარჩელის განმზილველ სასამართლოს.

შეგებებული სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვისას დაცული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მოთხოვნები, რომლებიც შეეხება სარჩელის წარდგენის ზოგად წესს. აღნიშნული მუხლის შესაბა-

<sup>3</sup> Д. Н. Швейцер, Встречный иск, М., 1983.



მისად, სასარჩელო განცხადება სასამართლოში შედის წერილობით, მას ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, რომელმაც განცხადებას თან უნდა დაურთოს რწმუნებულება ან მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა საბუთი. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს: სასამართლოსა და მხარეების დასახელება, საცხოვრებელი ადგილი, ანდა თუ მხარე იურიდიული პირია, მისი სამყოფელი ადგილი; სარჩელის საფუძველი (გარემოებანი, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას) და მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ სარჩელში აღნიშნულ გარემოებებს: მოსარჩელის მოთხოვნა, სარჩელის ფასი, თუ სარჩელის შეფასება შეიძლება, სასარჩელო განცხადებისათვის დართული საბუთების ნუსხა. შეგებულ სარჩელში უნდა აღინიშნოს ის გარემოებანიც, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას შეგებულ სარჩელის მიღების შესახებ პირვანდელ სარჩელთან ერთად განხილვისათვის.

შეგებულ სასარჩელო განცხადება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს წარედგინება იმდენი პირის დართვით, რამდენიც მოპასუხეა.

შეგებულ სარჩელის ხარვეზის შევსების საკითხი წყდება საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, თუ სასამართლოში განცხადება შეტანილია იმ პირობების დაუკველად, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე და 135-ე მუხლებით, ან სახელმწიფო ბაუი გადახდილი არ არის, მოსამართლე არ მისცემს მსვლელობას შეგებულ სასარჩელო განცხადებას. ამასთანავე, სასამართლო გადადებს პირვანდელი სარჩელით აღძრული საქმის არსებითად განხილვას და მისცემს მოპასუხეს ვადას ნაკლის გამოსწორებისათვის და სახელმწიფო ბაუის გადახდისათვის. ეს წესი იცავს არა მარტო შეგებულ სარჩელის წარმდგენი მხარის ინტერესებს, არამედ ასევე უქმნის რეალურ შესაძლებლობას მოპასუხის როლში გამოსულ პირვანდელ მოსარჩელეს, რათა მოემზადოს საქმისათვის, შეაგროვოს მტკიცებულებანი შეგებულ სარჩელის მოსაზრებათა უარსაყოფად, ე. ი. განიმტკიცოს თავისი საპროცესო პოზიცია. საქმის არსებითად განხილვის გადადება არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ საქმეში არსებული მტკიცებულებანი საკმარისია შესაგებლის საფუძვლის ფაქტების დამტკიცებისათვის, ხოლო შეგებულ სარჩელის ნაკლის გამოსწორება იმავე პროცესში არ არის რთული საქმე. ამის თაობაზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიების არაერთი მითითება.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, შეგებულ სარჩელის პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად წარდგენა დასაშვებია გადაწყვეტილების გამოსატანად სათათბირო ოთახში სასამართლოს გასვლამდე, რაც მხარეს აძლევს სასარჩელო განცხადების ხარვეზის გამოსწორების საშუალებას იმავე პროცესში. საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. იგი ზუსტად განსაზღვრავს შეგებულ სარჩელის წარდგენის მომენტს. პრაქტიკულად ასეთი წარდგენა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. შეგებულ სარჩელის წარდგენის მომენტის განსაზღვრის აუცილებლობა ნაკარნახევია სამოქალაქო დავის სწორი და სწრაფი განხილვა-გადაწყვეტის ინტერესებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლის მითითება — მოპასუხეს უფლება აქვს მოსარჩელის მიმართ წარადგინოს შეგებულ სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად — ნიშნავს, რომ შეგებულ სარჩელი განიხილება პირვანდელ სარჩელთან ერთად ერთ პროცესში. სარჩელი წარდგენილი სხვა სასამართლოში, თუნდაც რომ იგი კავშირში იყო პირ-



განდელ სარჩელთან, არ შეიძლება შეგებებულად ჩაითვალოს. ასევე არ შეიძლება შეგებებულად ჩაითვალოს სარჩელი, რომელიც წარდგენილია იმავე სასამართლოში, მაგრამ არა იმავე პროცესში პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლის შინაარსი სავსებით ადასტურებს სასამართლო პრაქტიკის იმ დებულებას, რომ შეგებებული სარჩელი შეიძლება წარდგენილი იყოს გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად საქმის ხელახალი განხილვისას, მიუხედავად იმისა, წარდგენილი იყო თუ არა იგი თავდაპირველ პროცესში.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლი ზუსტად და ამომწურავად ჩამოთვლის შეგებებული სარჩელის მიღების პირობებს. მოკლედ განვიხილოთ შეგებებული სარჩელის პირვანდელ სარჩელთან ერთად განხილვის პირობები:

I სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ შეგებებული მოთხოვნა მიმართულია პირველადი მოთხოვნის ჩასათვლელად. მაშასადამე, შეგებებული სარჩელი არის ერთ-ერთი საპროცესო ფორმა, რომელშიც ხორციელდება მატერიალურ-სამართლებრივი ჩათვლა. ჩათვლის განხორციელებისათვის კი მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 229-ე მუხლში მითითებულ შემდეგ პირობებს:

ა) ჩასათვლელი მოთხოვნები შეგებებულნი უნდა იყვნენ, ე. ი. ისეთება, რომელთა მიმართ ყოველი მხარეთაგანი წარმოადგენს ერთიმეორის მიმართ ერთდროულად კრედიტორსაც და დებიტორსაც;

ბ) ჩასათვლელი მოთხოვნები ერთგვაროვან ხასიათს უნდა ატარებდნენ, ე. ი. უნდა ითვალისწინებდნენ ერთი და იმავე მოთხოვნების განხორციელებას. სხვადასხვა მოთხოვნათა ერთგვაროვნობა, პირვანდელი და შეგებებული სარჩელების ერთგვაროვნობა არ არის მოთხოვნათა ჩათვლის წინაპირობა. ჩათვლა შეიძლება განხორციელდეს სარჩელების განსხვავებული საფუძვლების არსებობისას; მაშასადამე, ჩათვლის ერთ-ერთი წინაპირობა მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნათა ერთგვაროვნობაა. პრაქტიკაში უფრო მეტად გავრცელებულია ჩათვლა, რომელიც შეგებებული ფულადი მოთხოვნათა შეწყვეტისაკენაა მიმართული;

გ) ერთგვაროვანი შეგებებული მოთხოვნების ვადა, გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით, დამდგარი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩათვლა ვერ განხორციელდება. თუ ასეთი ვადა კანონში ან ხელშეკრულებაში მითითებული არ არის, ან ვალდებულებათა შესრულება განსაზღვრულია მოთხოვნის მომენტი, ასეთი მოთხოვნები შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერ მომენტში.

ჩათვლისათვის შეგებებული მოთხოვნის წარდგენამ შეგებებული სარჩელის ფორმით შეიძლება გამოიწვიოს პირვანდელი სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შეუძლებლობა; ასევე გამოიწვიოს ჩათვლით ფულადი შეგებებული მოთხოვნის დაუფარავი ნაწილის გადახდევინება, პირვანდელი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეგებებული მოთხოვნის სრულიად დაკმაყოფილება.

II. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად მიიღება, თუ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა



მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას წინააღმდეგ არის მიმართული, შეგებებული სარჩელის საფუძველი აქარწყლებს პირვანდელი სარჩელის საფუძველს მთლიანად ან ნაწილობრივ.

III. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის ბოლო, მესამე ნაწილი, შეგებებული სარჩელის მიღების პირობად ასახელებს შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის ურთიერთკავშირს. ასეთი შეგებებული სარჩელი არ გამოორიციხავს პირვანდელ სასარჩელო მოთხოვნას, იგი არ არის ჩათვლის საშუალება, არამედ წარდგენილია ამ ურთიერთდაკავშირებულ სასარჩელო მოთხოვნათა ერთად განხილვის მიზნით, რათა აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდეს. მაგალითად, მოქალაქემ მიმართა სასამართლოს სარჩელით ცოლთან განქორწინების შესახებ. ცოლი განქორწინების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ თავისი შეგებებული სარჩელით მოითხოვა ქმრის სახელზე შემნახველ ბანკში შეტანილი საერთო ფულადი თანხის გაყოფა. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი განქორწინების შესახებ და ერთდროულად გამოიტანა დადგენილება მეუღლის (ცოლის) შეგებებული სარჩელის ცალკე წარმოებაში გამოყოფის შესახებ. სასამართლოს მოქმედება ამ შემთხვევაში არასწორია, რადგან სასამართლოს უნდა დაეშვა შეგებებული სარჩელი თავდაპირველ სარჩელთან ერთად განსახილველად, რამეთუ ორივე სარჩელი გამომდინარეობს ერთი სამართლებრივი ურთიერთობიდან, შეგებებული სარჩელი წარდგენილია ურთიერთდაკავშირებულ მოთხოვნათა ერთად განხილვის მიზნით. თავდაპირველი სარჩელის საგანი საქორწინო ურთიერთობათა შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის ცნობაა, ხოლო შეგებებული სარჩელის საგანი კი არის ამ ქორწინებაში შექმნილი იმ ფულადი თანხის გაყოფა, რაც მეუღლეთა საერთო საკუთრებას შეადგენს და შეტანილია ქმრის სახელზე ბანკში. მოთხოვნათა ურთიერთკავშირი ამ შემთხვევაში განპირობებულია ორივე სარჩელის საფუძველში არსებული იურიდიული ფაქტების მჭიდრო კავშირით, საფუძვლების სიახლოვით, რამდენადაც დავა წარმოიშვა ერთი და იმავე ქორწინების გამო.

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ შეგებებული სარჩელი არ უარყოფს თავდაპირველ სარჩელს, არ არის მოპასუხის დაცვის საშუალება ჩათვლის გზით, არამედ წარდგენილია პირვანდელ სარჩელთან მოთხოვნათა ურთიერთკავშირის გამო მათი ერთად განხილვის მიზნით.

კანონმდებლის მიერ შეგებებული სარჩელის მიღების ცალკე პირობად შეგებებული და თავდაპირველი სარჩელების ურთიერთკავშირის გამოყოფა, არ ნიშნავს ამ სარჩელებს შორის არსებული კავშირების უარყოფას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის პირველი ორი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში. გარკვეული კავშირის არსებობა არის შეგებებული სარჩელის მიღების საფუძველი საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში. განსხვავება ამ კავშირის შინაარსის სპეციფიურობაშია. მაგალითად, სასამართლო ჩათვლის მიზნით წარდგენილი შეგებებული სარჩელის პირვანდელ სარჩელთან ერთად განხილვა აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, მათ შორის ისეთი კავშირის არსებობით, რომელიც მოსარჩელისა და მოპასუხის ურთიერთდაკავშირებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების შეწყვეტის პირობებში ძვეს, ან ასეთი კავშირი შეიძლება გამოიხატოს ამ სარჩელების ისეთ თანაფარდობაში, როდესაც შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება გამოორიციხავს თავდაპირველი სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებას (პოლონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მიხედვით, შეგებებული სარჩელი მიიღება თავდაპირველ სარჩელთან, ერთად განსახილველად, თუკი მოპასუხის შეგებებული მოთხოვნა კავშირშია მო-



სარჩელის მოთხოვნასთან ან თუ მას ჩათვლის უნარი აქვს, უნგრეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 147 ადგენს, რომ საქმის განხილვის დამთავრებამდე, რაც წინ უსწრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანულ გადაწყვეტილებას, მოპასუხეს შეუძლია წარუდგინოს მოსარჩელეს შეგებებული სარჩელი, თუ უფლება, რომლის განხორციელებაც მოპასუხეს სურს ამ გზით, გამომდინარეობს ერთგვაროვანი და მოსარჩელის სარჩელთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობიდან ან, თუ მოთხოვნები არის ვარგისიანი მოსარჩელის სასარჩელო პრეტენზიაში ჩათვლისათვის).

ყოველივე აქედან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეგებებულ სარჩელს, როგორც თავდაპირველი სარჩელისაგან მოპასუხის დაცვის საშუალებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართლის პროცესში. შეგებებული სარჩელის წარდგენა საშუალებას იძლევა: მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ერთ პროცესში გადაწყდეს მხარეთა შორის ყველა სადავო ურთიერთობა, სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ გამოარკვიოს მხარეთა ურთიერთობები, რაც კანონიერების განხორციელების გარდაუვალი პირობა და საქმეზე სასამართლო ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის აუცილებელი წინამძღვარია.



## ნუგზარ პაპუაშვილი

## „მოგვალნი კაცი ჩემდა სატკივრად და ყმაწვილი—ჩემდა ჭირად“

ამჯერად პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: შეეძლო თუ არა ადამიანს თავადვე, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, გამოესყიდა დანაშაული, ე. ი. აღეზოცა პირველცოდვა, შერიგებოდა ღმერთს და ამ გზით აღედგინა დასაბამიერი ჰარმონია, ებოვა დაკარგული სამოთხე. კონკრეტულად: ოდესმე მაინც თუ გახლებოდა რომელიმე ჩვენგანი ცხოვრების ხის გემოს ხილვის ღირსი?

ბიბლია გვამცნობს: ცოდვამ კაენის ნაშიერთა შორის უფრო ღრმად გაიდგა ფესვები. ჩხუბისა და მტრობის ჟინმა მოიცვა ყველა და ყველაფერი. გამკაცრდა ღვთის სასჯელიც: „უთხრა ლამექმა თავის ცოლებს, ყადასა და ცილას: ისმინეთ ჩემი, ლამექის ცოლებო, ყურად იღეთ ჩემი ნათქვამი: მოგვალნი კაცი ჩემდა სატკივრად და ყმაწვილი — ჩემდა ჭირად. თუ შეიღვზის მიეზღვებათ კაენის გამო, ლამექის გამო სამოცდაჩვიდმეტგზის მიეზღვებათ“ (დაბ. 4, 23—24). ხსნა არსაიდან ჩანდა, არც პირველყოფილ და არც ტექნიკის საუკუნეში, რასაც სათავე ლამექის ვაჟმა, თუბალკაენმა, „რვალისა და რკის ყოველგვარ საჭურველთა მჭედელმა“ (დაბ. 4, 22), დაუღო. მართალია, ღვთის თანადგომისა და დახმარების ნიშანი მალე გამოჩნდა, — აბელის ნაცვლად კვლავ მოემადლა ადამს ძე — სახელად შეთი ანუ სეითი, რომელმაც კეთილი შთამომავლობა შვა და „დაიწყო უფლის სახელის ხსენება“ (დაბ. 4, 26), მაგრამ ეს არ იყო საკმარისი პირველცოდვის გავლენის გასაქარწყლებლად. ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, წუთისოფელში, ცოდვისაგან დახსნილი არავინაა და, მეორე — სეითის შთამომავლობა მალე აღირია კაენისაში, რის გამოც უკეთურება მრავლდებოდა. ცისქვეშეთში სრულყოფილი აღარსად იპოვებოდა და არც შეიძლებოდა ოდესმე გამოჩენილიყო გენეტიკის გარდაუვალი კანონის გამო. ამიტომაც ცხადია: ადამიანისეული მსხვერპლი ვერ იქნებოდა აბსოლუტური და ყოვლისმომცველი. სამოთხეში ჩადენილი დანაშაულის შედეგები კი მხოლოდ მაშინ განქარდებოდა, თუ სასჯელი — რა თქმა უნდა, ნებაყოფლობითი — იმავე დანაშაულის შესაბამისი, ტოლფასი იქნებოდა. პირველცოდვის რეზონანსი გლობალური, ყოვლისმომცველი იყო. ამავე მასშტაბის უნდა ყოფილიყო სასჯელი ანუ მსხვერპლი, უფრო ზუსტად — გამომსყიდველი მსხვერპლი.

გემართებს, აქვე დავაზუსტოთ, თუ რა არის მსხვერპლი ანუ, რელიგიური აზრით, იგივე სასჯელი.

როდესაც ადამიანი კანონის საწინააღმდეგოდ იტყევა და ჩადის დანაშაულს, აგებინებენ პასუხს. სასამართლო აწესებს სასჯელს დანაშაულის სიმძიმის კვალობაზე. ადმინისტრაციული სასჯელის საბოლოო და უზენაესი მიზანია თვითსასჯელი, ე. ი. სასამართლო ვალმოხდილია, თუკი დამნაშავე გააცნობიერებს ცოდვას, მიეცემა სინანულს და ნებაყოფლობით იტვირთავს სას-

\* ამონარიდი ნუგზარ პაპუაშვილის წიგნიდან „რელიგიის ისტორია, კარიბჭე“, რელიგიის ისტორიის შესავალი, თბ., გამომც. „რუბიკონი“, 1996.





ჯელს, ანუ შეეცდება მის გამოსყიდვას (გავიხსენოთ დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“, ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“). სოლო სრულყოფილად გამოსყიდვის ერთადერთი საშუალებაა დანაშაულის ტოლფასი სიკეთის ქმნა. ჯარიმა, პატიმრობა და, თუნდაც, სიკვდილი ჭეშმარიტი სასჯელის მხოლოდ გარეგანი მხარეა და მაშასადამე, გამოსყიდვის აქტისათვის არასაკმარისი. ამ აქტს აკვირვებენ მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი სასჯელი ანუ ნებაყოფლობითი მსხვერპლი, რაც აუცილებელი პირობაა ცოდვისაგან გამოსყიდვისა, ე. ი. ხსნისა. ასე რომ, ადმინისტრაციული სასჯელის ანუ მსხვერპლის გვერდით არსებობს რელიგიური სასჯელი — მსხვერპლი. მისი გარეგანი ფორმები, სამოქალაქო სამართალს რომ შევადართო, არის შემდეგი: ნივთიერი ძღვენი, ასკეტიზმი ანუ სულიერ-ზნეობრივი გმირობა და, ბოლოს — თავის გაწირვა.

განვმარტოთ, შედარებით ვრცლად, თუ რა არის მსხვერპლი ბიბლიის თვალსაზრისით.

მსხვერპლი არის შესაწირავი ანუ საღმრთო ძღვენი — სისხლიანი ან უსისხლო, რითაც მორწმუნენი მოელიან მადლს, წყალობას და კურთხევას. სიტყვები: „შესაწირავი“, „მსხვერპლი“, „საკურთხი“, „ძღვენი“, „საკალავი“, „პასექი“ და სხვა სინონიმებია და მიანიშნებს ამა თუ იმ ერის, საზოგადოებისა თუ პიროვნების მიერ წმიდად შერაცხილ და პატივდებულ საგნებზე — მცენარეთა ნაყოფზე, საკალავზე და ყოველივეზე, რაც, მორწმუნეთა აზრით, მოსწონს და ნებავს ღმერთს. მსხვერპლშეწირვა ცნობილია ყველა საზოგადოებაში, ცივილიზაციის ნებისმიერ საფეხურზე. ცხადია, მისი ფორმა და შინაარსი შეესაბამება მოცემული კოლექტივის სულიერსა და ინტელექტუალურ დონეს. უფალი გვეუბნება: „თქვენი სიკეთე მახარებს და არა მსხვერპლი (ძვ. ქართ.: „წყალობა მნებავს და არ მსხვერპლი“), უფლის შექმენება და არა აღსავლენი“ (ოს. 6, 6).

მაშასადამე, მსხვერპლის უმაღლესი სახეა ზნეობრივი სიკეთე; არა მხოლოდ ნივთი, არამედ (და პირველ რიგში) წრფელი გული და მისი ნაყოფი — ქველმოქმედება და, რაც უფრო განვითარებულია პიროვნება, მით ახლობელი და შინაგანია მისთვის მსხვერპლშეწირვის ეს უმაღლესი რანგი — კაცისა და ღვთის სათნო ცხოვრება.

მსხვერპლშეწირვის ტრადიციას საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაულის შეგნება და მისი გამოსყიდვის სურვილი. ამ გაგებით მსხვერპლის გაღება დანაშაულის მოხდის ტოლფასი გზა და საშუალებაა. XIX–XX სს-ის რუსი თეოლოგი პავლე სვეტლოვი ასე მსჯელობს: რელიგიური პიროვნების შინაგანი სამყაროსათვის ნიშანდობლივია მოლოდინი 1) სასჯელისა და 2) შენდობისა. ამის გამო მის წინაშე ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები ღაღადებენ, რომელთაგან ერთი უქადის სიკვდილს, მეორე ჰპირდება სიცოცხლეს. წარმოიქმნება ანტინომია — თანაარსებობა სასჯელისა და პატივისა. სწორედ ამგვარი წინააღმდეგობის მოსპობასა და მოგვარებას ისახავს მიზნად მსხვერპლი, რომელიც თავისი არსით, არის ყველაზე ძვირფასი რამ, სიცოცხლის საღარი და მისი ტოლფასი. ადამიანი, ნაცვლად იმისა, რომ ცოდვის გამო თავი დაესჯა, ეძებდა საკუთარი სიცოცხლის შემცველს, რაღაც ისეთს, რაც ოდნავ მაინც შეენაცვლებოდა მის ღირსებას. ამ მიზნით ყოველგვარი „ზვარაკი“ მიიჩნეოდა ადამიანური სიცოცხლის ჩანაცვლებად ანუ უძვირფასესი, უმაღლესი სიკეთის ექვივალენტად. ამგვარი ჩანაცვლება იყო ორი სახის: 1) პირდაპირი, — საკუთარის ნაცვლად სხვისი სიცოცხლის შეწირვა (მაგ. აბრაამის მიერ ისაკისა. ამ მიზნით უძველეს დროში, და ახლაც, ველური ტომები სამხედრო ტყვეებს იყენებდნენ) და 2) ირიბი, — ადამიანის





სიცოცხლის შეცვლა ცხოველებით ან უსულო საგნებით, რომლებიც თავიანთი შინაარსით რაღაც ფასეულს გამოხატავენ: საკმეველი, პროდუქტები და სხვა. ასე რომ, ნებისმიერი მსხვერპლი, საბოლოო ჯამში, გაიაზრება ადამიანის სიცოცხლის სიმბოლოდ.

ბიბლია გვამცნობს და არქეოლოგია ადასტურებს, რომ მსხვერპლშეწირვის ადრე ისტორიის გარიჟრაჟზე დაედო სათავე. ადამისა და ევას ოჯახის თითოეული წევრი, სავარაუდებელია, გულმოდგინედ ასრულებდა ამ წესს. ქვეყნის ხსნისა და გადარჩენისათვის სამადლობელ-სადიდებლად ნოემაც „აუგო სამსხვერპლო უფალს, თითო-თითო ამოარჩია ყოველი წმიდა პირუტყვიდან და ყოველი წმიდა ფრინველიდან და აღსავლენად მიიტანა სამსხვერპლოზე“ (დაბ. 8, 20). ამის შემდეგაც მსხვერპლშეწირვა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად დარჩა. გულმოდგინედ ასრულებდნენ მას ებრაელები ანუ გამოცხადების რელიგიის მიმდევარნი და წარმართებიც (ამის თაობაზე შედარებით ვრცლად ვსაუბრობთ სტატიაში — ერთი საწესო ჩვეულების კვალი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1987, № 1-4). ფაქტია, რომ მსხვერპლშეწირვის ტრადიცია არსებობდა და არსებობს ველურთა კულტებში, ბუნებითა და გამოცხადებით რელიგიებში, მას მისდევდნენ მაღალგანვითარებული ბერძნები და რომაელები; იგი ცნობილია ღვთიურჩეული ისრაელისა და ქრისტიანული სამყაროსთვისაც. სხვადასხვა საზოგადოებაში იგი გამოხატულია ნაირგვარი, ფორმით და შესებადამა ამა თუ იმ ხალხის რელიგიური შემცნების დონეს. რაც უფრო მაღალია ამგვარი დონე, შესაბამისად დახვეწილი და ნატიფია მსხვერპლშეწირვის იდეა და წეს-განგება. საყურადღებოა სხვაობა ბიბლიურ და წარმართულ რელიგიებს შორის, აღიარებული აზრის თანახმად, ე. წ. „ბუნებითი სჯულის“, ე. ი. „თვითსჯულის“ (რომ. 2, 14) ანუ წარმართობის მიმდევრებში მსხვერპლის იდეაზე, მიზანსა და სულიერ არსზე, მის სიმბოლურ მნიშვნელობაზე ბატონობდა გრძნობა, პრაქტიკული მიზანდასახულება და ცხოვრებისეული ოცნება-წარმოდგენა, სისხლიანობა და, ზოგჯერ, კანიალიზმიც კი. ძველი აღთქმის დედააზრი გამორიცხავს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის საცდურს (ლევ. 18, 21; 20, 2-5; მეორე რჯ. 12, 31; 18, 10) და ხაზს უსვამს ორ გარემოებას: ა) მსხვერპლს ისრაელიანთა შორის უნდა ადებინა და განემტკიცებინა კავშირი ღმერთთან და ბ) მიენიშნებინა მომავალში უღიადესი მსხვერპლის გაღება ადამიანთა გამოსახსნელად ცოდვისა, წყევლისა და სიკვდილისაგან (ებრ. 9, 1-14; ეფეს. 1, 7-9; გალ. 3, 13).

ზემოთ დასმულ კითხვაზე თეოლოგები ასე პასუხობენ: თუმცა ძველი აღთქმისეულსა და, ზოგადად, მსხვერპლს, როგორც აღვნიშნეთ, რელიგიური შინაარსი ჰქონდა, არავითარი ჩანაცვლება, ე. ი. არც სულიერი და არც მატერიალური ძღვენი არ იყო საკმარისი ღმერთსა და ადამიანს შორის კავშირის აღდგენისათვის შემდეგი მიზეზების გამო: 1) ადამის შთამომავალს; უკვე დაცემულსა და ნაკლოვანს, აღარ შეეძლო აბსოლუტური და ყოვლისმომცველი — პირველცოდვის მასშტაბის — სიკეთის ქმნა, ანუ ყოვლადუმწიკვლო, ე. ი. ღვთის დიდების შესაფერისი მსხვერპლის გაღება; 2) გასათვალისწინებელია, რომ თითოეული ადამიანი არის დამოუკიდებელი პიროვნება და პასუხისმგებელი საკუთარ საქციელზე — ავსა თუ კარზე. ამის გამო მაღლი, რომელსაც იგი მოიმუშაებს, ასხივოსნებს მას. სხვა კი — ნაკლებად. ამიტომ: რომც დაეშვათ ყოვლადუცოდველი კაცის დედამიწაზე არსებობა, მისეული სიკეთე შეამკობს მხოლოდ მის პიროვნებას. რა ბედენა იქნება ეს სხვისათვის?! არსებითად — არავითარი. იგი ვერ იქნება ყოვლისმომცველი. შესაბამისად, მის მი-



ერ გაღებული მსხვერპლი ვერ იქნება ყოველთა და ყოვლისთვის. იმავე სვეტლოვის თქვით, „გამომსყიდველ შენაცვლებად ანუ მსხვერპლად შეიძლება ვიგულოთ მხოლოდ ერთი რომელიმე სიცოცხლე, თავისი მნიშვნელობით ტოლფასი რომ იქნება შესაძლებელ სიცოცხლეთა დაუსრულებელი რიგისა, წარსულსა და მყოფადში ამქვეყნად მოვლინებულ ადამიანთა სიმრავლისა. იგი უნდა იყოს უნივერსალური, ზოგადადამიანური სიცოცხლე, მსოფლიო მსხვერპლი“.

ამ ლოგიკის თანახმად, გამომსყიდველი მსხვერპლის მისიას აღსრულებდა მხოლოდ და მხოლოდ უნივერსალური, არა რომელიმე ადამიანის, მაგ. პეტრესი, პავლესი და ა. შ.; არა რომელიმე თესლისმიერი, არამედ კაცობრიობის ძე — ძე კაცისა. მაგრამ ძე კაცისა, ნაშობი ჩვენსაირად (ხრწნილებით) სრულყოფილი ვერ იქნებოდა. ამიტომაც: იგი, ამასთანავე, ღვთის შვილი — ძე ღვთისა — უნდა ყოფილიყო, აბსოლუტური სიწმიდე და სიმართლე. ეს ნიშნავს, რომ მხსნელის პიროვნებაში უნდა გაერთიანებულიყო სრული კაცი და სრული ღმერთი, უნდა მომხდარიყო ერთყოფა მოკვდავისა და უკვდავისა, — ხრწნადი და უხრწნელი სხეულისა. მაშასადამე, უნდა განკაცებულიყო ღმერთი, რომელიც საკუთარ კისერზე აიღებდა კაცთა ცოდვებს, გაწირავდა თავს, მოკვდებოდა, აღდგებოდა, ამაღლდებოდა, თან წარიტანდა და აღხოცავდა ამაქვეყნის ყველა მწიკვლსა და უკეთურებას.

იკითხავს გამოძიებელი გონება: არ შეეძლო ცისა და ქვეყნის შემოქმედს განკაცების გარეშე, იმთავითვე, მეყსეულად ეხსნა ადამი და მისი შთამომავლობა? პასუხი ერთადერთია: არ შეეძლო! რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება ბოდა ადამიანის ავტონომია. ეს იქნებოდა თავსმოხვევა და ძალაღობა პიროვნების სულზე, მის სინდისზე, ეს იქნებოდა მისი თავისუფალი ნების დათრგუნვა. მხსნელი უნდა ყოფილიყო თავად ადამიანი, — ყოვლითურთ ჩვენსაირი, თვინიერ ცოდვისა. კვლავ წამოიჭრება კითხვა: აუცილებელი იყო მხსნელის ანუ, ძველი ქართულით, — მაცხოვრის სიკვდილი? პასუხი აქაც ერთია: დიახ! ყოველი ორგანიზმი, რასაც სიცოცხლის სული უდვას, უნდა მოკვდეს, რომ წარმოქმნას ახალი სიცოცხლე. თესლი ანუ მარცვალი უნდა გაიხრწნას და განქარდეს, რომ აღმოცენდეს ნერვი, როგორც უკვდავების წყარო, სიცოცხლის ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი. ასეთია წუთისოფლის კანონი, რასაც უარყოფის უარყოფას უწოდებენ. მის მიხედვით, მოკვდავი და ხრწნადი სხეული, ქვეყნის მხსნელსა და მაცხოვარს რომ ემოსა, უნდა მომკვდარიყო, ახალი — უკვდავი და უხრწნელი სხეული რომ წარმოქმნილიყო. ამავე აზრით, ყოველი ხილული და მატერიალური, რაც არსებობს, უნდა მოკვდეს. სიკვდილი აუცილებელია ახალი კოსმოსის, ახალი ცისა და ახალი მიწის წარმოსაქმნელად, უფრო სწორად, — მოკვდა ხორცის გაუკვდავებისათვის, განხრწნადის უხრწნელებისათვის, ე. ი. სიკვდილი აუცილებელია პირველქმნილი ცისა და პირველქმნილი მიწის განახლებისა და აღდგენისათვის, დაკარგული სამოთხისა და სიცოცხლის ხისაკენ მისასვლელი გზის პოვნისათვის. საჭიროა, პირველ რიგში, ჩვენ გარდავიქმნათ ანუ განვიკურნოთ სულით და ხორციით, გავხდეთ ღირსი სასუფეველისა.

და რადგან ადამიანს, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო (რომ იგი შობითგან ცოდვილია), არ ძალუძს ამ იდეალის სრულყოფა, თავად ღმერთი ეხმარება მას. ოღონდ: ეხმარება ისე, რომ არ დათრგუნოს პიროვნების ნება. უზენაესი განბრძნობილ კაცთა და, მათი სახით, თითოეული ჩვენგანის წინაშე დებს ხელშეკრულებას, რაც ნიშნავს კავშირის გაბმას თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.



40 311/3